70 თეთრი

# „პსპ-ს აფთიაქი! სირცხვილია, ხალხო, სირცხვილი!“

**რა პრეტენზიები აქვთ მომხმარებლებს „პეესპესთან“**

PSP №1 ჩემი ოჯახის აფთიაქი
გაგიადვილებთ ჯანმრთელობაზე ზრუნვას

12

N34/3350/ 31 მარტი 2016 წ
ფასი 70 თეთრი
ორშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## უმრავლესობის რომელმა დეპუტატებმა „დაიკიდეს“ ქვეყნის უსაფრთხოება და სუს-ის შეფი გომელაური?!

**რა კითხვები უნდა დაესვათ უმრავლესობას და ოპოზიციას**





2

## ექსკლუზივი „ქართული ოცნების“ კონფერენციიდან, რაც არ გახმაურებულა



**რა ხდებოდა შეკრებაზე, რომელიც საიდუმლოდ დარჩა**



13

## რას უყვება „ალიას“ ლადო პაპავა პოსტიდან გადადგომაზე და რას ამბობს თავის შემცვლელზე?



4

## აქციების შიშით „ოცნების“ ხელისუფლება კანონს ამკაცრებს



9



## შიხიაშვილს თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებდნენ. დაიჭერენ?!

რაზე ისაუბრეს შიხიაშვილის გადადგომამდე გენერლებმა დავით თევზაძემ და კობა კობალაძემ? რა უსამართლობაში ამხილა „ალიამ“ ვეტერანების აქციის ორგანიზატორი ვახტანგ მაჭავარიანი?

7

## რაზე ესაუბრა დილერების მიერ სიცრუეში დადანაშაულებული შს მინისტრის მოადგილე „ალიას“?



**რას ამბობს შალვა ხუციშვილი მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვასა და მძღოლების ფარულ თვალთვალზე?**

11

## მიკროსაფინანსო კომპანიის უმრავლესობა მსესხებლისთვის თანხის გადანაწილებას არ თანხმდება



– პრობლემური სესხის ამომღები კომპანიები შანტაჟს იწყებენ, – ამის შესახებ კამპანია „არა ონლაინსესხებს“ ხელმძღვანელმა გადაცემა „20/30“-ს განუცხადა. როგორც ბექა მჭედლიშვილი აღნიშნავს, მიკროსაფინანსო კომპანიის უმრავლესობა მსესხებლისთვის თანხის გადანაწილებას არ თანხმდება და სესხის მაღალ ჯარიმებზე ასვლას ელოდება. იგი ეკონომიკის მინისტრის განცხადებას მიესალმება, რომლის თანახმად, ეროვნული ბანკი ამ სფეროს რეგულაციებში მოქცევას იწყებს.

– როდესაც სესხს იღებ, რა თქმა უნდა, ის უნდა დააბრუნო. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ფულს არავინ არ გაჩუქებს, მით უმეტეს, ბანკი და ონლაინსესხების კომპანია. საერთოდ, სხვა საკითხზეა საუბარი, რაც მე ყველაზე მეტად მაინტერესებს,...ადამიანს, რომელსაც არ აქვს გადახდის საშუალება, სამსახური დაკარგა, და ფიზიკურად ველარ იხდის, ეს ადამიანი იმას არ ამბობს, რომ მე საერთოდ აღარ გადავიხდი ამ ფულს, ითხოვს ელემენტარულ პირობას თანხის გადანაწილებაზე. რეალურად, ზოგი კომპანია მოდის ამაზე, მაგრამ უმრავლესობა არ თანხმდება და სესხის მაღალ ჯარიმებზე ასვლას ელოდება. ამის შემდეგ, ამომღები კომპანიები შანტაჟს იწყებენ. ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც პირადად ძალიან მაწუხებს, ისაა, თუ ადამიანი არ ემალება ამ ონლაინსესხების კომპანიას და მერე იურიდიულ კომპანიასთან უწევს შეხება. ელაპარაკება და სთხოვს, რომ მიიტანონ სასამართლომდე. ელოდებიან, სანამ ავა ძალიან დიდ ჯარიმებზე. მაგალითად, თუ თქვენ გაქვთ აღებული 500 ლარის სესხი და ეს სესხი 1000 ლარზე ავიდა, როცა სასამართლომდე მიდგება საქმე, ის მთლიან ჯარიმას აჭრის. პირადად მქონდა შეხება ერთ-ერთ კრედიტორთან. ჩემს მეგობარს ჰქონდა ასეთი სიტუაცია, რომ ვერ იხდიდა და ურეკავდნენ და აშანტაჟებდნენ. მე დაველაპარაკე მის მაგივრად, მაშინვე კივიან და საერთოდ არ გესაუბრებიან“, – აცხადებს ბექა მჭედლიშვილი. (primetimenews.ge)

# უმრავლესობის რომელმა დეპუტატებმა „დაიკიდეს“ ქვეყნის უსაფრთხოება და სუს-ის შეფი გომელაური?!

## რა კითხვები უნდა დაესვათ უმრავლესობას და ოპოზიციას

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე, სხდომა, სადაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსისთვის, ვახტანგ გომელაურისთვის უნდა მოესმინათ, კვორუმის არარსებობის გამო ჩავარდა. პირველ ჯერზე, რეგისტრაცია 67 დეპუტატმა გაიარა, რაც კვორუმისთვის დეპუტატთა არასაკმარისი რაოდენობა იყო. ცნობისთვის, იმისთვის, რომ კვორუმი შედგეს, დეპუტატების რაოდენობა 76-ს უნდა შეადგენდეს. კვორუმი ვერც მორიგი ორი რეგისტრაციისას შედგა — დეპუტატთა რაოდენობა უფრო და უფრო იკლებდა და მესამე რეგისტრაციისას, მათი რიცხვი 54-ს შეადგენდა.**

**მოგვიანებით, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, დეპუტატების დარბაზში არყოფნის მიზეზად საქართველოში უცხოური დელეგაციების ყოფნა, ასევე, ავარიები დაასახელა და გომელაურის პარლამენტში გამოსვლა პარასკევისთვის დააანონსა. საპასუხოდ, ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, რომ ის მომდევნო სესიაზე ქუთაისში აღარ ჩავა და, შესაბამისად, მისი ვიზიტი პარლამენტში გაურკვეველი ვადით გადაიდო.**



**„ალია“ დაინტერესდა, რომელი დეპუტატები არ დაესწრნენ საპარლამენტო სხდომას და რით იყო განპირობებული მათი პარლამენტში არგამოცხადება?**

**„ალიას“ პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე, გიორგი კახიანი ესაუბრა:**

– ძალიან ბევრი წევრი არ დაესწრო. გამიჭირდება ყველას ჩამოთვლა. პირველ რეგისტრაციაზე იყო 68, მეორეზე – 67, ხოლო მესამეზე – 54. ბოლო შედეგი იმან განაპირობა, რომ უკვე იცოდნენ, მაინც ვერ შედგებოდა კვორუმი. პარლამენტში იმყოფებდნენ, მაგრამ რეგისტრაციაზეც არ შემოსულან. თუ პირველი შედეგით ვიმსჯელებთ – 68 დაესწრო, სულ 150 წევრია, გამოდის, რომ 82 დეპუტატი არ გამოცხადებულა, ამიტომაც გამიჭირდება ყველას ჩამოთვლა.

**— საპარლამენტო უმცირესობიდან მაღალი დასწრება იყო?**

– რაც შეეხება უმცირესობას, მათგან ესწრებოდა 13-14 ადამიანი, რეალურად კი არიან 50. 36-37 დეპუტატი არ ესწრებოდა მათგან. უმრავლესობაში 87 წევრია და საკმარისია ხოლმე, რომ უმრავლესობის 11 დეპუტატი არ დაესწროს, რომ, თუკი უმცირესობაც არ გაივლის რეგისტრაციას, კვორუმი არ არის.

**— ხომ ვერ დაგვისახელებდით, რომელი დეპუტატები არ ესწრებოდნენ სხდომას არასაპატიო მიზეზით?**

– სამწუხაროდ, რეგლამენტში ჩვენ ასეთი რეგულაცია გვაქვს, რომ არასაპატიო მიზეზით არდასწრება ფიქსირდება მაშინ, როდესაც სხდომა შედგება და არ დაესწრება. როცა სხდომა არ შედგება, ასეთ შემთხვევაში არასაპატიო მიზეზით გაცდენაში არ ეთვლებათ. შესაბამისად, არც რაიმე სანქციაა გათვლილი გამცდენისთვის.

**— რამდენად შეესაბამებოდა ქალბატონ მანანა კობახიძის მიერ ჩამოთვლილი მიზეზები არდასწრების რეალურ მიზეზებს?**

– მოგეხსენებათ, რომ საქართველოში იმყოფება ევროპარლამენტარების დელეგაცია და ბატონი გია ვოლსკი და რამდენიმე დეპუტატიც მათთან იმყოფებოდნენ შეხვედრაზე. რამდენიმე შეუძლოდ იყო, ეს ყველაზე ძლიერი მიზეზია. ალბათ, რამდენიმე იქნებოდა ჩვენთვის უცნობი მიზეზითაც.

**— როგორ ფიქრობთ, გარკვეულ დელეგაციასთან შეხვედრა უფრო მნიშვნელოვანი იყო, თუ იმ საკითხის მოსმენა, რომელსაც საზოგადოება ასე ინტერესით ელოდება. დაანონსებული ვიდეოშანტაჟის დღიდან ერთი დღით ადრე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი შეიძლება არსებობდეს ქვეყანაში?**

– რთული სათქმელია, თუკი ვინმე იტყვის, რომ ევროპარლამენტარების დელეგაციასთან შეხვედრა არ არის მნიშვნელოვანი, არ ვიცი... ისინი საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ, იქაც უნდა ყოფილიყვნენ, ანუ იგივენაირად მნიშვნელოვანი იყო, როგორც ამ სხდომაზე დასწრება.

მაშინ, როდესაც საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები, ტრიბუნას არ უშვებდნენ ხელიდან და განცხადებას განცხადებაზე აკეთებდნენ – სასწრაფოდ საკითხი გამოიძიეთო და ა.შ. მათი უმრავლესობა რატომ არ ესწრებოდა სხდომას და რა კითხვები ჰქონდათ იმ დეპუტატებს, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოსასმენად ჩავიდნენ ქუთაისში.

**„ალიას“ საპარლამენტო უმცირესობის წევრი, სერგო რატიანი ესაუბრა:**

– ძალიან ბევრი კითხვა გვქონდა გომელაურთან – როგორ ხდება ის, რომ ბოლო წლებში სწორედ ბიძინა ივანიშვილის ხელში დაიწყო მისი გავრცელება. ასევე, კითხვები გვქონდა სუს-ის მუშაობასთან მიმართებაში – პოლიტიკური პარტიების თვალთვალსა და მიყურადებაზე. ყველა პარტია აღნიშნავს, რომ, როდესაც გადიან რეგიონებში, მიმდინარებს მათი თვალთვალი, ასევე, რა ხდება „ოდეერებთან“ დაკავშირებით, რატომ ხდება ანტიდასავლური და პრორუსული მედიის საბიუჯეტო თანხებით დაფინანსება და ა.შ.

**— თქვენი ინფორმაციით, ვინ არ ესწრებოდა სხდომას?**

– 7 დეპუტატი, რომლებიც კენჭისყრის დროს იყვნენ, მეორე კენჭისყრის დროს თავი აარიდეს რეგისტრაციას.

**— ვინ იყვნენ ასეთები?**

– ირაკლი სესიაშვილი – დაესწრო პირველ კენჭისყრას, ხოლო მეორე კენჭისყრას არ დაესწრო. შემდეგი – გოგლა ჟვანია, ასევე, სოსო ჯაჭვლიანი, ხაბელოვი, ხუბულური...

**— უმცირესობიდან რატომ იყო ასეთი მცირე დასწრება?**

– ჩვენ, ვინც თავიდან ვესწრებოდით, დავრჩით ბოლომდე.

**— და ვინ არ დაესწრო, იქნებ ესეც გვითხრათ...**

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ის არის, რომ ვინც ჩამოსული იყო, ამ რაოდენობის დეპუტატებით შესაძლებელი იყო კვორუმის მიღება, მაგრამ უმრავლესობის წევრებმა მიზანმიმართულად არ გაიარეს რეგისტრაცია.

**— რატომ, რაში დასჭირდათ?**

– არ იყვნენ მზად. უმრავლესობა ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს სხდომა არ ჩატარდეს, სავალალო მდგომარეობა აქვთ უსაფრთხოების კუთხით და ამიტომაც გაურბიან კითხვებს.

**„ალია“ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილსაც დაუკავშირდა:**

– სამი რეგისტრაციიდან, მარტო მეორე რეგისტრაცია ვერ გავიარე, იმიტომ, რომ თქვენს კოლეგას ვესაუბრებოდი ტელეფონზე და დარბაზს გარეთ ვიყავით.

**— უმრავლესობას რა კითხვები გქონდათ მომზადებული ბატონი გომელაურისთვის?**

– მე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან არანაირი კითხვა არ მაქვს.

**— რატომ?**

– მე მათთან მაქვს ყოველდღიური ურთიერთობა და გამაჩნია სრული ინფორმაცია – რას, რატომ და როგორ აკეთებენ. აბსოლუტურად ვარ ჩართული პროცესში – ეს არის ჩემი ფუნქცია, როგორც დეპუტატის, როგორც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის და თუ ვინმე თავის უფლებამოსილებას არ ახორციელებს და მარტო ის აინტერესებს, როგორი შოუ მოაწყონ პარლამენტში, მათი ნებაა.

**— სერგო რატიანი ამბობს, რომ მიზანმიმართულად არ შედგა კვორუმი უმრავლესობის მიზეზით. განმარტავს, რომ არ იყო მზად გომელაური ამ ყველაფრისთვის...**

– ვახტანგ გომელაური, ერთადერთი, მზად არ იყო იმისთვის, რომ არაკომპეტენტური კითხვები მოესმინა. მე რაც კომიტეტზე მოვისმინე, კითხვების უმრავლესობა, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, ეს იყო არაკომპეტენტურობის ქარიშხალი. მაგალითად, გიორგი ბარამიძე სვამდა კითხვას – რამდენი რუსი ჯაშუში დააპატიმრეთო. თითქოს სტატისტიკა უნდა არსებობდეს, რამდენ რუს ჯაშუშს დააპატიმრებენ.

**— მანანა კობახიძემ განმარტა, რატომ ვერ ესწრებოდა დეპუტატთა ნაწილი სხდომას. რამდენად იყო ეს ყველაფერი იმის საფუძველი, რომ მსგავსი მნიშვნელობის სხდომა არ შემდგარიყო — რამე ამართლებს ამ სხდომის ჩაშლას? ამაზე მნიშვნელოვანი საქმე რა გქონდათ?!**

– კვორუმს მარტო უმრავლესობა არ ქმნის. ჰკითხეთ, ერთი, მარტო 17 დეპუტატი რომ იყო ჩასული, ის დანარჩენი დეპუტატები სად დადიან?

**— უკვე ვკითხეთ... აპირებთ დააყენოთ გუნდის შიგნით აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში?**

– ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, კვორუმი შემდგარიყო და ეს ანგარიში მოგვესმინა, მაგრამ ყველას მეტ-ნაკლებად ობიექტური მიზეზი ჰქონდა. რატიანმა თავისი გუნდის წევრებს მიხედოს, ზოგიერთი მათგანი თვალითაც რომ არ გვინახავს.

## გოგა ხაჩიძე: „არ ვაპირებ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას“



„ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი გოგა ხაჩიძე აცხადებს, რომ ის არ იქნება საპარლამენტო არჩევნების მონაწილე, განსხვავებით საკუთარი პარტიისა.

– 16-ში გვაქვს დამფუძნებელთა კრება, რათა ჩვენც დავფიქსირდეთ, როგორც პარტია, ბოლოს და ბოლოს. რა თქმა უნდა, „ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი“ მიიღებს მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში. თუმცა, მე, გოგა ხაჩიძე, არ მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას. არც საარჩევნო სიაში ვიქნები და არც მაჟორიტარულში. ამის მიზეზი არის ის, რაც თავიდანვე ვთქვი – ძველები უნდა წავიდნენ და ახლები მოვიდნენ. ქართული პოლიტიკა საცობია, – ამბობს გოგა ხაჩიძე. (primetimenews.ge)

## „ნაციონალ-რეფორმატორების“ უკრაინული კრახი — საყვარელიძის შემდეგ პოსტს ეკა ზღულაძე დატოვებს



უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

უწყების განცხადებით, ბოლო პერიოდში პროკურატურამ დეპუტატთა არაერთი კოლექტიური მიმართვა მიიღო, რომლის თანახმად, საყვარელიძის თანამდებობა და დღის განრიგი პროკურატურის შესახებ კანონს არ შეესაბამება.

უკრაინის გენერალური პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საყვარელიძის განთავისუფლება უკავშირდება მის მიერ საპროკურორო ეთიკის უხეშ დარღვევას, ასევე, სხვა პროკურორის საქმიანობაში ჩარევას.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, პოსტს უკრაინის შს მინისტრის მოადგილე, ეკა ზღულაძეც დატოვებს.

# ლატვიაში პრორუსული საინფორმაციო ვებგვერდი „სპუტნიკი“ დახურეს



ლატვიის მთავრობამ პრორუსული საინფორმაციო ვებგვერდის „სპუტნიკის“ ადგილობრივი ვერსია დახურა.

როგორც ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, „სპუტნიკნიუსლატვია“ ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს ეწინააღმდეგებოდა.

მომხდარს გამოეხმაურა რუსეთის საელჩო ლატვიაში და რიგის გადაწყვეტილება ინფორმაციული ომის წარმოებად შეაფასა. (1tv.ge)

# ბარაკ ობამა: ჟურნალისტიკა მარტო მიკროფონის ხელში ჭერა არ არის!



აშშ-ის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს „სიღრმეში წვდომისა და მეტის მოთხოვნისკენ“ მოუწოდა.

როგორც „ამერიკის ხმა“ წერს, აღნიშნულის თაობაზე ბარაკ ობამამ აშშ-ის პრესის თავისუფლების საკითხზე საუბრისას განაცხადა.

– სამუშაოს კარგად შესრულება მიკროფონის ხელში დაჭერაზე მეტია. ეს გულისხმობს, რომ უფრო ღრმად უნდა ჩაიხედოთ საკითხში და გაცილებით მეტი მოითხოვოთ, – განაცხადა ობამამ.

აშშ-ის პირველი პირის თქმით, მსოფლიო ლიდერებთან მას ყველაზე ხშირად ამერიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეკითხებიან. მან, ასევე, აღნიშნა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია დემოკრატიისა და საზოგადოებისთვის საზიანო „საკამათო და ხშირად ვულგარული რიტორიკითაა“ პროვოცირებული. მან აღიარა, რომ ფინანსური სირთულეების გამო, მრავალმა ახალი ამბების ორგანიზაციამ რესურსები და პერსონალი შეამცირა.

ობამამ ჟურნალისტებს მოუწოდა, რომ ისინი საკითხებს კიდევ უფრო ღრმად გაეცნონ, რადგან, მისი შეფასებით, დემოკრატია სწორედ ამომრჩევლების ინფორმირებულობაზეა დამოკიდებული.

– ამომრჩევლის ინფორმირებულობა თქვენზეა დამოკიდებული, კარგად ინფორმირებულ ამომრჩეველზე კი ჩვენი დემოკრატიაა დამოკიდებული, – განაცხადა ობამამ. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




ნინო სამხარაძე
599 71-14-22


# ვალერი გელბახიანი: „ულტიმატუმს წაგვიყენებენ, თუ უგულავას, ახალაიასა და მერაბიშვილს არ გამოუშვებენ ციხიდან“



**როდესაც ქვეყანაში დაანონსებულია ინტერნეტმუქარა, როდესაც მიქარულ ჩინოვნიკთა მთელი ამქარი დაძაბული ელოდება 31 მარტს, ვის რა „გრეხებს“ გამოუფენენ, როდესაც აქვთ შანსი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს დაუსვან კითხვები, გაიგონ მეტი, ვიდრე მათ იციან, ვახტანგ გომელაურის ყოველწლიურ ანგარიშს პარლამენტი არ უსმენს, უფრო ზუსტად, კვორუმი არ დგება. მიმიფურთხებია ისეთი ქვეყნისთვის, ისეთი დეპუტატებისთვის, რომლებიც ხალხის ნალოლიავებ ხელფასს იღებენ და ვერ ათვითცნობიერებენ, რა არის ის საფრთხეები, რაზეც იმ ადამიანს უნდა ესაუბრა, ვისი მოსმენაც ჩააგდეს.**

**საპარლამენტო კრიზისი სახეზეა, აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველი ამ მუქთახორებს, წურბელებს ჩვენს ხარჯზე ვაცხოვრებთ და თითოეული დეპუტატის შენახვა თვეში მინიმუმ 4000 ლარი გვიჯდება. აი, ეს გაურკვეველი ჯიშის ადამიანები, რომლებსაც არც ქვეყანა უყვართ, ხალხიც ფეხებზე ჰკიდიათ და ზედ დამატებული სახელმწიფო ინტერესიც, აი, ამ ხალხის იმედად ვართ დარჩენილები, რომელთა ადგილიც პოლიტიკურ სანაგვეზეა. ისინი ჩვენს ინტერესებს არასოდეს დაიცავენ, საკუთარი მინისტრის მოსმენაც კი არ სურთ, რადგან მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვინ დარჩება კოალიციაში, ვინ გავა და ვინ როგორ ივაჭრებს ივანიშვილთან, ადამიანთან, რომელმაც თავისი ამომრჩეველი გადააგდო. პარლამენტარებო, თქვენ ხართ პოლიტიკური ბოზები, თქვენთვის სამშობლო არის, უბრალოდ, ტრაფარეტული სიტყვა, ფულის გულისთვის პირდაპირი და ჰიპოთეტური მნიშვნელობით, ყველაფერს გააკეთებთ, გაიხდით და მტერს ჩაუგორდებით ლოგინში. მაშ ასე, „ქართულმა ოცნებამ“ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ოთხწლიანი მმართველობის თავზე კვორუმი ვერ შეკრიბა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსისთვის მოესმინა. მოესმინა განმარტებები საკითხზე, რაზეც უმრავლესობის უმეტესობამ ყველაფერი დაიპუტა — ვინც არის შემკვეთი და ვინც ავრცელებს ფარულ ვიდეოჩანაწერებს, სასწრაფოდ დასაჯეთო.**

**ამ და სხვა კითხვებს, „ალიას“ ვალერი გელბახიანი პასუხობს:**

– როდესაც კვორუმი არ დგება, ეს არის პარლამენტის უპატივცემულობა, არ მახსოვს პრეცედენტი, როდესაც მინისტრი გამოდიოდეს მოხსენებით პარლამენტში და კვორუმი არ დგებოდეს. კი მაგრამ, სუს-ს არ ჰქონდა წინასწარ ინფორმაცია, რომ არ შედგებოდა კვორუმი? ამ სამსახურს უნდა ეზრუნა, წინასწარ ინფორმაცია გაეგო, რომ მათი სამსახურის უფროსი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო. თუკი სუს-ი მიიღებდა ინფორმაციას, რომ კვორუმი არ დგება, საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა სპიკერი და მოეთხოვა, რომ ეზრუნა კვორუმზე. შემირცხვენია ის ქვეყანა, სადაც სუს-ის უფროსის გამოსვლაზე კვორუმი არ არის. როცა უმრავლესობა ვერ უზრუნველყოფს სხდომის ჩატარებას, ეს ნიშნავს, რომ ან შიდა კრიზისია, ან არის დეზორგანიზებული პროცესი, რის გამოც კვორუმი არ დგება.

**— ჯერ კიდევ ოთხი თვით ადრე განაცხადეთ „ალიასთან“ ინტერვიუში, რომ აპრილისკენ აუცილებლად დაიწყებოდა კოალიციის დაშლა. გუბაზ სანიკიძე აცხადებს, რომ, სავარაუდოდ, ფორუმი დამოუკიდებლად იყრის კენჭს. გარდა იმისა, რომ საზოგადოების თვალში ის არის დისკრედიტებული პოლიტიკოსი, რომელსაც მხოლოდ მილიონები უნდა, ხალხიც ფეხებზე ჰკიდია. რაც შეეხება „რესპუბლიკურ პარტიას“, აშკარაა, კოალიცია არ ეთმობათ, რადგან არჩევნებში გამარჯვების იმედი არ აქვთ. რა ხდება?**

– კოალიცია რომ იშლებოდა და „ფორუმი“ გადიოდა, ამის შესახებ ჯერ კიდევ 2015 წლის დეკემბერში ვისაუბრეთ. ინფორმაციები კოალიციიდან ჟონავდა და ტყუილად არაფერი ითქმება. ახალი არაფერია, ფორუმი ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა, პროტესტი შიგნით იხარშებოდა, ახლა გარეთ გამოვიდა, მაგრამ კოალიციის სხვა წევრები რა დასკვნას აკეთებენ, ამას დრო გვაჩვენებს. რაც უფრო გააჭიანურებენ პოლიტიკური სუბიექტები კოალიციიდან გასვლას, მით მეტად ავნებენ საკუთარ რეიტინგს. ვხედავთ, რომ „რესპუბლიკურ პარტიაში“ გაუგებრობაა, უსუფაშვილი ამბობს, რომ კოალიციაში რჩება პარლამენტის თავმჯდომარედ, დაახლოებით ქვეტექსტი ასეთია, რომ მას ფეხებზე ჰკიდია „რესპუბლიკური პარტია“, ხოლო „რესპუბლიკელები ფიქრობენ გავიდნენ კოალიციიდან, ამის შედეგად შიდა დაპირისპირებაა, თავად „რესპუბლიკელებში“ არ არის ერთსულოვნება, თანამდებობიდან წასვლას არც ხიდაშელი აპირებს, უკვე აშკარად ჩანს მათი მორალური სახე ამ ქმედებით. მათთვის მთავარი პარტიული იდეები კი არა, თანამდებობები ყოფილა. აგრესია ისედაც ძლიერია თინა ხიდაშელის მიმართ როგორც საზოგადოების, ასევე ჯარის მხრიდან და ნუ იფიქრებს, თავის დროზე თეა წულუკიანი რომ არ გაჰყვა ირაკლი ალასანიას, მის მსგავსად ისიც შეინარჩუნებს პოზიციას, როგორც კი უპარტიოდ დარჩება, მას შეექმნება პრობლემები. ერთი თვეც კი ვერ იქნება მინისტრი.

**— მოვლენები დინამიურად და სწრაფად ვითარდება, ერთია, რომ კოალიცია იშლება. ამავე დროს, თსუ-ს რექტორი, ლადო პაპავა, სტუდენტების შიმშილობის და მოთხოვნის გამო, თანამდებობას ტოვებს. არა და, შეეძლო, ეს ნაბიჯი არ გადაედგა, გარკვევით თქვა, სამეცნიერო საბჭოს დასკვნას ველოდებიო. რა მოხდა, ხომ არ იცით?**

– ვინც პაპავას იცნობს, დამეთანხმება, რომ არის მაღალი მორალის ადამიანი, არ გეგონოთ რიგითი ჩინოვნიკი, მე ვფიქრობ, მან სალაპარაკოდ არ გაიხადა საქმე და არ გამოეკიდა თანამდებობას, არანაირი ზომები არ მიუღია იმისთვის, რომ მისი გადადგომის საკითხი მოეხსნა დღის წესრიგიდან, ადამიანმა ჩათვალა, თუ ვინმე შიმშილობს უნივერსიტეტში მის გამო, ამად არ ღირს და წავიდა დაკავებული თანამდებობიდან. რექტორი მოიქცა ზნეობრიობის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ იქ იყო ინტრიგა, პოლიტიზებული პროცესი, ის ამ ყველაფერზე მაღლა დადგა. რომ გითხრათ, პაპავას წასვლა გამიხარდა და ეს ნაბიჯი მოვუწონე, ასე არ არის, არ გამხარებია. მაგრამ მისი ზნეობრივი ნაბიჯი ყველასთვის სამაგალითო უნდა იყოს.

**— დღეს 31 მარტია, ელოდებით, დაანონსებულ ვიდეოჩანაწერებს?**

– თუ პროკურატურის მაღალმა ინტერესმა არ შეაშინა ამ საქმის ორგანიზატორები, მუქარა გამოქვეყნდება, სხვა შემთხვევაში, მათი მუქარა აზრს კარგავს. მე ვფიქრობ, რომ ამ ბოროტ ძალას, ვინც ამ კადრების უკან დგას მიზნისთვის ჯერ არ მიუღწევია. სამიზნეები დასახელებულია – ალასანია და ხიდაშელი და ამ კამპანიას როგორც ჩანს, აქვს მიზანი, ვიდრე ამ სამიზნეებს არ „გაანადგურებენ“, არ მოისვენებენ.

**— „ევროპის სახალხო პარტიის“ საპატიო პრეზიდენტი ჯოზეფ დოული, ულტიმატუმითა და შანტაჟით ელაპარაკება საქართველოს ხელისუფლებას, რაც ძალიან ჰგავს ოფიციალური მოსკოვის ლექსიკას. თუ არჩევნებს დემოკრატიულად არ ჩავატარებთ, ვიზალიბერალიზაციას მხარს არ დავუჭერთო. მან მოინახულა უგულავა, ახალაია და მერაბიშვილი. შესაძლოა, რომ ულტიმატუმი წაგვიყენონ, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ისინი?**

– რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ ესენი არიან დამნაშავეები, ხალხს კლავდნენ, აწამებდნენ, ქონებებს ართმევდნენ, ამას ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდება, რომ დაარწმუნო და თუ ვერ დაარწმუნებ, ყოველთვის ჩათვლის, რომ გყავს პოლიტიკური პატიმარი და არა, კრიმინალი. ის, რომ ინტერპოლმა შეწყვიტა ძებნა დათა ახალაიაზე, ხომ ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სათანადო არგუმენტი ვერ დადო და ვერ იმუშავა. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ჩვენ უნდა ველოდოთ ევროპის საბჭოს მკაცრ რეზოლუციას, რომ გამოუშვან პოლიტპატიმრები დაუყოვნებლივ. „ევროპის სახალხო პარტიის“ პრეზიდენტი აქ ტყუილად არ ჩამოსულა. ერთგვარ ულტიმატუმს წაგვიყენებენ, თუ უგულავას, ახალაიასა და მერაბიშვილს არ გამოუშვებენ ციხიდან, ისინი ვიზალიბერალიზაციას მხარს არ დაუჭერენ. ხელისუფლება დასთანხმდება თუ არა, ეს მათი საფიქრალია, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ არჩევნებამდე საქართველოში ვიზიტით ჩამოდის ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და დარწმუნებული იყავით, ისიც დააყენებს ე.წ. პოლიტპატიმრების საკითხს. თქვენ როგორ გგონიათ, ჯონ კერი ახლა რომ მოსკოვში იყო და პუტინს შეხვდა, არ მოითხოვა სავჩენკოს გამოშვება? მოითხოვა და დადებითი პასუხიც მიიღო. ასე მოითხოვს ჯონ კერი ამათ განთავისუფლებას. მოკლედ, წინ საინტერესო პროცესები გველის, ეს არჩევნები კი იქნება ნამდვილი ომი. ვნახოთ, როგორ გაუძლებს მმართველი პარტია თავდასხმებს.

> **„რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ ესენი არიან დამნაშავეები, ხალხს კლავდნენ, აწამებდნენ, ქონებებს ართმევდნენ, ამას ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდება, რომ დაარწმუნო და თუ ვერ დაარწმუნებ, ყოველთვის ჩათვლის, რომ გყავს პოლიტიკური პატიმარი და არა, კრიმინალი. ის, რომ ინტერპოლმა შეწყვიტა ძებნა დათა ახალაიაზე, ხომ ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სათანადო არგუმენტი ვერ დადო და ვერ იმუშავა“**

# „კეთილი ენებათ და მოესმინათ“ — გომელაური დეპუტატებზე



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი პარასკევს პარლამენტის წინაშე ვერ წარდგება. ამის შესახებ განცხადება ვახტანგ გომელაურმა კვორუმის არარსებობის გამო ჩაშლილი სხდომის შემდეგ გააკეთა.

– არ შედგა კვორუმი. მე ჩამოვედი თბილისიდან იმისთვის, რომ პასუხები გამეცა, ჩემი ანგარიში წარმედგინა პარლამენტისთვის. მე დიდ პატივს ვცემ საქართველოს პარლამენტს. მნიშვნელობა არ აქვს, ოპოზიცია იქნება თუ უმრავლესობა, ყველას დიდ პატივს ვცემ. პარასკევს მე ვერ ჩამოვალ ნამდვილად. წინასწარ იცოდნენ ეს პარლამენტარებმა და მომავალში ვნახოთ, გადავწყვეტთ. მე ჩამოვბრძანდი აქ, რომ პარლამენტისთვის წარმედგინა ჩემი ანგარიში, ყველა კითხვაზე გამეცა პასუხი. ჩამობრძანებულიყვნენ, კეთილი ენებათ ყველა პარლამენტარს და მოესმინათ. მე მგონი, ეს ჩემი ბრალი არ არის, რომ არ შედგა კვორუმი და ამაზე გააკეთებენ მერე პარლამენტარები განცხადებას, – განაცხადა სუს-ის უფროსმა.

შეგახსენებთ, რომ 30 მარტს პარლამენტს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ანგარიში უნდა მოესმინა, თუმცა დეპუტატების საკმარისი რაოდენობის არარსებობის გამო კვორუმი არ შედგა და სხდომა ჩაიშალა. (primetimenews.ge)

# წელს კუნძულ ლესბოსზე 537 ლტოლვილი ბავშვი თანმხლები პირის გარეშე ჩავიდა



საბერძნეთის კუნძულ ლესბოსზე 2016 წლის პირველ კვარტალში 537 ლტოლვილი ბავშვი უფროსი თანმხლები პირის გარეშე ჩავიდა. საბერძნეთის სანაპირო დაცვის მონაცემებით, 2015 წელს საბერძნეთში 750 ბავშვი ჩავიდა თანმხლები პირების გარეშე.

მცირეწლოვნების ნაწილი ამბობს, რომ ისინი მარტო ჩავიდნენ, ვინაიდან მთელი ოჯახის ერთდროულად ჩასვლა ევროპაში შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ევროპაში მილიონზე მეტი მიგრანტი ჩავიდა. მიგრანტების დიდი ნაწილი ცენტრალურ და დასავლეთ ევროპამდე ჩასვლას სწორედ საბერძნეთის გავლით ცდილობს. მათი ნაწილი კი გზაში იღუპება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ქეთევან ქარდავასა და მისი ფოტოს გმირის ამაღელვებელი შეხვედრა



პირველი არხის ჟურნალისტის ქეთევან ქარდავას შეხვედრა ბრიუსელის ტერაქტებისას გადაღებული მისი ერთ-ერთი, უკვე ცნობილი ფოტოს გმირთან – სებასტიან ბელინთან ექსკლუზიურად **CBC News**-მა გადაიღო.

კალათბურთელი სებასტიან ბელინი, რომელმაც ტერაქტისას კიდურებზე მძიმე დაზიანებები მიიღო, კვლავ კლინიკაში რჩება. სწორედ, კლინიკაში შედგა ჟურნალისტისა და მისი შეხვედრა. (daijesti.pia.ge)

## განმუხურის ბულვარის ნაწილი გაიყიდა



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურის ბულვარის ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია აუქციონის წესით 2 266 500 ლარად გაიყიდა. აუქციონში მონაწილეობა ერთმა მსურველმა მიიღო და მან საწყის ფასზე 3 000 ლარით მეტი დააფიქსირა. მყიდველის ვინაობა ჯერ უცნობია.

აუქციონის პირობების თანახმად, მყიდველი ვალდებულია, ქონების შეძენასთან ერთად აღნიშნულ ტერიტორიაზე 3 წლის განმავლობაში მინიმუმ 10 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელოს, რაც 120 ნომრის მქონე სასტუმრო კომპლექსის მშენებლობას და სხვა ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას ითვალისწინებს. (radioatinati.ge)

## თუ დეპუტატი არ მიდის პარლამენტში, პარლამენტი მივა დეპუტატთანო...



პლენარული სხდომა კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა. რეგისტრაცია ვიცე-სპიკერმა 3-ჯერ გამოაცხადა, თუმცა ყოველ ჯერზე დამსწრე დეპუტატების რაოდენობა იკლებდა.

სხდომის ჩაშლის მიზეზებზე საუბრობენ უმრავლესობაში.

– მიზეზი არის, რა თქმა უნდა, ობიექტური, რიგი კოლეგების შემთხვევაში – ავადმყოფობა. იცით, რომ მხოლოდ ავტოსაგზაო შემთხვევის გამო ქუთაისი-თბილისის გზაზე ჩვენ დაგვიშავდა სამი დეპუტატი, ეს არის პრობლემა. დიახ, დედაქალაქში უნდა იყოს პარლამენტი, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე მანანა კობახიძემ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას თქმით, კვორუმის ჩაშლის ერთ-ერთი მიზეზი დელეგაციების სტუმრობა და ოფიციალური შეხვედრები იყო.

– სამწუხაროა, რომ კვორუმი არ შედგა, ამას ჰქონდა სხვადასხვა ობიექტური მიზეზი, ერთი მხრივ დელეგაციების სტუმრობა, ოფიციალური შეხვედრები და მეორე მხრივ ის გარემოებები, რომლებმაც ხელი შეუშალა რამდენიმე კოლეგას, ჩამოსულიყო, მაგრამ რაც შეეხება ოპოზიციას, რომლის სიითი შემადგენლობიდან ნახევარიც კი ვერ შეიკრიბა დღეს იმისთვის, რომ რეგისტრაცია გაევლოთ, ეს უკვე მეტყველებს, ვფიქრობ, მათი მხრიდან დამოკიდებულებაზე, – აღნიშნა ეკა ბესელიამ. (rustavi2.com)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# რას უყვება „ალიას“ ლადო პაპავა პოსტიდან გადადგომაზე და რას ამბობს თავის შემცვლელზე?



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საპროტესტო ტალღის ჩაცხრომიდან 2 კვირაში რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მოულოდნელად გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, რაც აკადემიურმა საბჭომ მალევე დააკმაყოფილა. პაპავა 1 მაისამდე რჩება თანამდებობაზე, მანამდე კი რექტორის მოვალეობის შემსრულებელი უნდა შეარჩიონ. რაც შეეხება აკადემიურ საბჭოს, ჯერჯერობით გაურკვეველია, დაიშლება თუ არა ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ან კანცლერის არჩევამდე.**

**თსუ-ს თვითმმართველობა რექტორის გადადგომას საკუთარ გამარჯვებად თვლის. „ალიას“ ტატო გოგელაძე ესაუბრა:**

**— ტატო, რექტორი გადადგა, აკადემიური საბჭოც, სავარაუდოდ, მალე დაიშლება, რას აპირებთ, ვინ არის რექტორობის თქვენეული კანდიდატი?**

– პირველ რიგში, ძალიან კარგია, რომ ვინც იყო პროცესებზე პასუხისმგებელი, გადადგა. რაც შეეხება ახალ რექტორს, ვერანაირი ამინდის შექმნას ჩვენ უნივერსიტეტში ვერ მოვახერხებთ, კანდიდატების მხრივ. არანაირი წარმოდგენა არ მაქვს, ვინ შეიძლება შეიტანოს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურაზე განაცხადი, უბრალოდ, მწამს იმ საუნივერსიტეტო საზოგადოების, ვინც უნდა აირჩიონ მოვალეობის შემსრულებელი, თუ ეს პროფესურაც შეცდომაში შევიდა და მსგავსი პოლიტიკის გამტარებელი რექტორი აირჩიეს კიდევ, როგორიც იყო ლადო პაპავა, საერთოდ დაქცეული ყოფილა უნივერსიტეტი.

**— თვითმმართველობის არჩევნები მაისშია, თუმცა პარალელურად განათლების სამინისტროსთან მიდის აქტიური მუშაობა ამ სისტემის რეფორმისთვის, რამდენად ჩართული ხართ პროცესში?**

– ნებისმიერ რეფორმას ჩვენ ვემხრობით, რომელიც სიტუაციის გამოსწორებისკენ იქნება მიმართული, რაც შეეხება იმ რეფორმას, რომელსაც მეორე საპროტესტო ჯგუფი წარმოადგენს, სრული აბსურდია რეალურად რომ ჩავუღრმავდეთ, რამდენიც მოვისმინე, მათ შორის ქალბატონ მინისტრ სანიკიძესთან შეხვედრაზე, მათი იდეების უმეტესობა, რასაც ითხოვენ თითქმის 95% დღეისთვის არსებობს. ან ინფორმაციის ვაკუუმში იმყოფებიან, ან პირადი ამოძრავებთ.

**თსუ-ს რექტორის გადადგომის შემდეგ, „ალია“ ასევე დაინტერესდა, რას აპირებს სტუდენტთა მეორე ჯგუფი, „აუდიტორია 115“-ელები და რამდენად ცვლის მათ გეგმებს (ერთი თვის ვადაში რეფორმების საკუთარი ვარიანტის მომზადება) ვლადიმერ პაპავას გადადგომა?**

**ლევან ლორთქიფანიძე, თსუ-ს სტუდენტი, მაგისტრანტი:**

– ვფიქრობ, აკადემიური საბჭოც და რექტორიც მიჰყვება ჩვენს დღის წესრიგს. „აუდიტორია 115“-მა ვთქვით, რომ გამოცხადდეს უნივერსიტეტში გარდამავალი პერიოდი და აი, ამ რეალობის წინაშე ვართ, რექტორიც გადადგა ახლა და ერთი თვის მერე საერთოდ დატოვებს პოსტს, აკადემიური საბჭოც უარს ამბობს თავის უფლებამოსილებაზე და გადადგება. ახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს, როგორც აკადემიური საბჭოსი, ასევე, რექტორის. ჩვენი მთავარი სიმძიმის ცენტრი გადაგვაქვს გარეთ და ვთხოვთ სამინისტროს, შეცვალოს კანონი. ჩვენი სურვილია, რომ რექტორი აირჩიოს ყველა სრულმა და ასოცირებულმა პროფესორმა და აკადემიურმა შემადგენლობამ, რომელშიც 14 კაცის ნაცვლად, უნდა განისაზღვროს მინიმუმ 40-50 ადამიანი.

**— ლევან, „აუდიტორია 115“ რექტორის გადადგომაზე არ აკეთებდით კატეგორიულ აქცენტს და ახლა რატომ თვლით, რომ თქვენ დღის წესრიგს მიჰყვება უნივერსიტეტის მმართველობა?**

– ჩვენ ვამბობდით, რომ რექტორის გადადგომის გვეშინია მარტო იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური საბჭო ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას. თუ ორივე ინსტიტუტი გადადგება და ახალი წესებით ახალ აკადემიურ საბჭოსა და რექტორს ავირჩევთ, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავთ.

**— რაც შეეხება მოვალეობის შემცვლელს, ვინ შეიძლება იყოს ის, ან თქვენ ვინ გინდათ იყოს და ამ პროცესებსაც ხომ არ მოჰყვება გართულება?**

– არ ვიცით, მოვალეობის შემსრულებელი ვინ იქნება, ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობთ. მთავარია, ორივე უწყება მიდის, მარტო რექტორი კი არა, აკადემიური საბჭოც. მოვალეობის შემსრულებელი რამდენიმე თვით გარდამავალ ეპოქაში იქნება, შემდეგ ავირჩევთ ახალი წესდებით.

**— რექტორისა და აკადემიური საბჭოს არჩევნებამდე ელოდებით განათლების სამინისტროსგან ქმედით ნაბიჯებს? და რომ არ მიიყვანოს სამინისტრომ ბოლომდე საქმე და არ შევიდეს უმაღლესი განათლების კანონში ცვლილებები, ამის შემდეგ რა ზომებს მიმართავთ?**

– ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვიტოვებთ საყოველთაო სტუდენტური გაფიცვის ორგანიზების უფლებას. როგორ გამოგვივა, რანაირად გამოგვივა, ჯერ არ იცით, მაგრამ ვიტოვებთ ამ უფლებას.

**— რაც შეეხება თვითმმართველობას, ორიოდე კვირის წინ, მაშინ როცა მწვავე პროცესები იყო და რექტორის გადადგომას მოითხოვდნენ, დააანონსეს, რომ ისინიც გადადგებოდნენ... მე ვისაც ვესაუბრე, ამის შესახებ არაფერი ვიციო, მითხრა...**

– თვითმმართველობა პროცესებში აღარ არის აქტიური, საკითხი უკვე გადაწყვეტილია, განათლების სამინისტროს აქვს აბსოლუტური მზაობა, რომ თვითმმართველობის შესახებ მუხლი კანონში შეცვალოს, 1-ელ აპრილს ჩვენეულ ვარიანტს წარვუდგენთ სამინისტროს, სამინისტრო თავის ვარიანტით გვიპასუხებს და თვითმმართველობა რომ ამ ფორმით დამთავრებულია, გასაგებია.

**— თუმცა მათ 2 დღის წინ შიმშილობა დაიწყეს და რექტორის გადადგომასაც მათ პროტესტს მიაწერენ... ლადო პაპავამ თქვა, არ მინდა უნივერსიტეტში უმართავი პროცესები დაიწყოსო...**

– შეიძლება ეს ვიღაცას ასე მართლაც მოეჩვენა, მაგრამ ამის გამო არ გადამდგარა რექტორი. ეს იყო კუთხეში მიმწყვდეული თვითმმართველობის უკანასკნელი მცდელობა, გალაშქრება. თუმცა ჩვენ მათ არანაირ ძალად არ განვიხილავთ, ისინი არიან უნივერსიტეტის შიგნით მეათეხარისხოვანი აქტიორები. რაღაცებს წერენ, თითქოს მათ საწადელს მიაღწიეს, მაგრამ არც ვაქცევთ ყურადღებას, რადგან ჩვენ გაცილებით დიდი მიზნებისთვის ვიბრძვით, უნოვერსიტეტის სრული ავტონომიისთვის.

**დღის ბოლოს „ალია“, ასევე, დაუკავშირდა უკვე გადამდგარ რექტორ ვლადიმერ პაპავას და გადადგომის მიზეზებთან ერთად, მისი მომავალი საქმიანობითაც დაინტერესდა:**

**— ბატონო ვლადიმერ, თქვენ მიიღეთ მოულოდნელი გადაწყვეტილება, თუმცა ჯერჯერობით, აკადემიური საბჭო თქვენი თხოვნით, როგორც ვიცით, რჩება ივლისამდე ამ შემადგენლობით. რას აპირებთ, რჩებით უნივერსიტეტში თუ სხვა გეგმები გაქვთ?**

– ვნახოთ, აკადემიურმა საბჭომაც შეიძლება შეცვალოს გადაწყვეტილება და უფრო ადრე შეიწყვიტოს უფლებამოსილება. მე პირველ მაისამდე ვაგრძელებ რექტორის მოვალეობის არჩევამდე ჩემს საქმიანობას. გავაგრძელებ საქმიანობას, ისეთ საპატიო თანამდებობაზე, რასაც ჰქვია უნივერსიტეტის პროფესორი. ეს გამოიხატება სტუდენტებთან ლექციებზე სიარულში, ასევე, მაქვს სამეცნიერო საქმიანობა, რასაც აქტიურად გავაგრძელებ. სხვა რაიმე თანამდებობა დღის წესრიგში ახლა საერთოდ არ დგას.

**— სტუდენტები ითხოვენ აკადემიური საბჭოს წევრების რაოდენობის გაზრდას, ამას თუ ეთანხმებით?**

– კანონი გვავალებს ამას, ისედაც ეს უკვე სავალდებულო გახდა, როდესაც დეკემბერში მივიღეთ ცვლილება და შემოერთებული ინსტიტუტების წარმომადგენლები უნდა შევიყვანოთ აკადემიურ საბჭოში, რაც გამოიწვევს, ასევე, ფაკულტეტის რაოდენობის გაზრდას. შესაბამისად, ფაქტია კანონი გვავალებს და ვემხრობი-არ ვემხრობი – ეს ტერმინოლოგია უკვე არ არის მნიშვნელოვანი.

**— როგორც აღნიშნეთ, გადადგომა თვითმმართველობის წევრების ერთგვარ ზეწოლასა და შიმშილობას არ უკავშირდება, მაშინ რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება ახლა?**

– იცით, როგორ არის? მე გავითვალისწინე ყველა ფაქტორი, მათ შორის „აუდიტორია 115“-ის მოთხოვნა, მათ შორის სტუდენტური თვითმმართველობის შიმშილიც, მაგრამ მარტო ამის გათვალისწინებით, ეს გადაწყვეტილება არ მიმიღია. საკმაოდ დამოუკიდებელი პიროვნება ვარ და ვინმეს ჩემზე ზეგავლენის მოხდენა ასე ადვილად არ შეუძლია.

**— თუმცა, როგორც ჩანს, თქვენი დამოუკიდებლობა და „უმართავობა“ იყო მიუღებელი სწორედ „მავანთათვის“. როგორ ფიქრობთ, შესაძლოა, მართული რექტორი აირჩიონ თქვენს შემდეგ?**

– ვერ გეტყვით, ვფიქრობ, რაკი ახლა მოვალეობის შემსრულებელი უნდა აირჩიოს სრულიად აკადემიურმა კოლეგიამ, ვეჭვობ, 1500-200 კაცში ვინმეს გაყვანა იყოს შესაძლებელი.

## იტალია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას იწყებს



იტალიის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ლიბიის ტერიტორიაზე სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყება იგეგმება.

იტალიური მედიის ინფორმაციით, სამხედრო მისია, რომელიც ლიბიის სანაპიროებთან საზღვაო პატრულირების ჩართვას და ასევე, ავიაგამანადგურებელ „ტორნადოს“ მონაწილეობას ითვალისწინებს, დაუყოვნებლივ დაიწყება მას შემდეგ, რაც ლიბიის ხელისუფლებისგან შესაბამისი მოთხოვნა იქნება. (pia.ge)

## „თქვენი თეთრი ცხენი გადაინახეთ ოდესაში“ — ირაკლი სესიაშვილი „ნაციონალურ მოძრაობას“ მიმართავს




საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ირაკლი სესიაშვილსა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ გიორგი ვაშაძეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება ვიზალიბერალიზაციის თემას მოჰყვა.

გადაცემა „არჩევანში“ სესიაშვილმა განაცხადა, რომ ვიზალიბერალიზაციაზე 2013 წლამდე არავითარი განაცხადი არ გაკეთებულა. მან აღნიშნა, რომ ყველა ერთხმად აცხადებს, რომ საქართველომ ნაკისრი ვალდებულებები უმოკლეს ვადებში, ძალიან კარგად შეასრულა.

– სანამ ფაქტებს თვალს არ გაუსწორებთ, მანამდე ამ სიცრუით ილაპარაკებთ. სიმართლეს თვალი გაუსწორეთ და საქმე აკეთეთ. არ გინდათ ეს ბელეტრისტიკა. არ გრცხვენია, ირაკლი? სიმბოლო გახდით რეგრესისა და უკუსვლის, – მიმართა გიორგი ვაშაძემ სესიაშვილს.

თავის მხრივ, სესიაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ლიდერზე მიუთითა.

– თქვენი თეთრი ცხენი გადაინახეთ ოდესაში, – მიმართა სესიაშვილმა ვაშაძეს, რაზეც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საპარლამენტო უმრავლესობას აღნიშნული „თეთრი ცხენის“ ძალიან ეშინია. (pia.ge)

## „სტუმარმა აღარ გაიმეორა ის კონკრეტული ფორმულირება, რაც მან ადრე წაიკითხა „რუსთავი 2"-ის ეთერში"

უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე „ევროპის სახალხო პარტიის" თავმჯდომარის ვიზიტსა და მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს „ფეისბუკით" ეხმაურება და წერს:

– ჟოზეფ დოულის თბილისში ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრების შედეგების მიხედვით აშკარაა, რომ ნაციონალების მიერ დაგეგმილი ავანტიურა, ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარე შეეყვანათ შეცდომაში და მისი სახელით დაეშანტაჟებინათ ქართველი ამომრჩეველი – ჩ ა ვ ა რ დ ა !

უკვე ოფიციალურ შეხვედრებზე სტუმარმა აღარ გაიმეორა ის კონკრეტული ფორმულირება, რაც მან ადრე წაიკითხა „რუსთავი 2"-ის ეთერში და რაც ჩვენ და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმაც კი უმკაცრესად გავაპროტესტეთ.

ყველამ კარგად დაინახა, რომ ისევ თავი შეირცხვინეთ ჩვენი ევროპელი კოლეგების წინაშე, თორემ ქვეყნის შიგნით საკუთარ ავტორიტეტზე ისედაც კარგად უწყით, – წერს ზვიად კვაჭანტირაძე. (პირველი რადიო)

## უკრაინამ „ნაციონალებზე" ნადირობის სეზონი გახსნა!



საქართველოს მიერ ძებნილი ექსპრეზიდენტის უკანასკნელი თავშესაფარი დიდი ალბათობით უკრაინული ციხე იქნება.

„ნაციონალური მოძრაობის" ე.წ. რეფორმატორების ჯგუფი, რომელიც უკრაინის ასაყვავებლად ჩავიდა, ფართო მასშტაბებს ვერ გასწვდა და მხოლოდ ქინძის აყვავებით შემოიფარგლა. „ქინძმა" კი, უფრო მეტად რომ აყვავებულიყო, მის ირგვლივ მყოფი სარეველების გაწირვა დაიწყო. ჯერ საკუთარი რეკომენდაციით დანიშნული უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა და თანამდებობა დაატოვებინა, ხოლო შემდეგ უკრაინის, იაცენიუკის მთავრობას დაუპირისპირდა.

მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის ძალოვანი უწყებები საკუთარი ნაციონალური კადრებით შეავსო და საქართველოში მის მიერ აპრობირებული რეკეტისა და შანტაჟის სისტემაც ზურაბ ადეიშვილის მეშვეობით აამუშავა.

შეიქმნა „ოდესის კეთილდღეობისა და განვითარების" ფონდი, რომელშიც დარეკეტებულ ბიზნესმენებს ყოველთვიურად შეაქვთ თანხები. ფონდის დეკლარირებულ მიზნებს ოდესის კეთილდღეობა და განვითარება წარმოადგენს, რეალურად კი ფონდში აკუმულირებული თანხები სააკაშვილის პირად მიზნებს ხმარდება.

უკრაინულ მედიაში გამოქვეყნდა დოკუმენტები, სადაც ასახულია რაში იხარჯება „ოდესის კეთილდღეობისა და განვითარების" ფონდის მიერ გაღებული თანხები. თვითმფრინავის ბილეთები სოფო ნიჟარაძისთვის, ზურაბ ადეიშვილისთვის და „ნაცმოძრაობის" სხვა მაღალჩინოსნებისთვის, ასევე, ძვირად ღირებული ავტომობილების შეძენა პირადად მიხეილ სააკაშვილისა და მისი გარემოცვისთვის. ეს მცირე ჩამონათვალია იმ ხარჯებისა, რასაც სააკაშვილის მიერ შექმნილი ფონდი ხარჯავს.

ომში ჩაბმული უკრაინა საქართველოში ძებნილი პოლიტიკოსების იმედად იყო, მაშინ როდესაც უკრაინის შს მინისტრის ყოფილი მოადგილე სააკაშვილის კადრი ეკა ზღულაძე ბორისპოლის საბაჟოზე ფულით სავსე ჩემოდნით დააკავეს. ზღულაძის განცხადებით ჩემოდანში ჩაწყობილი 4 მილიონი დოლარი პარიზში შოპინგისთვის სჭირდებოდა.

ზღულაძის დაპატიმრება იმიჯს შეულახავდა სააკაშვილს და სწორედ ამიტომ მიშამ მის დიდ მეგობარს, უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ზღულაძის საქმის ჩაფარცხვა სთხოვა.

ზღულაძის შემდეგ, სააკაშვილის ქინძნარში მისმა მორიგმა კადრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გაიჯეჯილა. უკრაინის ჯანდაცვის სამინისტრო კორუფციაში ჩაეფლო და ოდესის გუბერნატორი იძულებული გახდა, ხალხის დასანახად თავად დაპირისპირებოდა საკუთარი რეკომენდაციით დანიშნულ მინისტრს. ალექსანდრე კვიტაშვილი მოხსნეს.

კვიტაშვილის ბედი უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილემ დავით საყვარელიძემაც გაიზიარა. საყვარელიძე დაკავებული თანამდებობიდან უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა გაათავისუფლა. მიხეილ სააკაშვილი საყვარელიძის განთავისუფლებამ შოკში ჩააგდო, რაზეც მისი რეაქციაც მეტყველებს. მან ვერ გაბედა, დაერეკა პეტრო პოროშენკოსთვის და საყვარელიძის განთავისუფლებაც საკუთარი პიარისთვის გამოიყენა. საყვარელიძის განთავისუფლების შემდეგ კი, 5000 დოლარით ხელში, ოდესის ოლქის მთავარი პროკურორი, სააკაშვილის რეკომენდაციით დანიშნული ალექსანდრე მოდებაძე დააკავეს.

ვინ იქნება შემდეგი? ეს ის კითხვაა, რომელიც სააკაშვილისა და ე.წ. რეფორმატორების გუნდთან დაკავშირებით უფრო ხშირად დაისმის.

უკრაინული პოლიტიკა ბოლო პერიოდში ულრან ტყეს დაემსგავსა, სადაც საქართველოდან გაქცეული უამრავი „ცხოველი" ამ დრომდე აფარებდა თავს. როგორც ჩანს, ნადირობის სეზონი უკრაინაშიც გაიხსნა! (marshalpress.ge)

## „ვახტანგ გომელაური წარმოადგენს რუსი ოლიგარქის მომსახურე პერსონალს"



საპარლამენტო უმცირესობის წევრ სერგო რატიანის განცხადებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური რუსი ოლიგარქის მომსახურე პერსონალს წარმოადგენს. დეპუტატის განცხადებით, დღეს არავის პირადი ცხოვრება დაცული არ არის, რაც სახელმწიფოს მოწყობის ელემენტარულ საფუძვლებს ანგრევს.

– უსაფრთხოების სამსახურის უფროსი წარმოდგენს რუსი ოლიგარქის მომსახურე პერსონალს. დღეს არ არსებობს თანამდებობის პირი, რომლის პირადი ცხოვრება არის დაცული და შესაბამისად, ეს ანგრევს სახელმწიფოს მოწყობის ელემენტარულ საფუძვლებს, – განაცხადა სერგო რატიანმა. (პირველი რადიო)

## სს საქართველოს რკინიგზის შვილობილ კომპანია „ტრანს კავკასუს ტერმინალსსა" და კომპანია LAM-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა









ს/ს „საქართველოს რკინიგზის" შვილობილმა კომპანიამ „ტრანს კავკასუს ტერმინალსმა" და **LAM** კომპანიათა ჯგუფმა განზრახვათა შესახებ მემორანდუმს ხელი მოაწერეს. მემორანდუმის თანახმად, კომპანიები სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობით, ხელს შეუწყობენ საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის მსოფლიო სავაჭრო გზებთან დაკავშირებას. ასევე, ერთობლივად შეიმუშავებენ საზღვაო კავშირს საქართველოს, თურქეთსა და შესაბამის ევროპულ ბაზრებთან.

– ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ „ტრანს კავკასუს ტერმინალსი" „ტრანს კასპიური კონსორციუმის" წევრი გახდა. კონსორციუმი ჩინეთიდან საქართველოში საკონტეინერო გადაზიდვებს უზრუნველყოფს, შემდგომში მათი სხვადასხვა მიმართულებით ტრანსპორტირების მიზნით. ჩვენი კომპანიის გარ-

და, კონსორციუმის წევრები არიან ჩინური, აზერბაიჯანული და ყაზახური კომპანიები. იმედი გვაქვს, რომ **LAM** ჯგუფი იქნება ერთ-ერთი კომპანია, რომლის მხარდაჭერითაც ჩვენ შავ ზღვაზე თურქეთისა და სხვა მიმართულებით საზღვაო მომსახურებას მივიღებთ, რომ შემდგომში სრულყოფილად უზრუნველვყოთ ჩინეთიდან წამოსული ტვირთის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ტრანსპორტირება, – განაცხადა „ტრანს კავკასუს ტერმინალსის" დირექტორმა **ლევან სულაბერიძემ**.

– ბოლო წლების განმავლობაში საქართველო სატრანსპორტო სფეროში მნიშვნელოვნად განვითარდა. ჩინეთი-საქართველოს აბრეშუმის გზა კი ამ მიმართულებით დამატებით შესაძლებლობებს აჩენს. **LAM** კომპანიათა ჯგუფი, როგორც გლობალური სატრანსპორტო კომპანია, „ტრანს კავკასუს ტერმინალსთან" პარტნიორობით ამ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას გეგმავს, რაც საქართველოს საშუალებას მისცემს, უფრო დიდი როლი ითამაშოს მსოფლიოს ტრანსპორტირების სფეროში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ამ პროექტში ჩვენი წვლილი შეგვაქვს, – განაცხადა **LAM** კომპანიათა ჯგუფის დირექტორთა საბჭოს აღმასრულებელმა სელიმ მაკზუმემ.

შეგახსენებთ, რომ „ტრანს კავკასუს ტერმინალსის" 100-პროცენტიანი წილის მფლობელია ს/ს „საქართველოს რკინიგზა". რკინიგზის შვილობილი კომპანია 2009 წელს დაარსდა და მართავს და ავითარებს საკონტეინერო ტერმინალებს თბილისსა და ფოთში.

ხოლო **LAM** კომპანიათა ჯგუფი 70-წლიანი გამოცდილების კომპანიაა, რომელიც თავისი საერთაშორისო ქსელების მეშვეობით საზღვაო და ლოგისტიკურ მომსახურებას აერთიანებს.

## ტიტა დანიშნულების ადგილზეა — ხე ივანიშვილის რეზიდენციის მომიჯნავე ტერიტორიაზე შეიტანეს



სპეციალისტებმა ასწლოვანი ტიტა დანიშნულების ადგილზე – ყოფილი პრემიერის რეზიდენციის მომიჯნავე ტერიტორიაზე შეიტანეს. ხე დენდროლოგიურ პარკში დაიდებს.

ხის გადატანას დანიშნულების ადგილას 4 სატვირთო მანქანის დახმარებით ცდილობდნენ. ამ დროისთვის ტერიტორია, სადაც ასწლოვან ტიტას დარგავენ, შემოღობილია.

ხის გადატანით სამუშაოებს თითქმის ერთი კვირა დასჭირდა. (ნიუპოსტი)

## ექსპერტები: რუსეთის ეკონომიკა კრიზისიდან მინიმუმ 2020 წლამდე ვერ გამოვა



ექსპერტების პროგნოზებით, რუსეთის ეკონომიკა კრიზისიდან მინიმუმ 2020 წლამდე ვერ გამოვა.

ექსპერტებმა ორი სცენარი განიხილეს. პირველი სცენარით, 2020 წლამდე, ნავთობზე ფასი 35 აშშ დოლარზე დაბლა არ უნდა ჩამოვიდეს. ამ შემთხვევაში მშპ შემცირდება 8,1 პროცენტამდე და ეკონომიკა 1,6 პროცენტით შემცირდება.

მეორე სცენარით, ნავთობის ფასი 45 აშშ დოლარამდე უნდა გაიზარდოს, ხოლო 2018-2020 წლებში – 50-მდე.

მეორე სცენარით, ეკონომიკა შემცირდება 0,6 პროცენტით.

ორივე სცენარის განხორციელების შემთხვევაში აუცილებელი იქნება საბიუჯეტო ხარჯების 22 ან 30 პროცენტით შემცირება. ასევე, უნდა შემცირდეს ან გაუქმდეს სოციალური დახმარებები, განსაკუთრებით უფასო მომსახურებები მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისთვის.

ექსპერტების მოსაზრებით, ეს ძალიან შეამცირებს ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ლოიალურობას, მიუხედავად აქტიური პროპაგანდისა, რასაც კრემლი დღესაც ახორციელებს. (ნიუპოსტი)

## „ორივე დედისერთა იყო“ — მორიგ საზარელ ავტოავარიას შეწირული სამი სიცოცხლე



სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა მორიგ საზარელ ავტოავარიას. ტრაგედია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის მახლობლად, ავტობანზე დატრიალდა. ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა, რის შედეგადაც ერთ-ერთი აფეთქდა.

შემთხვევის გამომწვევ მიზეზად ამ დროისთვის სიჩქარის გადაჭარბება სახელდება.



გარდაცვლილთაგან ორი – 22 წლის ჟულვერ ონიანი და 20 წლის გიორგი გორგოძე, რომლებიც „ბეემვეს“ მარკის მანქანაში იყვნენ, წყალტუბოს სოფელ ტყაჩირში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ, მესამე კი – 37 წლის მამაკაცი, რომელიც მეორე მანქანას მართავდა, საჩხერის მკვიდრი იყო. სამივე მათგანი ადგილზევე გარდაიცვალა; ადგილობრივთა თქმით, მათი გადარჩენა შეუძლებელი იყო.

ტრაგედიის შესახებ სოფელ ტყვაჩირის მცხოვრები მოგვითხრობს:

– საშინელება მოხდა, გონზე არ მოვსულვართ ჯერაც, ისეთი ჯიშისა და გენის ბიჭები მოგვიკვდნენ, ან რა ჭკუაზე უნდა ვიყოთ. ხარობდა მაგათი სიკარგით მთელი სოფელი, გულს უხაროდა ამ ბიჭების დანახვა. გიორგი მოცეკვავე იყო, მეორე დღეს გასტროლებზე უნდა წასულიყო ანსამბლთან ერთად... მეტირება, რომ მახსენდება, მთელი სოფელი ტირის. ორივე დედისერთა იყო, ჩვენს თვალწინ ორივე დიდი ჯაფით გაზრდილი... ორივე ისეთი ლალი იყო, კეთილშობილი, მეგობრებისა და ახლობლების სული და გული, თითქოს საუბედუროდ იყვნენ ასეთი კარგები, არ არსებობს სიტყვა, რომელიც მათ გამწარებულ დედებს ანუგეშებს.

**– ავტოკატასტროფების უმრავლესობა მძღოლების სიმთვრალის გამო ხდება...**

– ამ შემთხვევაში ეგ მიზეზი არ ყოფილა... ბიჭები ქუთაისში იყვნენ და იქიდან ბრუნდებოდნენ უკან, სოფელში. ჟულვერი იჯდა საჭესთან. საერთოდ, მანქანაც მისი იყო, საბრალო დედამისი იტალიაშია გადახვეწილი და იქ ნამუშევარი ფულით უყიდა შვილს მანქანა, რომ გაეხარებინა. ასე დაჰფოფინებდა თავზე... თავად ჟულვერის მამაც ავარიაში დაიღუპა და ბიჭი ძალიან მალე დაობლდა; დედამისი ყველაფერს აკეთებდა შვილის ბედნიერებისთვის.

მოკლედ, ბიჭები უკან რომ ბრუნდებოდნენ, ჩვეულებრივად ტრასით კი არ წამოვიდნენ, რადგან იქ საგზაო სამუშაოები მიდის, მათ ამ სამუშაოებს თავი აარიდეს და სოფელ ვარციხეში გადაუხვიეს, რომ იქიდან ამოსულიყვნენ სოფელ გეგუთში, მერე კი – ტყაჩირში, სახლში.

სწორედ გეგუთთან რომ ამოვიდნენ ავტობანზე, მაშინ მოხდა ავარია. ამაზე, იმ ტრაილერის მძღოლი ლაპარაკობს, რომელიც ავარიის მოწმე გახდა, თორემ მანქანაში მყოფნი ისე დაიხოცნენ, ამბის გამომტანი არავინ დარჩა. როგორც ტრაილერის მძღოლმა თქვა, ჟულვერი უკან მოჰყვებოდა და მისი გადასწრება მოინდომა. გადაუსწრო კიდეც და სწორედ ამ დროს შეეჯახა საპირისპირო მხრიდან მომავალ მანქანას.

უბედურებას სხვა რამემაც შეუწყო ხელი – რადგან ავტობანზე სამუშაოები მიმდინარეობს, გზა ნაწვიმარზე სველი და ტალახიანი იყო, ჟულვერი ტრაილერის გასწრებისას ამ ტალახზეც მოსრიალდა და საპირისპიროდ მოძრავ მანქანას ისეთი ძალით დაეჯახა, რომ ამ ორ მანქანაში მყოფი სამივე ადამიანი ადგილზევე დაიღუპა. მიცვალებულების გადმოყვანა გამვლელი ავტომანქანების მძღოლებმა სცადეს, მაგრამ მხოლოდ ორის გამოყვანა შეძლეს, – ჟულვერის მანქანიდან ერთ-ერთი რომ გადმოიყვანეს, მეორის გადმოსაყვანად ვეღარც შებრუნდნენ, მანქანა აფეთქდა და ცეცხლის ალში გაეხვია... (kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როდის დაიწყება და დასრულდება სწავლა საქართველოს სკოლებში — ცვლილება კანონში



საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წლის დაწყების თარიღად 15 სექტემბერი განისაზღვრა. შესაბამისი ცვლილება „საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის ბრძანებაში შევიდა.

თამარ სანიკიძის ბრძანებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო წლის დაწყების თარიღად განისაზღვროს 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების თარიღად 10 ივნისის შემდგომი პირველი პარასკევი. იმ შემთხვევაში თუ 15 სექტემბერი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, სასწავლო წელი 15 სექტემბრის შემდგომ პირველ სამუშაო დღეს დაიწყება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ 10 ივნისი ემთხვევა პარასკევს, სასწავლო წლის დასრულების თარიღად 10 ივნისი განისაზღვრა.

ამასთანავე, სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაცია 4 აპრილიდან დაიწყება.

4 აპრილიდან 18 აპრილის ჩათვლით რეგისტრაცია შეეძლებათ მხოლოდ იმ კატეგორიის მოსწავლეებს, რომელთა და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში, რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია და რომლის ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

რეგისტრაციის მეორე ეტაპი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე დაიწყება 4 მაისს. 4 მაისიდან 25 მაისი ჩათვლით დარეგისტრირება შეეძლება ყველა დანარჩენ მოსწავლეს, ასევე მათ, ვინც ვერ მოახერხა რეგისტრაციის პირველ ეტაპზე დარეგისტრირება. (ambebi.ge)

## გიორგი მარგველაშვილი — ვისურვებდი, აშშ-ს ჰქონდეს უფრო ღია და პროაქტიური პოლიტიკა საქართველოსა და ჩვენი რეგიონის მიმართ



ვისურვებდი, აშშ-ს ჰქონდეს უფრო ღია და პროაქტიური პოლიტიკა საქართველოს და ჩვენი რეგიონის მიმართ, – პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა ნატოსა და უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის აღმასრულებელი შტოს წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა.

მარგველაშვილის განცხადებით, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომლის გაცხადებული მიზანიც ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებაა.

– ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური გეზი ჩვენი ისტორიული არჩევანია. ჩვენი ქვეყნის მრავალი თაობა ცდილობდა, რომ ოცნება რეალობად ქცეულიყო. ჩვენ, ამ საერთო ევროპული სივრცის ბუნებრივი ნაწილი ვართ, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ამერიკა ყოველთვის ნატოს გაფართოებისა და კონკრეტულად, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის პროცესში მამოძრავებელი და გამწევი ძალა იყო.

– ვიმედოვნებ, რომ, ამ მხრივ, ვარშავის სამიტიც არ იქნება გამონაკლისი. ვისურვებდი, რომ აშშ-ს ჰქონდეს უფრო ღია და პროაქტიური პოლიტიკა საქართველოს და ჩვენი რეგიონის მიმართ; ეს კი ამერიკის პრეზიდენტის ჩართულობით უფრო ხელშესახები და ეფექტური იქნება, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. (ინტერპრესნიუსი)

## ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია — ებოლას ვირუსი საერთაშორისო საფრთხეს აღარ წარმოადგენს



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა ქვეყანას, ებოლას ვირუსის გამო დაწესებული სავაჭრო და სამოგზაურო შეზღუდვები გვინეაში, ლიბერიასა და სიერა ლეონეში გააუქმოს..

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მარგარეტ ჩენმა განაცხადა, ებოლას ვირუსი საერთაშორისო საფრთხეს აღარ წარმოადგენს.

საგანგებო სიტუაციების რეჟიმი ებოლას გამო 2014 წლის აგვისტოში დაწესდა, რა დროსაც დღეში ვირუსით დაინფიცირების ასზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა.

ებოლას ეპიდემია დასავლეთ აფრიკის რეგიონში 2013 წლის ბოლოს დაიწყო. შედეგად ვირუსს 11 000 ადამიანი შეეწირა. ყველაზე მეტად სწორედ ლიბერია, გვინეა და სიერა ლეონე დაზარალდა. (ინტერპრესნიუსი)

## ქუთაისში ორმაისობას წელს 3 მაისს აღნიშნავენ



ორმაისობის, იმავე გვირილობის დღესასწაულს ქუთაისში 3 მაისს აღნიშნავენ. როგორც ადგილობრივ თვითმმართველობაში განმარტავენ, დღესასწაული 3 მაისს იმ მიზეზით აღინიშნება, რომ მიმდინარე წლის 2 მაისი ბრწყინვალე კვირეულის დასაწყისს, ორშაბათს ემთხვევა.

არსებული ინფორმაციით, ორმაისობის დღესასწაული 3 მაისიდან მთელი კვირის მანძილზე სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება.

ქუთაისქალაქობის დღესასწაული სათავეს მე-20 საუკუნის დასაწყისში იღებს.

„გვირილობა“ გიმნაზიელ გოგონას ალექსანდრა ჩიქოვანის ინიციატივას და საქველმოქმედო აქციას უკავშირდება. გიმნაზიელმა გოგონებმა გვირილების გაყიდვის აქცია მოაწყვეს, რომ ტუბერკულოზით დაავადებულებს დახმარებოდნენ. ამ აქციას შემდგომში ტრადიციის სახე მიეცა და ქალაქის დღესასწაულად გადაიზარდა. (ნიუპოსტი)

## ფეიქრების ქუჩაზე საღებავების საწყობი დაიწვა




თბილისში, ფეიქრების ქუჩაზე მდებარე საღებავების საწყობს ცეცხლი გაუჩნდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, დამწვარია 250 კვ.მ ფართი. ადგილზე იმყოფებოდა 8 სახანძრო მანქანა.

შემთხვევის შედეგად, არავინ დაშავებულა.

ცეცხლის გაჩენის მიზეზები უცნობია. (pia.ge)

## საწყალი, სულ ასე ნათხოვარ-ნაჩუქარის იმედად იყო ეგ აქაც!..



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ მანქანა, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში გადაადგილდება, მას ნამდვილად არ ეკუთვნის.

– ეს არის მისი მეგობრის მანქანა. მე მგონი, კობა ნაყოფიასია, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, სავარაუდოდ, ასეა. ეს მანქანა ლეგალურად არის შეყვანილი უკრაინის ტერიტორიაზე, – განაცხადა ვაშაძემ.

მისივე ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა უარი განაცხადა იმაზე, რომ მისთვის, როგორც ახალი გუბერნატორისთვის მანქანა ეყიდათ.

– როგორც სტანდარტი, ახალი გუბერნატორი რომ ინიშნება, ყიდულობენ ახალ მანქანას. სთხოვა თავის მეგობარს, რომ არ დახარჯულიყო სახელმწიფო ბიუჯეტის ფული და მისი მანქანით ემოძრავა, – აღნიშნა ვაშაძემ.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ავტომობილი **Mercedes S63 AMG**, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი გადაადგილდება, 144 ათას აშშ დოლარამდე ღირს. ავტომობილს აქვს ქართული ნომრები – **GE-005-UA**, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს – საქართველოსა და უკრაინის ლათინური ინიციალები და „ნაციონალური მოძრაობის“ სიმბოლური ციფრი – 5.

გარდა ამისა, ანტიკორუფციულ ფორუმზე მიხეილ სააკაშვილი „როლექსის“ ოქროს საათით გამოჩნდა.

აღნიშნული საათი 11 ათასი აშშ დოლარი ღირს და ის 18-კარატიანი ოქროთია დამზადებული.

მედიის ინფორმაციით, ეს არ არის ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი მიხეილ სააკაშვილის ვრცელი კოლექციიდან, რომლის დემონსტრირებას სააკაშვილი სიამოვნებით ახდენს. კოლექციაში არის, ასევე, „ომეგა“ და ექსკლუზიური „ბრაითლინგი“. (ინფო9)

# შიხიაშვილს თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებდნენ. დაიჭერენ?!

**რაზე ისაუბრეს შიხიაშვილის გადადგომამდე გენერლებმა დავით თევზაძემ და კობა კობალაძემ? რა უსამართლობაში ამხილა „ალიამ“ ვეტერანების აქციის ორგანიზატორი ვახტანგ მაჭავარიანი?**





ეთერ გალაძე
593 15-64-47

**გუშინ ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი გადადგა. მანამდე ვეტერანებმა მისი გადადგომის მოთხოვნით არაერთი შიმშილობის აქცია მოაწყვეს. როგორც „ალიამ“ გაარკვია, შიხიაშვილის გადადგომამდე გენერლების — დავით თევზაძისა და კობა კობალაძის შუამდგომლობით ვეტერანებთან შეხვედრა უნდა გამართულიყო, მაგრამ შიხიაშვილი ამ შეხვედრაზე არ მივიდა. ამის შემდეგ ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარის ბედი იგივე დავით თევზაძეს და კობა კობალაძეს გადაუწყვეტიათ. ვეტერანებთან შეხვედრა არ იყო დასრულებული, რომ გიორგი კვირიკაშვილს ერთ-ერთი გენერლისთვის დაურეკავს და შიხიაშვილის გადადგომა უცნობებია.**

**რას აპირებენ ვეტერანები? ვინ სურთ დეპარტამენტის ახალ თავმჯდომარედ? ამის შესახებ „ალია“ ვეტერანებს ესაუბრა.**

**შიო კოპიძე,** ვეტერანი:

**— დიდი ხანია, ირაკლი შიხიაშვილის გადადგომას ითხოვდით და გადადგა. როგორ ფიქრობთ, გადადგა თუ გადააყენეს?**

– დარწმუნებული ვიყავით, რომ გადადგებოდა. ვეტერანთა შიმშილობის დაწყებამ კიდევ უფრო დააჩქარა მისი გადადგომა. ასევე, გენერლების კობა კობალაძისა და დავით თევზაძის რჩევით, ის გადააყენეს. შეკრებაზე, სადაც გენერლები იყვნენ შეკრებილი, დავით თევზაძე, კობა კობალაძე, ჯემალ ჭუმბურიძე, ანზორ მარგიანი და სხვები, ირაკლი შიხიაშვილი არ მოვიდა.

**— შიხიაშვილს გენერლებმა აიძულეს გადადგომა?**

– გენერლებმა აიძულეს მას შემდეგ, რაც დაპირისპირებულ ვეტერანებს მოგვისმინეს. დავით თევზაძემ განაცხადა, ჩემს თვალში ირაკლი შიხიაშვილმა, როგორც ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ, მოღვაწეობა დაამთავრაო. ამის შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დაურეკა ჩვენს ერთ-ერთ გენერალს (გვარი არ მინდა დავასახელო) და ამით დამთავრდა ყველაფერი – შიხიაშვილი გადადგა.

**— მის ადგილას ვის ისურვებდით, თქვენი აზრით, ვინ შეეფერება ამ ადგილს, რომ კიდევ შიმშილობა და აქციების ჩატარება არ მოგიწიოთ?**

– ვეტერანთა საერთო შეკრებამ უნდა გადაწყვიტოს ის, თუ ვის აირჩევენ დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

**— ვერ გავიგე, თქვენი კანდიდატურა არ გყავთ, პრემიერის სეთავაზებას ელოდებით?**

– ვეტერანები შევიკრიბებით და რამდენიმე კანდიდატურას შევთავაზებთ პრემიერს. ახლა გვარს ვერ გეტყვით, ჯერ უნდა შევთანხმდეთ. ახალი დეპარტამენტის თავმჯდომარე ჩვენ უნდა ავირჩიოთ, მას ვეტერანების ნდობა უნდა ჰქონდეს. თუ კვირიკაშვილი ჩვენს მიერ წარდგენილ კანდიდატს არ აირჩევს, გამოდის, რომ მან გადაუხვია მის მიერ დაანონსებულ კომუნიკაციის გზას და ჩვენი აზრი არ აინტერესებს. ვეტერანებთან შეთანხმების გარეშე ვეტერანთა დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე არ უნდა აირჩიონ.

**— მაინც ვინ სახელდება თქვენს წრეში სავარაუდო კანდიდატად? კობა კობალაძე დასახელდა სავარაუდო კანდიდატად...**

– კობა კობალაძე შეიძლება. ისე, ვეტერანებისთვის დავით თევზაძეც მისაღებია. მთავარია, კანდიდატურაზე შევჯერდეთ.

**— და მათგან ვინც არ უნდა დაინიშნოს იგივე მოთხოვნებს აღარ წაუყენებთ, რასაც შიხიაშვილს უყენებდით?**

– ვინც დაინიშნება, ყველას იმ მოთხოვნებს წავუყენებთ, რა მოთხოვნებიცაა. შიხიაშვილივით საზღვარგარეთ ვოიაჟებში თანხები რომ არ გაფლანგოს. 180 ათას ლარად რომ შიხიაშვილმა კაბინეტი მოიწყო და ვეტერანები გაჭირვებაში ვცხოვრობდით, ასე არ მოხდება.

**— თქვენ აცხადებდით, რომ ირაკლი შიხიაშვილმა თანხები გაფლანგა, ამაზე პასუხის მოთხოვნას აპირებთ?**

– ვეტერანთა დეპარტამენტში უნდა შევიდეს აუდიტის სამსახური და ჩატარდეს გამოძიება. შიხიაშვილის დანაშაული ის იყო, რომ ლაი-ლაის გარდა, არაფერს არ აკეთებდა.

**— არაერთი მოთხოვნა გქონდათ: ჰოსპიტალის აღდგენა, სოციალური დახმარებები და ა.შ. ახლი ხელმძღვანელი რომ დაინიშნება, თქვენი მოთხოვნა ისევ ძალაში დარჩება?**

– რა თქმა უნდა. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილთან არავითარი კომუნიკაცია არ ჰქონდა შიხიაშვილს, არც ჩვენი პრობლემები მიუტანია საკანონმდებლო ორგანოებამდე. ვეტერანთა 22-ლარიანი დახმარება 54 ლარამდე უნდა გაზრდილიყო და არ გაგვიზარდა. 22 ლარი სააკაშვილის ხელისუფლების დროს დაგვენიშნა, როდესაც დენი და გაზი უფასო გვქონდა. ჩვენთვის მთავარი სოციალური პრობლემებისა და ჯანდაცვის პრობლემების გადაწყვეტაა, ამიტომაც, არ გავჩერდებით, სანამ ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ.

**— საბინაო პრობლემებზეც საუბრობდით...**

– საბინაო საკითხები კატასტროფაა. ცოტა ხნის წინ, გენერალი „გარაჟიდან“ გავასვენეთ.

**— რომელი გენერალი?**

– გურამ ნიკოლაიშვილი. მას ბინა არ ჰქონდა. ამ ხელისუფლების დანაშაული ის არის, რომ ვეტერანთა შესახებ კანონი არ მიიღეს. სამი წლის განმავლობაში კანონი ვერ მიიღეს. ომის დროს მთავარი რეზერვი ომის ვეტერანები არიან, მაგრამ, როდესაც ისინი ხედავენ, რომ მათ მიიმართ ყურადღება არ არის, მათ ომის და სამშობლოს დაცვის სურვილი აღარ ექნებათ.

ვახტანგ მაჭავარიანი, რომელიც ვეტერანების საპროტესტო გამოსვლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, აღმოჩნდა, რომ „მასმედიის მესაფლავედ“ „ცნობილი“ მოსამართლის, თამაზ ურთმელიძის პროცესების მონაწილე ყოფილა და „ალია ჰოლდინგის“ წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესებზე უსამართლო (არ ვიცი, კიდევ რა შეიძლება ითქვას, ალბათ, „ნაძირალური“) როლი შეასრულა. პროცესებზე, სადაც „ალია ჰოლდინგის“ მოწმეები არც კი გამოუძახიათ, 65 ათასი ლარი წაგვართვეს და აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის მიერ პედოფილად შერაცხულ მსახიობ ოთარ კობერიძეს „მიაშავეს“. ახლა, ამ „სიმართლის“ მქონე ადამიანი როგორ შეიძლება წუხდეს ვეტერანებზე, რითია ის შიხიაშვილზე უკეთესი?

**ამის მიუხედავად, „ალია“ მას მაინც დაუკავშირდა:**

**— თქვენ იყავით ოთარ კობერიძის ადვოკატი, რომელმაც „ალიას ჰოლდინგს“ უჩივლა და სასამართლო პროცესს უძღვებოდა „ცნობილი“ მოსამართლე თამაზ ურთმელიძე. სწორედ თქვენი ადვოკატობით „ალია ჰოლდინგს“ მოწმეების მონაწილეობის გარეშე, წააგებინეთ სასამართლო პროცესი. ასეა?**

– დიახ, მე ვიყავი ოთარ კობერიძის ადვოკატი.

**— არ შეგრცხვათ, როდესაც „ალია ჰოლდინგის“ მოწმეების არგუმენტები არც კი მოგისმენიათ და მოსამართლის გადაწყვეტილებას ისე დაეთანხმეთ? 65 ათასზეა საუბარი, დიდ ფულზე...**

– მე რა შუაში ვარ? თქვენი ადვოკატი გყავდათ და თანაც საკმაოდ კვალიფიციური და ერუდირებული. ამასთანავე, სტატიის ავტორიც ესწრებოდა პროცესს, პირველ ინსტანციაში წავაგეთ და მეორე ინსტანციაში მოვიგეთ.

**— მე სხვა რამე გკითხეთ, ისე ჩატარდა პროცესი, არც კი დაინტერესებულხართ, რესპონდენტი, ვის ნათქვამზეც საქმე აღიძრა ჩვენს წინააღმდეგ, რას იტყოდა. ეს არის თქვენი სამართლიანობა? თქვენი სამართლიანობის იმედად უნდა იყვნენ ვეტერანები?**

– ვისი არ იყო?

**— ვისი არ იყო და ბრალდების უშუალო ავტორი არ გამოუძახაია მოსამართლეს და არც თქვენ დაინტერესებულხართ, რას იტყოდა ელიზბარ ჯაველიძე. ამოიღეთ გადაწყვეტილება, იქ ყველაფერი წერია.**

– მე პროკურორი კი არა ვარ.

**— 65 ათასი ლარი უსამართლოდ წაართვით ჩვენს ჰოლდინგს, პროცესი ჩაატარეთ ისე, რომ ჩვენი მხრიდან არ ესწრებოდნენ მოწმეები და არც ჩვენი მხარის არგუმენტები მოუსმენია სასამართლოს და თუ მართლა შეგტკივათ გული სამართლიანობაზე, თუ პირადი ინტერესი არ გაქვთ და სამართლიანი ადამიანი ხართ, ასეთი რამე რატომ დაუშვით?**

– ჯერ ერთი, 50 ათასი ლარი იყო და მეორეც, მე რა წავაგებინე, ყველანი იყვნენ სასამართლო პროცესზე მოსული. მე რა შუაში ვარ, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება.

**— მაგრამ თქვენ, ეტყობა, მხოლოდ პროცესის მოგება და ანაზღაურება გაინტერესებდათ და არა სიმართლე და სამართლიანობა...**

– თქვენც ხომ გყავდათ ადვოკატი? 90 წლის კაცს რომ შეურაცხყოფას აყენებ, ეს სწორი საქციელია? დაამტკიცეთ, რომ დააშავა?

**— მერე, მოგეთხოვათ სასამართლოზე ელიზბარ ჯაველიძის მოსვლა, ვინც ამას დაამტკიცებდა, რატომ არ მოითხოვეთ?**

– მე რა შუაში ვარ? ახლა, ამის გამო პერსონა ნონ გრანტად ნუ გამომაცხადებთ „ალია ჰოლდინგი“...

## „რესპუბლიკელები“ და „ფორუმი“ არჩევნებში კენჭს დამოუკიდებლად იყრიან“



„რესპუბლიკური პარტია“ და „ეროვნული ფორუმი“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კენჭს კოალიციისგან დამოუკიდებლად იყრიან. ამის შესახებ ჟურნალისტი ინგა გრიგოლია „ფეისბუკის“ გვერდზე წერს:

– „რესპუბლიკელები“ და „ფორუმი“ არჩევნებში კენჭს კოალიციისგან დამოუკიდებლად იყრიან. ჯერ არ ადასტურებენ, მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულია... – წერს ჟურნალისტი. (news.ge)

## ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი: ვიზალიბერალიზაცია გექნებათ, მაგრამ...



ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტმა ჟოზეფ დოლიმ ე.წ. მატროსოვის ციხეში ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია და გიგი უგულავა მოინახულა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესში არსებობს პროცედურა, რომელიც გრძელდება და იქნება პოზიტიური. მისი თქმით, არ იცის საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის ამოქმედება მოხდება 15 ივნისს თუ წლის ბოლოს.

– მინდა ვუთხრა ქართველებს, საქართველოს მოქალაქეებს – ვიზალიბერალიზაცია გექნებათ, მაგრამ შეიძლება ეს დროში გაიწელოს. ეს არის ევროპული პროცედურა. მოგეხსენებათ, ევროპაში დღეს არის ტერორიზმის საკითხი, ბევრი საკითხი, რომელიც ევროპას აწუხებს.

მე მაკრიტიკებენ, მაგრამ შემიძლია გავცე პასუხი. მინდა, რომ საქართველო სამართლებრივი, თავისუფალი და ევროპული სახელმწიფო იყოს, ეს არ დამავიწყდება. ერთიც უნდა ვთქვა, მე გავაგრძელებ მუშაობას „ნაციონალურ მოძრაობასთან“, რომელიც იცავს ამ სამ ადამიანს და იმ ევროპულ მომავალს, რომელიც საქართველოს აქვს, – განაცხადა ჟოზეფ დოლიმ. (marshalpress.ge)

## სახალხო დამცველის აპარატი 105 500 ლარის ღირებულების Mercedes-Benz -ს ყიდულობს




სახალხო დამცველის აპარატი ავტომობილ **Hyunday**-ს სანაცვლოდ 105 500 ლარის ღირებულების **Mercedes-Benz GLA**-ს ყიდულობს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნულ ავტომანქანას ომბუდსმენის აპარატი გამარტივებული შესყიდვის წესით ყიდულობს, რაც ნიშნავს იმას, რომ უწყება პირდაპირ აფორმებს ხელშეკრულებას კომპანიასთან. ამ შემთხვევაში ომბუდსმენის აპარატმა ხელშეკრულება შპს „ავტო თრეიდ ინ-თან" გააფორმა.

დოკუმენტის მიხედვით, **Hyunday 7 000** ლარით არის შეფასებული. ამავე ხელშეკრულებით, ფასთა სხვაობა, ანუ 98 500 ლარის ანაზღაურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღეში უნდა განხორციელდეს.

2016 წელს გამოშვებული რუხი **Mercedes-Benz**-ის შესყიდვის ხელშეკრულებას ხელს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე აწერს.

როგორც „ლიბერალს" სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩანაცვლება მათი რემონტისთვის გაწეული ხარჯის ზრდის გამო გადაწყვიტეს.

– მანქანაზე, რომელიც ჩანაცვლდა, არსებობს ლევან სამხარაულის ბიუროს სპეციალური დასკვნა. მოხდა მისი შეფასება, დაანგარიშდა ყოველწლიური ხარჯი, რის გამოც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აუცილებელი იყო მისი ჩანაცვლება, – ამბობს ომბუდსმენის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე.

რაც შეეხება კითხვას, რატომ შეჩერდა არჩევანი ასეთ ძვირად ღირებულ ავტომანქანაზე, ბელთაძე ამას სახალხო დამცველის აპარატის წინაშე არსებული ამოცანების შეუფერხებლად შესრულების მოტივით ხსნის.

– გამოწვეული იყო აუცილებლობა და საჭიროება სწორედ სახალხო დამცველის შესახებ კანონის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს, რომ აპარატი აუცილებელია, აღჭურვილი იყოს ტექნიკური საშუალებებით, რათა მოხდეს უფლებამოსილების სრულად განხორციელება. აპარატი უნდა იყოს სრულად უზრუნველყოფილი ყველა შესაბამისი ტექნიკური საჭიროებით, რომ შეუფერხებლად შეძლოს თავისი უფლებამოსილების განხორციელება. ზოგადად თუ გადავავლებთ თვალს აპარატის აქტივობებს, მათ შორის რეგიონული ოფისების ზრდის ტენდენციას, ამავდროულად ახალი უფლებამოსილებების გაჩენას, ზოგადად, თანამშრომელთა რიცხოვნობა და დაფარვის არეალი საკმაოდ დიდია, შესაბამისად, ეს საჭიროება გამოწვეული იყო სწორედ აპარატის წინაშე დასახული ამოცანების შეუფერხებელი და სრულად შესრულებისთვის, – ამბობს ბელთაძე.

მისი თქმით, ვინ ისარგებლებს ახალი ავტომანქანით, ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ არის. (liberali.ge)

## „ნაციონალური მოძრაობა" არჩილ ხაბაძის იმპიჩმენტს იწყებს



აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, პეტრე ზამბახიძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა" არჩილ ხაბაძის იმპიჩმენტს იწყებს. პარტიაში აცხადებენ, რომ ხაბაძე მოსახლეობის ინტერესებს უგულებელყოფს, რადგან საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე დავით კვაჭაძეს უკვე მეორედ წარადგინა, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესმა საბჭომ ამ კანდიდატს მანამდე ორჯერ უთხრა უარი.

დეპუტატის განცხადებით, აჭარის კონსტიტუციის მიხედვით, აქვს უფლება, იმპიჩმენტი მოითხოვოს.

საკითხზე მსჯელობის დასაწყებად „ნაციონალურ მოძრაობას" 7 ხმა სჭირდება, რაც უკვე აქვს. ზამბახიძე აცხადებს, რომ ფრაქციებთან კონსულტაციას გაივლის და თუ რომელიმე მათგანს იმპიჩმენტის საკითხის განხილვის მზაობა აქვს, შეუძლია, შეუერთდეს.

კანონმდებლობით, სხდომის ჩანიშვნას ხელმოწერების რეგისტრაციიდან ერთი თვე სჭირდება, საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას კი – უმაღლესი საბჭოს 21 დეპუტატიდან 14-ის თანხმობა. აჭარის უმაღლეს საბჭოში მმართველ პარტიას ხმათა უმრავლესობა არ აქვს. (პირველი რადიო)

## ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის უფროსად კობა კობალაძე ინიშნება?

ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კობა კობალაძე ინიშნება.

კობალაძე ამჟამად გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის" წევრია.

შეგახსენებთ, რომ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის უფროსი ირაკლი შიხიაშვილი თანამდებობიდან გადადგა. გადადგომამდე კი



ის საქართველოს პრემიერ-მინისტრს შეხვდა და, სავარაუდოდ, გადაწყვეტილებაც ამ შეხვედრის შემდეგ მიიღო. (პირველი რადიო)

## „100-პროცენტიანი დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომ ჩანაწერები არ გავრცელდება"

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, 31 მარტს, დაანონსებულ ვიდეოებთან დაკავშირებით, ერთი დღით ადრე განმარტებები გააკეთა და იმედი გამოთქვა, რომ ვიდეოები არ გავრცელდება:

– ამაზე ვერავინ ვერ იტყვის, რომ ეს არ გავრცელდება, ან გავრცელდება. იმედი გვაქვს, რომ ეს არ მოხდება და არ გავრცელდება, თუმცა 100-პროცენტიანი დარწმუნებით ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს არ მოხდება და არ გავრცელდება. თუ გავრცელდა, გამოძიება მიმდინარეობს პროკურატურაში. ურთულესი საქმეა. მოლოდინს ვერ შეგიქმნით, რა თქმა უნდა, პროკურატურა იძიებს და ჩვენ ვეხმარებით, სპეციალური ჯგუფია შექმნილი, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროც არის, ჩვენც ვართ და მაქსიმალურს ვაკეთებთ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა. (პირველი რადიო)

## „პროკურატურაში პრეტენზია ჰქონდათ, რატომ არ ვნახე ის კადრები"



ვანო მაჭავარიანი პროკურატურას პოლიტიზებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ძირითადი კითხვები მას ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით დაუსვეს.

– დავრწმუნდი იმაში, რომ პროკურატურაში ჩვენების მიცემას აზრი არ აქვს. პროკურატურა არის პოლიტიზებული. ძირითადი კითხვები იყო ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით და ასევე, იყო ოთხი საათი შეთანხმება პროკურორთან გამომძიებლის მიერ, რა უნდა ჩაწერილიყო ჩვენებაში და ძირითადი პრეტენზია ჰქონდათ, რატომ არ ვნახე ის კადრები, რომელიც ჩემთან შემოვიდა საიტის ან ჯგუფის დაშეარებული თვალსაზრისით. მე ამას არ ვნახავდი იმიტომ, რომ მიმაჩნია, რომ ეს არის პირადი, – განაცხადა მაჭავარიანმა. (პირველი რადიო)

## „რესპუბლიკელები" კოალიციიდან გამსვლელები არ არიან... მათ საუბარი აქვთ კვოტებზე და სხვაზე არაფერზე"

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატ ომარ ნიშნიანიძის აზრით, „რესპუბლიკელების" კოალიციიდან გასვლის საკითხი პოლიტიკური ვაჭრობის თემაა და აცხადებს, რომ საუბარია მხოლოდ კვოტებზე:

– მე დიდი მოლოდინი არ მაქვს, რომ რაიმე არაჩვეულებრივს იტყვიან ისინი. იტყვიან იმას, რაც თქვეს ამდენ ხანს. კოალიციიდან ისინი გამსვლელები არ არიან. მგონია, რომ ეს პოლიტიკური ვაჭრობის თემაა. ეს მიღებულია პოლიტიკაში და საბოლოოდ შევთანხმდებით. მათ საუბარი აქვთ კვოტებზე და სხვაზე არაფერზე. თუმცა მთავარია, სახელმწიფო ინტერესები არ გადავწიოთ უკან, – განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ. (პირველი რადიო)

## ვახტანგ გომელაური – როდესაც სუს-ი შს სამინისტროს გამოეყო, კანონის მიღების შემდეგ, „ოდეერის" სამსახური გაუქმდა



– როდესაც სუს-ი გამოეყო შინაგან საქმეთა სამინისტროს, კანონის მიღების შემდეგ, „ოდეერის" სამსახური გაუქმდა, – ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, ვახტანგ გომელაურმა ე.წ. ოდეერების თემის კომენტირებისას განუცხადა.

– პარლამენტის მიერ 25 სტრატეგიული ობიექტი იყო დამტკიცებული, სადაც უნდა მივლენილიყო უსაფრთხოების ოფიცრები, თუმცა მე შემიძლია გითხრათ, რომ ნახევარზე ოდნავ მეტი, 16 კაცამდეც ჯერ არ არის დანიშნული, იქიდან გამომდინარე, რომ ეს არ ხდება ერთი პირის გადაწყვეტილებით, – განაცხადა გომელაურმა.

მისივე განმარტებით, როდესაც სუს-ი არ იყო გამოყოფილი შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, მაშინდელ კანონში ეწერა, რომ შს მინისტრი იღებდა გადაწყვეტილებას, ამა თუ იმ სამინისტროში თუ სამსახურში წარგზავნიდა „ოდეერს" და იქ უნდა დანიშნულიყო აუცილებლად.

– დღეს ეს არის ორმხრივი ხელშეკრულებით მიღებული პრაქტიკა, რომ, თუ რომელიმე მხარე წინააღმდეგია, ეს ადამიანი არ დაინიშნება. თუ სუს-ის უფროსმა გადაწყვიტა, რომ ოფიცერი უნდა დაინიშნოს ამა თუ იმ სამსახურში თუ სამინისტროში, ასე არ ხდება, თუ იქიდან არ იქნება თანხმობა, – განაცხადა გომელაურმა. (ინტერპრესნიუსი)

## ამერიკა თურქეთიდან საკუთარი მოქალაქეების ევაკუაცია დაიწყო



აშშ თურქეთის სამხრეთიდან საკუთარი მოქალაქეების ევაკუაციას ახდენს.

პენტაგონმა თურქეთიდან თავდაცვის უწყების წარმომადგენლებისა და დიპლომატების ოჯახების გაყვანის ბრძანება გასცა. საუბარია 670 ადამიანზე, რომლებიც ამჟამად ადანაში, იზმირსა და მუგლაში იმყოფება.

როგორც აშშ-ის შეიარაღებული ძალების სარდალმა ევროპაში, ფილიპ ბრიდლავმა განაცხადა, ამის მიზეზი უსაფრთხოების ზომებია, რაც თურქეთის ხელისუფლებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღეს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ყველა ამერიკელი გააფრთხილა, თავი შეიკავონ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოგზაურობისგან.

– არ არის კონკრეტული საფრთხე, თუმცა, ეს გადაწყვეტილება ეყრდნობა იმას, რაც ბოლო პერიოდში რეგიონში მოხდა, – აღნიშნა პენტაგონის პრესსპიკერმა პიტერ კუკმა.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ თურქეთის დაუყოვნებლივ დატოვებისკენ საკუთარ მოქალაქეებს მოუწოდა ისრაელმაც.

ამავდროულად, რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ" თურქეთში ახალი ტერაქტები დააანონსა. (ნიუპოსტი)

## მამუკა გორგოძე: „შენი გადასაწყვეტი არაა, შევალთ თუ არა 6 ერში!"



რამდენიმე დღის წინ იტალიის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა პარისემ განაცხადა, რომ საქართველო 6 ერში არ უნდა შევიდეს.

მის ამ კომენტარს ბორჯღალოსნების ლიდერი მამუკა გორგოძე გამოეხმაურა.

– პარისეს გადასაწყვეტი ნამდვილად არაა, შევალთ თუ არა 6 ერში. მისი საქმე რაგბის თამაშია და სჯობს, ამას მიხედოს. ერთ რამეს დანამდვილებით გეტყვით – საქართველოს ნაკრები უელსთან 70-ქულიანი სხვაობით არ დამარცხდება, მაგრამ ამის მიუხედავად, ვფიქრობ, ჯერ 6 ერში შესასვლელად მზად არ ვართ.

17 წელი რომ ამ ტურნირზე გვეთამაშა, დიდი პროგრესი გვექნებოდა, იტალიელებისგან განსხვავებით. რა თქმა უნდა, მათ დიდ პატივს ვცემ. კარგი გუნდია და კარგი მოთამაშეებიც ჰყავს, მაგრამ თუ ასე დარწმუნებულები არიან თავიანთ ძალებში, გვეთამაშონ და დაგვიმტკიცონ, რომ ჩვენზე ძლიერები არიან.

პარისე მსოფლიო დონის მოთამაშეა, მაგრამ ამ სიტყვებით მან შეურაცხყოფა მოგვაყენა, - აცხადებს გორგოძე. (goal.ge)

## მეგის ქარდავა ბიძინას დავალებით მოქმედებდა



ჩემი უბნელია. კოორდინატორად მუშაობდა, დღეს გამეჩითა.

– ვა, ლამარა? როგორ ხარ, გოგო? მოდი, სადმე კუთხეში დავდგეთ და მოგუდულად ვიმღეროთ, „მიშა, მაგარია“ – წავუმღერე.

– არ ეშვები ხო, მაიმუნობას, გიორგი.

– გაგაგდეს, გოგო, ბალიდან?

– უკანონოდ!

– აბა, რა გეგონათ? თორმეტი წელი რომ ამღერებდით ბავშვებს „მიშა მაგარიას“ და ნაციონალების ბუდედ რომ გქონდათ გადაქცეული სახელმწიფო სტრუქტურა, შეგრჩებოდათ? ოცნებას რა ვუთხარი, მაგ ფარჩაკებს, ამდენ ხანს რომ გაჯეჯილეს! თქვენზეც არის წილი, იმ საზიზღრობების, რასაც ნაციონალები აკეთებდნენ.

– არ გინდა ეგ ბიძინას ასმეტრიანი მცურავი ხის ზღაპრები. ხომ გაირკვა ყველაფერი?

– რა, მაგალითად?

– რა და ვინ გადაიღო ის ათასობით ფირი, სამარცხვინო!

– ვინ?



– მეგის ქარდავამ, ბიძინას დავალებით. მერე ჩადეს ბოჩკებში, დამარხეს და არჩევნების მერე ამოთხარეს!

– ვა! ეს რაღაც ახალია!

– რა გაიკვირვე? სადაც ბედუკაძე იყიდეს და დაადგმევინეს, იქ მეგისას ვერ იყიდდა ეგ პუტინის მონა?

– მიშაც იყიდა?

– მიშა რა შუაშია?

– რატომ მისცა მეგისას ღირსების ორდენი მიშამ?

დაიბნა, აიჭრა, ბუტბუტი დაიწყო, „ეგ არ უთქვამთ, უნდა ვკითხო“...

– ვის უნდა ჰკითხო, ბოკერიას?

– რა ბოკერია! თავი გამანებეეე! ეგ მოიგონეს ქოცებმა! არავითარი მედალი არ მიუცია! ტყუილია!

თითქმის სირბილით გამეცალა. ქარი უბერავდა, ქაღალდის და ცელოფნების ნაგლეჯებს აყრიდა ჩემს წინ მიჩქარულ, საკმაოდ ლამაზ ქალბატონს, მე კი ჩურჩულით მეუბნებოდა, „არ გრცხვენია, გიორგი, ავადმყოფს დასცინი?“ – შემრცხვა!

(გიორგი ბერეჟიანი, tb24.ge)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# აქციების შიშით „ოცნების“ ხელისუფლება კანონს ამკაცრებს



**„ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი მორიგ განგაშს აცხადებს. მისი თქმით, იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომლის თანახმადაც, საპროტესტო შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესების დარღვევა (რომელიც დღემდე ისჯება ადმინისტრაციული წესით) გახდება სისხლის სამართლის დანაშაული.**

**რასთან გვაქვს საქმე? რატომ ცდილობს ხელისუფლება, რომელმაც სააკაშვილის მიერ დაწესებული 2-თვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე შეამცირა, ახლა ყველაფერი სისხლის სამართალში გადაიყვანოს?**

„ალიას“ **ზაზა ხატიაშვილი** ესაუბრება:

– ეს არის კატასტროფა, ვილაცებს დაიჭერენ, თუ აქამდე 500 ლარამდე ჯარიმა იყო, ახლა შეყრიან ციხეში 3 თვით და მერე შიგნით კიდევ რამდენს დაუმატებენ, ღმერთმა იცის. აქ არ მოქმედებს წინასწარი პატიმრობა, ეს იქნება ერთდღიანი პროცესი, სადაც მოგისჯიან ან 3-თვიან პატიმრობას, ან კიდევ ჯარიმას. ამჟამად მოქმედებს მარტო ადმინისტრაციული სასჯელი, არსებობს 174-ე პრიმა მუხლი, რომელიც გვეუბნება, რომ „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-9 და მე-11 მუხლების დარღვევა ითვალისწინებს დაჯარიმებას 500 ლარამდე, ან 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას. სულ ესაა. ახლა ივანიშვილის ხელისუფლება წინასაარჩევნოდ ცვლის სისხლის სამართლის კოდექსს და ამ მოტივით დაპატიმრებული ადამიანი შემდგომში ჩაითვლება ნასამართლევად. როგორც ვხედავთ, ხელისუფლებამ უკვე დაიწყო მურუსიძეების დაცვა საკანონმდებლო დონეზე.

**— ეს ინიციატივა პარლამენტში უკვე შეტანილია?**

– ჯერ არა. ჩვენ, „ადვოკატთა ასოციაცია“ ვართ უწყებათაშორის საბჭოში, გამოგვიგზავნეს საკანონმდებლო ინიციატივა და გვთხოვეს, ჩვენი მოსაზრებები წარგვედგინა. ასევე, ყველა არასამთავრობომ, ვისაც გაუგზავნეს, გასცა პასუხი, წარადგინა წინადადებები, ჩვენც მივწერეთ, რომ არ ვეთანხმებით, მაგრამ რამდენად იქნება გათვალისწინებული, ამას უახლოეს ხანში გავიგებთ. მაშინ, როცა იუსტიციის სამინისტრომ სამართლიანობის აღდგენაზეც კი ვერ მიიღო ვერავითარი დოკუმენტი, ახლა უცებ ინიციატივა შემოაგდეს და ასეთ რაღაცას აკეთებენ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ეს პარლამენტში შევიდეს, თორემ მიიღებენ, რადგან ეს არის მთავრობის დაკვეთა.

**— ვერ გავიგე, შენ ამბობ, მთავრობამ მურუსიძის დაცვა გადაწყვიტა საკანონმდებლო დონეზეო, თან იძახი, წინასაარჩევნოდ „ჩალიჩობენო“. თუ საარჩევნოდ სჭირდებათ, რომ ვინმე დაუკრეფავში არ გადავიდეს, მაშინ მურუსიძე რაღა შუაშია?**

– ორივეს გამო აკეთებენ ასე, მე-9 და მე-11 მუხლები პირდაპირ არის არჩევნებზე მიბმული, მაგრამ რაც შეეხება სასამართლოს შესასვლელის ბლოკირებას, მანიფესტაციის მოწყობას მოსამართლის საცხოვრებელ ადგილთან, ესეც ისჯება ადმინისტრაციული კოდექსით, რომელიც ითვალისწინებს 15 დღით პატიმრობას. ახლა ესეც ხდება სისხლის სამართლის დანაშაული. ხვალ რომ მე ლევან მურუსიძეს მოვუწყო მანიფესტაცია და მისი საქმიანობა გავაპროტესტო, 3 თვით გამომამწყვდევენ ციხეში, თუ შენც მოხვალ აქციაზე, ასევე მოგექცევიან და ორივე ვიქნებით ნასამართლევები. საქმე ის არის, რომ აქ დაკონკრეტებულია სასამართლო. ეტყობა, ძალიან ეშინიათ, თორემ ამას რატომ აკეთებენ?

**— შენ ამას წინათ მითხარი, მურუსიძეს რომ აქციებს ვუწყობ, 100 კაციც აღარ გამოდის აქციაზეო, რისიღა ეშინიათ?**

– დრო მოვა და საშიში გახდება, მოახლოვდება არჩევნები. ხალხმა ივანიშვილს მისცა ხმა და მის აქციებზეც გამოდიოდა სულ ცოტა 100 ათასი კაცი იმიტომ, რომ მურუსიძეები მოგვეშორებინა. ახლა ეს მურუსიძეები არჩევნების დროს რომ ჩაიდენენ არაერთ უკანონობას, ხომ უნდა დაიცვან? ვინც გამოვა ქუჩაში და იქნება ყველაზე აქტიური, 3 თვე გაუშვებენ პირდაპირ ციხეში... რა, მურუსიძის სასამართლო კიდევ არ მოგისჯის თუ რა?

**„ხალხმა ივანიშვილს მისცა ხმა და მის აქციებზეც გამოდიოდა სულ ცოტა 100 ათასი კაცი იმიტომ, რომ მურუსიძეები მოგვეშორებინა. ახლა ეს მურუსიძეები არჩევნების დროს რომ ჩაიდენენ არაერთ უკანონობას, ხომ უნდა დაიცვან? ვინც გამოვა ქუჩაში და იქნება ყველაზე აქტიური, 3 თვე გაუშვებენ პირდაპირ ციხეში... რა, მურუსიძის სასამართლო კიდევ არ მოგისჯის თუ რა?“**

**— ზაზა, ევროპის ქვეყნებში რა ხდება, ამ მხრივ რა გამოცდილებაა?**

– ჯერ ერთი, ეს ყველაფერი წინააღმდეგობაში მოდის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებთან და, ასევე, ირღვევა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლები. კი, ბატონო, ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი კანონმდებლობა, რათა კანონიერმა დემონსტრაციებმა მშვიდობიანად ჩაიაროს, თუნდაც დემონსტრაცია უკანონო იყოს, მაგრამ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. როდესაც ამგვარი ძალადობა ხდება, ევროპული სასამართლო თვლის დარღვევად და სახელმწიფოს აჯარიმებს. რასაც სააკაშვილის რეჟიმი ვერ აკეთებდა, ამათ დაიწყეს იმის გაკეთება. ვისაც ასეთი სისულელეები მოსდის თავში, ის საერთოდ გასაჩერებელია სადმე?

**— და რა ბერკეტი არსებობს, რომ ეს ინიციატივა შეჩერდეს, მარტო თქვენი და სხვა არასამთავრობოების დასკვნა საკმარისია?**

– მხოლოდ ხალხის პროტესტი, მეტი არაფერი. ეს ოპოზიციური პარტიები ხომ მკვდარი სულები არიან? ეს კანონი პირდაპირ მათ ურტყამს, მაგრამ არა მგონია, ხმა ამოიღონ, მე მგონი, მარტო მე მაღელვებს ეს სიტუაცია.

**— ამ თემაზე პარტიების ლიდერებთან ან არასამთავრობოებთან გქონდა საუბარი?**

– არა, მე პოლიტიკოსი არა ვარ, იუსტიციის სამინისტროში ჩემი პოზიცია გავაგზავნე, სულ ესაა.

**— არც მაშინ იყავი პოლიტიკოსი, როცა მურუსიძე გადანიშნეს მოსამართლედ, მაგრამ არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებს მაინც შეხვდი.**

– იმიტომ შევხვდი, რომ მაშინ მოვიდნენ ჩემს დანიშნულ აქციაზე და იქ გავაკეთე განცხადება, დავსხდეთ და დავილაპარაკოთ-მეთქი. ახლაც ვაკეთებ განცხადებას, თუ გამომახმაურებიან, კიდევ შევხვდები და დავგეგმავთ ერთობლივ ღონისძიებებს. ეს მართლა ყველას გვეხება, თუ ხვალ მურუსიძის გადაწყვეტილებას გავაპროტესტებთ, დაგვიჭერენ და ჩაგვყრიან კამერაში. მე გაოცებული ვარ, როცა „ქართული ოცნება“ მოვიდა, 2-თვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეამცირა 15 დღემდე და ახლა უარესს აკეთებს, უფრო ამძიმებს. აქ ასევე ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი, სადაც საუბარია ადამიანის უფლებებზე და ამის გადატანა სისხლის სამართლებრივ რეგულაციებში დაუშვებელია, მაშინ უნდა შეიცვალოს კონსტიტუციის ეს მუხლიც. შეიძლება ადამიანს ნებისმიერ აქციაზე დააბრალონ, რომ მან დაარღვია კანონი, ჩვენში ამის გაკეთება იოლია. მომავალ კვირაში ამ ინიციატივას უკვე შეიტანენ პარლამენტში და ალბათ, მიიღებენ, ვნახოთ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## იტალიელმა მესაზღვრეებმა 24 საათის განმავლობაში ზღვიდან 1400-ზე მეტი მიგრანტი ამოიყვანეს



იტალიის სანაპირო დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ ნაწილში, უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში 1400-ზე მეტი მიგრანტი გადაარჩინეს. აღნიშნულ ინფორმაციას იტალიის სანაპირო დაცვის სამსახურის თანამშრომლები ტვიტერის გვერდზე აქვეყნებენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიგრანტები ევროპის საზღვრებამდე მიღწევას გასაბერი ნავებით ცდილობდნენ. იტალიური მხარის მონაცემების მიხედვით, მიგრანტთა უმრავლესობა აფრიკის, კერძოდ კი, ლიბანის მკვიდრნი არიან.

ამის გარდა, დილიდან სიცილიის ნავსადგურში 730 მიგრანტი შევიდა. იტალიის მთავრობა შიშობს, რომ ამინდის გაუმჯობესების გამო სამხრეთ იტალიაში ზღვით გადამსვლელ მიგრანტთა რაოდენობა უახლოეს მომავალში გაიზრდება. (euronews.ge)

## უკრაინის ნაკრების მეკარემ მედიასთან რუსულ ენაზე ურთიერთობაზე უარი თქვა

უკრაინის ეროვნული ნაკრებისა და „ბეშიქთაშის“ გოლკიპერმა, დენის ბოიკომ მედიასთან რუსულ ენაზე საუბარზე უარი განაცხადა.

– ეს პატრიოტული მომენტია. ამით ჩემი ქვეყნის მიმართ პატივისცემას გამოვხატავ. მე მსიამოვნებს ჩემს მშობლიურ ენაზე საუბარი. უცხო ქვეყნის კლუბში ვთამაშობ, შესაბამისად შორს ვარ ჩემი ქვეყნისგან, ამიტომ გადავწყვიტე მხოლოდ უკრაინულად ვისაუბრო, – განაცხადა ბოიკომ. ბოიკო „ბეშიქთაშში“ 2016 წლის იანვარში „დნეპროდან“ გადავიდა. მისი გადასვლა განვითარების სურვილით გამოთქვა:

– შესაძლოა, თურქეთის ჩემპიონატი საოცნებო არ არის, თუმცა უკრაინის ჩემპიონატზე ძლიერია. საინტერესო ფეხბურთს თამაშობენ, კონკურენტუნარიანს. ჩემთვის ეს ახალი გამოწვევაა, მე ვვითარდები, ვიღებ რაღაც ახალს. ყოველთვის საინტერესოა რაღაც ახლის შეცნობა, – აღნიშნა უკრაინელმა გოლკიპერმა.

28 წლის მეკარის ანგარიშზე უკრაინის ნაკრებში 3 თამაშია, სადაც 2 გოლი გაუშვა. (ipress.ge)

## ვლადიმერ ვაისი ქართველ ფეხბურთელებზე: დავინახე, ვინ როგორ აფასებს ეროვნულ ნაკრებს



საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ვლადიმერ ვაისმა ამხანაგური მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გუნდის ნახევარმა კარგად ითამაშა, ხოლო მეორე ნახევარს უკეთ შეუძლია თამაში.

მისივე თქმით, ფეხბურთელების კლასიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრებს ყაზახეთისთვის უნდა მოეგო.

– პირველი მატჩი მწვრთნელისთვის, რა თქმა უნდა, ყოველთვის ყველაზე რთულია, ეს ყაზახეთთან მატჩმაც დაადასტურა. რაც შეეხება, რეზულტატს, უკმაყოფილო ვარ, ხოლო რაც შეეხება თამაშს, გუნდის 50 პროცენტის თამაშით კმაყოფილი ვარ, ხოლო მოთამაშეების მეორე ნახევარს თამაში უკეთ შეუძლია. ეს ნიშნავს, რომ არ იყო ისეთი ბალანსი, როგორიც გვსურდა, რათა მიგველო დადებითი შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ საგოლე მომენტები გვქონდა, ვერ გამოვიყენეთ და, შესაბამისად, ვერც მოვიგეთ. ვფიქრობ, რომ თვალები ამეხილა, რა აკლია ნაკრებს ამ ეტაპზე, რადგან ფეხბურთელების კლასიდან გამომდინარე, ყაზახეთის ნაკრებისთვის უნდა მოგვეგო, – განაცხადა ვლადიმერ ვაისმა. (ipress.ge)

## ყოფილი ავტობაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ძლიერმა ქარმა სარეკლამო ბანერი ჩამოაგდო



დილომში, ყოფილი ავტობაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ძლიერი ქარის შედეგად სარეკლამო ბანერი ჩამოვარდა. ადგილზე საპატრულო პოლიციის ორი ეკიპაჟია მობილიზებული. რკინის ჯებირებითაა გადაკეტილი გზის სავალი ნაწილის გარკვეული მონაკვეთი.

არსებული ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

აღნიშნულის გამო ყოფილი ავტობაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომანქანების მოძრაობა შეფერხებული იყო. (bpn.ge)

## რუსეთმა სირიაში იმაზე მეტი ტექნიკა გაგზავნა, ვიდრე გამოიყვანა



– რუსეთმა სირიაში იმაზე მეტი ტექნიკა გაგზავნა, ვიდრე გამოიყვანა – ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას სააგენტო „როიტერი". გამოცემის თანახმად, მათთვის ცნობილი გახდა, რომ სირიაში რუსეთი აქტიურად ამაგრებს საკუთარ საჰაერო და საზღვაო ფლოტსა და სამხედრო ბაზებს.

– მარტში, პუტინის განკარგულებიდან 3 დღის შემდეგ „**Syrian Express**"-ის ერთ-ერთმა ე.წ. „სატვირთო გემმა ნოვოროსიისკის ნავსადგური დატვირთულმა დატოვა და სირიის მიმართულებით გაემართა, უკან კი ცარიელი დაბრუნდა, – წერს სააგენტო და აღნიშნავს, რომ უცნობია, რა გადააქვთ ხომალდებს სირიაში.

– თუმცა, სირიიდან ჯარის გამოყვანის შესახებ განკარგულებიდან 2 კვირის შემდეგ, რუსეთმა სირიაში იმაზე მეტი ტექნიკა გაგზავნა, ვიდრე გამოიყვანა, – ნათქვამია სტატიაში.

რუსეთის ხელისუფლება ამ დრომდე არ ასაჯაროებს ინფორმაციას, რა ოდენობის ტექნიკა და სამხედრო ძალა აქვს განთავსებული სირიის ტერიტორიაზე. არ ვრცელდება ოფიციალური ციფრები, ქვეყნიდან რუსული სამხედროების გამოყვანის შესახებაც. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# გია კორკოტაშვილი: თითო-თითოს გამოგათრევთ დღევანდელ ხელისუფალთ

## რა მოთხოვნებით აპირებენ არასამთავრობოები აქციის გამართვას





დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**„გაიღვიძე საქართველო!" „გაიღვიძე თბილისო!" — ამ ლოზუნგებით გეგმავენ აქციას არასამთავრობო ორგანიზაციები 17 აპრილს. რას ითხოვენ ორგანიზაციები და ვისი პასუხისმგებლობის საკითხს სვამენ ისინი?**

**„ალიას" მოძრაობა „ქართული მისიის" ხელმძღვანელი, გია კორკოტაშვილი ესაუბრა:**

– 17 აპრილს კოალიცია „ქართული მისია" გამოვდივართ, სადაც გაერთიანებული ვართ არასამთავრობო ორგანიზაციები: „ახალი რეალობისთვის" – მერაბ შათირიშვილი, „დედაქალაქი" – ზაზა აგლაძე და პარტია და საზოგადოებრივი მოძრაობა – „ძალოვანი ვეტერანები" – გია ბერძენაძე.

ჩვენი ლოზუნგია – „გაიღვიძე საქართველო!" „გაიღვიძე თბილისო!" გამოსვლაზე, სავარაუდოდ, მეტი წილი იქნებიან თბილისელები, რადგანაც სხვებს არ აქვთ რაიონებიდან ჩამოსვლის მატერიალური საშუალება, თუმცა ვინც შემოგვიერთდებიან, მაინც დიდი სიამოვნებით დავხვდებით. როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ლოზუნგია „გაიღვიძე საქართველო!" „გაიღვიძე თბილისო!" რაც გულისხმობს იმას, რომ საზოგადოება უნდა ჩაერთოს ქვეყნის ცხოვრებაში.

**— რას გულისხმობთ, როგორ უნდა ჩაერთონ?**

– მომავალ არჩევნებზე ხათრით არავინ არ უნდა აირჩიონ. საზოგადოება იმ ადამიანებს უნდა დაეყრდნოს, რომლებსაც თვითონ აირჩევენ და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა ექნებათ.

დღეს დეპუტატები ვერ გამოხატავენ ხალხის სურვილს, ხალხის აზრს და მოცილებული არიან საზოგადოებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არ არიან ხალხის რჩეულები და მათი ლეგიტიმაცია შედგა ერთადერთი ადამიანის – ბიძინა ივანიშვილის მეშვეობით, მაგრამ ადამიანებმა ამ ხათრით არ უნდა დაიღუპონ თავი და ქვეყანა.

**— ამ შეხვედრაზე კონკრეტულ ადამიანებზე აპირებთ საუბარს, ვისაც უნდა ენდონ, ან არ ენდონ?**

– საკრიტიკებელი იმდენია, რომ დაგვღლის. ჩვენ საზოგადოებას შეთავაზებებს გავუკეთებთ, რომ თავადვე აირჩიონ ადამიანები და მათივე არჩევანზე, მათვე აიღონ პასუხისმგებლობა. უნდა შევიგნოთ, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდვნის" და ჩვენზე გადატყდება ჯოხი, თუკი არასწორ გადაწყვეტილებას მივიღებთ.

**— თქვენ მიერ დაანონსებულ აქციას სოციალურ ქსელში ეხმაურებიან და ამბობენ, რომ რუსული ფულით ფინანსდება თქვენი მოსალოდნელი აქტივობა.**

– აბა, რა გითხრათ... კარგად დავიწყე საუბარი და არ მინდა გინებით დავამთავრო! არ მინდა თქვენი გაზეთიდან დავიწყო გინება – უბრალოდ, გეტყვით, რომ ჩვენ ვიცით, რომ სწორს ვაკეთებთ, შევთავაზებთ საზოგადოებას და თუ მათთვის იქნება მისაღები ჩვენი ხედვა, გაითვალისწინებენ. რუსული არა ისა, ვიეტნამის ფულებია! ან რა ფულზეა საუბარი, როგორი შხამიანი უნდა იყო, რომ ეს თქვა, რა ფულზეა საუბარი, დარბაზს ვქირაობთ და ჩვენვე შევკრებთ იმ 20-20 ლარს. თან ჩვენ რეგიონებიდან კი არ ჩამოგვყავს ხალხი, რასაც მართლა სჭირდება ფული. 3 000 კაცი მოდის, სულ ახლობლები, ადამიანები, რომლებიც გვენდობიან და არ სჭირდებათ მსგავსი მიდგომები. მოგონილი ხალხი კი არ ჩამოგვყავს?!

**— ბატონო გია, ბოლო პერიოდის განმავლობაში, უამრავი მსგავსი აქცია, გამოსვლა მოაწყვეთ, სადაც იყო საუბარი სხვადასხვა გეგმებზე. რეალურად, დღეს ამ ყველაფრის შედეგს ვერ ვხედავთ და რა აზრი აქვს მაშინ ამდენ შეკრებას და დაშლას?**

– რაც არ უნდა ბრძენმა ადამიანებმა მოუხმონ საზოგადოებას, თვითონ ნიადაგი თუ არ არის მზად საამისოდ, თესლი ჩააგდო და რამე აღმოცენდეს, არ არსებობს, შედეგი მიიღო. ამ შემთხვევაში, ნიადაგი საზოგადოებაა. საზოგადოებას თუ არ უნდა გაღვიძება, ვერავინ და ვერაფერი გააღვიძებს.

დღევანდელ ჩინოვნიკებს კი კიდევ ერთხელ მივმართავ – თითო-თითოს გამოგათრევთ დღევანდელ ხელისუფალთ.

**— ვის გულისხმობთ?**

– არ მიმაჩნია უპრიანად კონკრეტულ ადამიანებზე საუბარი იმიტომ, რომ აქ გუნდური თამაშია და როცა გუნდის წევრი არ ცხოვრობს კარგად, ამაზე პასუხისმგებელი მისი გუნდია.

იმ ადამიანებს, რომლებიც კოჰაბიტაციაში შევიდნენ დამნაშავეებთან და საბოტაჟს ეწევიან, ყველას მოეთხოვება პასუხი ქართველი ერის წინაშე, იმ ხალხის წინაშე, რომლებიც დღეს სიდუხჭირეში ცხოვრობენ, სამართალსმოკლებულები და სულში ჩაფურთხებულები არიან. იმ ადამიანების წინაშე მოეთხოვებათ პასუხი, რომლებიც ელოდნენ სიკეთეს, მაგრამ არ გააკეთეს და ამაშია მთელი უბედურება. ყველაფერი, რაც ხდება კარგიც და ცუდი, „ქართული ოცნების" კისერზეა და არ დაივიწყოს ეს არავინ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ერთ-ერთმა მითხრა, თავის თავზე მუშაობს, რომ არ გაბოროტდეს" — ჯოზეფ დოლი მერაბიშვილს, ახალაიასა და უგულავას ციხეში შეხვდა



„ევროპის სახალხო პარტიის" პრეზიდენტი ჟოზეფ დოლი ე.წ. მატროსოვის ციხეში „ნაციონალური მოძრაობის" ყოფილ მაღალჩინოსნებს – ვანო მერაბიშვილს, ბაჩო ახალაიასა და გიგი უგულავას შეხვდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ დოლიმ კომენტარი გააკეთა. „ევროპის სახალხო პარტიის" პრეზიდენტმა ის გზავნილები გააჟღერა, რომლებიც მას ყოფილმა მაღალჩინოსნებმა გადასცეს.

– მათ ვუთხარი, რომ ჩვენ ვიბრძვით, რათა საქართველო რაც შეიძლება მალე შევიდეს ევროპაში. ჩვენ გვინდა სახელმწიფო, რომელშიც კანონი კანონობს, უნდა იყოს სამართალი და დავამატებდი, რომ უნდა იყოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, იმისთვის, რომ საქართველოში ახალგაზრდები განვითარდნენ, იცხოვრონ აქ და საქართველოში ინვესტიცია შემოვიდეს. მე ძალიან დიდი ემოციით გამოვედი. როცა ადამიანი შედის ციხეში, ეს იქნება ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი თუ ყოფილი მერი, ის შედის ციხეში და იქ რჩება. მით უმეტეს, როდესაც სამართალი არ არის სწორი ყოველთვის მათ მიმართ. მაგრამ მე მინდა ამავე დროს მადლობა გადავუხადო ხელისუფლებას იმისთვის, რომ მომცა საშუალება, ხანგრძლივი საუბარი მქონოდა ამ სამ ადამიანთან. ისინი აგრძელებენ მუშაობას. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, რომ მუშაობს თავის თავზე, იმისთვის, რომ არ გამოვიდეს გაბოროტებული ციხიდან და პოზიტივი მაინც გამოიტანოს აქედან. ჩემთვის ეს ძალიან პოზიტიური იყო, – განაცხადა ჯოზეფ დოლიმ.

ყოფილ მაღალჩინოსნებთან „ევროპის სახალხო პარტიის" პრეზიდენტის შეხვედრა ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. (marshalpress.ge)

## „რომელ „სხვა" ქვეყნის სპეცსამსახურებზეა საუბარი, როცა ოკუპანტი გყავს?" — შარაშენიძის კითხვა სუს-ის უფროსს



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ვახტანგ გომელაურის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოში არა მხოლოდ რუსული სპეცსამსახურები, არამედ „სხვა ჩვენი მეზობელი თუ არამეზობელი ქვეყნების სპეცსამსახურებია შემოსული და მუშაობენ", კრიტიკულად აფასებს ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე.

– გომელაური თუ ცდილობს, რომ შეარბილოს რუსული რბილი ძალის, სპეცსამსახურების პრობლემა იმით, რომ „სხვებიც არიან", ვფიქრობ, რომ ეს ძალიან არასწორი მიდგომაა. ვინც არ უნდა იყოს, ოკუპანტი ოკუპანტია და იმას უნდა მოუარო ჯერ. ეს განცხადება ნიშნავს იმას, რომ ამას ვერ მოვუარეთ იმიტომ, რომ სხვებიც არიან. სხვას უყურებ მაშინ, როცა ოკუპანტი გყავს? უსაფრთხოებაზე როცა ვსაუბრობს, რომელ „სხვა ქვეყანას" აქვს ისეთი ზრახვები და ინტერესი, რომ საქართველოში ცუდი რაღაცები მოაწყოს, როგორც რუსეთს, ამიხსნან და მერე განვიხილოთ სხვა. არსებობს რომელიმე ასეთი ქვეყანა? – განაცხადა თორნიკე შარაშენიძემ. (ნიუპოსტი)

## დავით საყვარელიძე მისმა ყოფილმა სამსახურმა დაკითხვაზე დაიბარა



უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე დავით საყვარელიძე ყოფილმა სამსახურმა დაკითხვაზე დაიბარა. ამის შესახებ ის სოციალურ ქსელში წერს.

– ცოტა ხნის წინ დამირეკეს უკრაინის გენერალურ პროკურატურაში ახალშექმნილი დეპარტამენტიდან, რომელიც აშკარა შეკვეთილი საქმეებითაა დაკავებული, მათ შორის ჩემი გუნდის წინააღმდეგ. „პატივცემულმა" ბატონმა სუს-მა პარასკევს დაკითხვაზე დამიბარა 2 მილიონი აშშ დოლარის „გაუჩინარების" საქმესთან დაკავშირებით, – წერს საყვარელიძე და მის დაბარებას დაკითხვაზე შეკვეთილ საქმედ აფასებს.

უკრაინული მედია კი მის შესახებ განსხვავებული მოსაზრებისაა.

– დავით საყვარელიძის რეპუტაციას მნიშვნელოვნად მიაყენა ჩრდილი მისი მუშაობის შედეგების არქონამ და რამდენიმე სკანდალურ საქმეში მონაწილეობამ. ერთ-ერთი ბოლო ისტორია, რომელსაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, ისაა, რომ პროკურატურაში ორი მილიონ 200 ათასი დოლარი გაქრა, რომელიც შეერთებულმა შტატებმა დავით საყვარელიძის „გუნდს" გამოუყო რეფორმის გასატარებლად", – ამის შესახებ უკრაინული ტელეკომპანია **ICTV**-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტშია ნათქვამი. ამასთან დაკავშირებით 50-მდე უკრაინელმა დეპუტატმა გენპროკურორსა და ამერიკის სენატს სიტუაციის გარკვევის თხოვნით მიმართა.

– ფაქტზე უკვე საქმეც არის აღძრული. მართალია, აშშ-ის ელჩმა განაცხადა, რომ, მგონი, ფული ვიპოვეთ, არ დაკარგულაო, მაგრამ ისე გამოუვიდა, როგორც ერთ ანეკდოტშია – „კოვზი ვიპოვეთ, მაგრამ საჭმელი აღარ არისო".

ამ ფონზე საეჭვოდ მოჩანს დავით საყვარელიძის ცხოვრების სტილიც: ის ამას წინათ პარლამენტში 120-ათასგრივნიანი საათით მივიდა, რომლის შეძენა 6-ათასგრივნიანი ხელფასით (როგორც თვითონ ამტკიცებს!), შეუძლებელია. პროკურორული მათემატიკის საოცრებაა რაღაც, – აღნიშნულია სიუჟეტში. (marshalpress.ge)

## თუ ვინმეს პოპულარობა გინდათ, თქვით, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები გამოგიგზავნეს



– მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს განმარტება გავაკეთოთ საქართველოს მთავარ პროკურატურაში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, საჯარო სივრცეში გაკეთებული განცხადების ირგვლივ, მოწმის სახით, ივანე მაჭავარიანის გამოკითხვისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, – ამის შესახებ ინფორმაციას მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

– გამოკითხვისას გაირკვა, რომ მისთვის არავის გაუგზავნია შეტყობინება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით და მას არ უნახავს მსგავსი სახის ვიდეომასალა. მან აღნიშნა მხოლოდ ის, რომ 2016 წლის 18 მარტს, პირად „ფეისბუკ"-გვერდზე ათვალიერებდა ე.წ. „აქტივობის კედელს", რა დროსაც შეამჩნია მისთვის უცნობი ჯგუფის სახელით გაზიარებული ე.წ. „ლინკი", რომელიც დასათაურებული იყო „სკანდალური კადრების" სახელით.

მას არ უნახავს ხსენებული კადრები, ვინაიდან თვლიდა, რომ იქნებოდა კომპიუტერული „ვირუსის" შემცველი და შესაბამისად, არ იცის ამ კადრების შინაარსი. რაც შეეხება მის „ფეისბუკ"-გვერდზე მისივე განცხადებით განხორციელებულ ე.წ. ჰაკერული თავდასხმის ფაქტს, მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ გაეგზავნა მისივე ფოტოს გამოყენებით შექმნილი „ფეისბუკ"-გვერდიდან მეგობრობის თხოვნა, რაც მისი მხრიდან აღქმულ იქნა ჰაკერულ თავდასხმად.

აღნიშნულის შესახებ მაჭავარიანმა აცნობა „ფეისბუკის" ადმინისტრაციას, რამაც, მისი ვარაუდით, გამოიწვია პროფილის დროებითი დაბლოკვა. ამასთანავე, მაჭავარიანმა უარი განაცხადა მასთან ერთად მისი კუთვნილი „ფეისბუკ"-გვერდის დათვალიერებაზე.

ამდენად, მაჭავარიანის გამოკითხვით დადგინდა, რომ მას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების მოპოვება-გავრცელებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გააჩნია და მის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები ეფუძნება მხოლოდ მის ვარაუდებს, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში. (ipress.ge)

# რაზე ესაუბრა დილერების მიერ სიცრუეში დადანაშაულებული შს მინისტრის მოადგილე „ალიას"?

### რას ამბობს შალვა ხუციშვილი მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვასა და მძღოლების ფარულ თვალთვალზე?





*დიანა ლიპარტელიანი*
*571 80-40-80*

25 მარტის „ალიაში" გამოქვეყნდა სტატია, სადაც ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაზე დაყრდნობით ვწერდით, რომ შს სამინისტრომ მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვასთან დაკავშირებით იცრუა. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ვასილ ურუშაძემ დააკონკრეტა, რა კითხვები ჰქონდათ არასამთავრობოებს შს მინისტრის მოადგილესთან და რას ვერ უპასუხა.

„ალიას" პუბლიკაციას შს სამინისტროს პრესსამსახური გამოეხმაურა, შალვა ხუციშვილმა ყველა კითხვას გასცა ამომწურავი პასუხი და არასამთავრობოებს მკითხველი შეცდომაში შეჰყავს, საკუთარი პოზიციის დაფიქსირება უნდაო.

**პრეტენზიების გასარკვევად, „ალია" შალვა ხუციშვილს ესაუბრა:**

**— ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია: მარჯვენასაჭიანები იკრძალება, მაგრამ ეს არ ეხება სპორტულ და იმ ტიპის ავტომობილებს რომლებიც, ტურისტულ ბიზნესში გამოიყენება. ლოგიკა სად არის? ორივე მარჯვენასაჭიანია. თუკი მარჯვენასაჭიანი მანქანა ავარიის საფრთხეს ქმნის, რატომ უშვებთ გამონაკლისს?**

– მსგავსი საკითხი დადგა ავტოიმპორტიორებთან შეხვედრის დროსაც. რამდენიმე მოთხოვნა იყო დაყენებული. პირველი – ხელმისაწვდომი ყოფილიყო სპორტული მანქანები, მეორე – ვინაიდან ტურისტულ ბიზნესში დიდი სეგმენტი უჭირავს ამ მანქანებს, არ გაჩენილიყო შემაფერხებელი გარემოება, რაც ორმხრივი ინტერესი იყო. მესამე – საჭის გადატანა ლეგალურად მომხდარიყო, რითაც ავირიდებდით საერთოდ აკრძალვას და მეოთხე – თუ საჭის გადატანას ვერ დავუშვებდით, დასახელებულიყო საშეღავათო პერიოდი, რომელიც ამ ბიზნესს მიეცემოდა. ამის ჩანაწერიც არსებობს და შესაძლებელია გადამოწმებაც.

პირველ ორ შემთხვევაში ჩვენ წავედით კომპრომისზე. როცა საფრთხეზე და კრიზისულ სიტუაციაზეა საუბარი, ჩვენთვის შემაშფოთებელია მარჯვენასაჭიანი მანქანების რაოდენობის ზრდა ქვეყნის მასშტაბით. უხეშად რომ ვთქვათ – თუ 2005 წელს იყო 3 000 მარჯვენასაჭიანი ავტომობილი, დღეს არის 10-ჯერ მეტი. ტურისტული და სპორტული დანიშნულების ავტომობილები, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისე კრიტიკულად არ გაზრდის მათ რაოდენობას, რომ ამან მოძრაობის შეცვლამდე მიგვიყვანოს. შევთანხმდით კიდეც, რომ სპორტულ კლუბებთან ერთად დავადგენთ იმ მოთხოვნებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სპორტული ავტომობილი, რაც რეალურად ზღუდავს, რომ ეს ავტომობილი გამოყენებული იყოს, როგორც ჩვეულებრივი ავტომობილი. რაც შეეხება საჭის გადატანის ლეგალიზებასა და კონტროლს, იმ დონეზე, რომ საერთოდ დაგვევიწყებინა მარჯვენასაჭიანების აკრძალვის თემა – ამ საკითხზე რამდენიმეჯერ გვქონდა დეტალური კონსულტაციები. ყველა თანხმდებოდა, საჭის ისე გადატანა, რომ ეს ყოფილიყო ლეგალური და საერთაშორისო ვალდებულებები შეგვესრულებინა, იყო შეუძლებელი თუ არა, ძალიან რთული მაინც იქნებოდა. საჭე რომ გადაიტანო, მინიმუმ მწარმოებელმა უნდა მოგცეს ამის ნებართვა, მწარმოებელმა კი ავტორიზაცია რომ მოგცეს, ამას სჭირდება ჯერ სხვადასხვა პროცედურები, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მწარმოებლის ინტერესში არ შედის ამ ნებართვის გაცემა, ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუკი საჭის გადაადგილების გამო რაიმე პრობლემა შეიქმნება, მწარმოებელი ხდება პასუხისმგებელი ამაზე. ამასთანავე, ჩვენს ქვეყანაში დარეგისტრირებული ავტომობილი, საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, შესაძლებელია, გადაადგილდეს საერთაშორისო მოძრაობაში, ან გაყიდეს რეექსპორტზეც. ჩვენ ავაწყვეთ აკრედიტაციის სისტემა და ჩვენი მხრივ, ამაზეც მზად ვიყავით და მესამე, ყველა ავტომობილს, თავისი საიდენტიფიკაციო კოდის ერთი მონაცემი საჭის მდებარეობის აღმნიშვნელია და გამოდიოდა, რომ ჩვენ, ჩვენს ქვეყანაში დარეგისტრირებული ავტომობილების კეთილსაიმედოობის რისკს შევქმნიდით.

**— ბიზნესომბუდსმენი შეხვდა დილერებს და განაცხადა, რომ 2 წელი, რასაც დილერები ითხოვენ, რომ მათ ბიზნესს პრობლემები არ შეექმნას, ლოგიკურია. თქვენ რატომ ხართ ამის წინააღმდეგი, წლის ბოლო რატომ დაუთქვით ვადად?**

– ბიზნესსექტორი ასახელებდა, სამ წელსაც, ასევე, 2 და ერთ წელსაც. ვინაიდან იქ საუბარი იყო საჭის გადატანის ლეგალიზებაზე და სხვა საკითხებზეც, ალბათ, ამან გააჩინა გარკვეული მოლოდინები.

6-7 თვე მაინც აქვს ამ ხალხს, რომ, როგორც ამბობენ, რესურსები აქვთ ჩადებული ამ საქმეში და შეუძლიათ მეტი ავტომობილი შემოიტანონ და მერე, დროთა განმავლობაში გაყიდონ.

**— არასამთავრობოების კიდევ ერთი პრეტენზია — შს მინისტრი მოადგილეს ვკითხეთ, ვინ მიაწოდა ყოფილ და მოქმედ პრემიერს ინფორმაცია, რომ ავარიები მარჯვენასაჭიანი მანქანების მიზეზით ხდება, ამაზე პასუხი ვერ მივიღეთო.**

– პრემიერების განცხადებები გამოხატავდა იმას, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ამ ავტომობილების შემცირებაა. ჩვენ მათ მივაწოდეთ ის ინფორმაცია, რაზეც პარლამენტში ვმსჯელობთ, თუმცა იქ დაისვა სხვა საკითხებიც – ეს იყო საცობები, ეკოლოგიური საკითხები, ყველა ის თემა, რაც საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და პრობლემატურია.

> **„ეს კანონპროექტი გადამუშავდა და პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს უკვე წარედგინება გადამუშავებული სახით, სადაც ჩადებული იქნება გარანტიები, რომ ნიშანდების გარეშე მანქანების გამოყენება ოპერატიულ-სამძებრო მიზნებისთვის და მათ მიერ შეგროვებული ინფორმაციების გამოყენება იქნება დაუშვებელი"**

**— უკონტაქტო პატრულირებაზეც უნდა გკითხოთ. ასეთი სახის თვალთვალი სასამართლოს ნებართვის გარეშე აკრძალულია. რა გარანტია აქვს მოქალაქეს, რომ რომელიღაც ჩანაწერს მისი შანტაჟისთვის არ გამოიყენებენ? რატომ არღვევთ ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას?**

– ეს კანონპროექტი გადამუშავდა და პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს უკვე წარედგინება გადამუშავებული სახით, სადაც ჩადებული იქნება გარანტიები, რომ ნიშანდების გარეშე მანქანების გამოყენება ოპერატიულ-სამძებრო მიზნებისთვის და მათ მიერ შეგროვებული ინფორმაციების გამოყენება იქნება დაუშვებელი. იმ შემთხვევაში, თუკი დანაშაულს დაინახავს, ის ამ ინფორმაციას შეატყობინებს პოლიციას, თუმცა თვითონ ამას არ ჩაიწერს და გააგრძელებს თავის საქმიანობას – უბრალოდ, შევა შეტყობინება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით, საზოგადოებას დამატებითი ინფორმაციაც მივაწოდო – დღეს, ჩვენს ქვეყანაში საგზაო მოძრაობის წესების, ასევე, დანაშაულის პრევენციის აღსრულება ხდება ისე, რომ პოლიციელი ჩანს. ჩვენ შეგვეძლო, გაგვეზარდა პოლიციელების რაოდენობა, მაგრამ ჩვენ გვსურს, გავზარდოთ მოულოდნელობის ეფექტი, ანუ პოლიციელს კი არ ვხედავთ, არამედ გვინდა, ჩამოვაყალიბოთ მოქალაქეებში იმის შეგრძნება, რომ პოლიციელს ხედავ თუ არა, მაინც უნდა დაიცვა საგზაო მოძრაობის წესები.

**— რით ვართ დაზღვეული, რომ ეს პირიქით — ტოტალური თვალთვალის შეგრძნებას არ გამოიწვევს?**

– არ ვფიქრობთ, რომ საპირისპირო შედეგი ექნება ამას. მით უმეტეს, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც მოხდება უკონტაქტო პატრულირება, განთავსებული იქნება საინფორმაციო სიგნალი, რომ მიმდინარეობს გადაღება, ამის მერე მოქალაქის გადასაწყვეტი იქნება, ის დაემორჩილება თუ არა კანონს. ასევე, ჩვენ არ ვგეგმათ ამ სიახლის ერთდროულად შემოღებას. ჩვენც გვინდა დავაკვირდეთ, რა შედეგს გამოიღებს ეს მეთოდი. ჯერ დავტესტავთ და თუკი არ იქნება შედეგიანი, რა თქმა უნდა, არ გამოვიყენებთ, მაგრამ, თუკი შედეგიანი იქნება, თვისთავად ფართოდ დავნერგავთ.

**— რა პერიოდის მანძილზე იმუშავებს ეს ყველაფერი სატესტო რეჟიმში?**

– თუკი, წელს დავნერგავთ, საწყისი დღიდან პირველი შედეგები დაახლოებით 6 თვის შემდეგ გვექნება. კონკრეტულ ვადას ვერ გისახელებთ, რადგანაც პარლამენტზე ვართ დამოკიდებული. თუკი პარლამენტი დაუჭერს მხარს, შესაძლებლობა გვექნება, რომ ზაფხულში დაინერგოს.

**— რა ეტაპები დარჩა გასავლელი კანონპროექტს მიღებამდე?**

– დარჩენილია პირველი მოსმენით განხილვა კომიტეტზე, მერე პლენარული სხდომა და მერე მეორე და მესამე მოსმენა.

## „გაზპრომთან" გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალებზე მუშაობა უახლოეს დღეებში დასრულდება



ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, მარიამ ვალიშვილის განცხადებით, „გაზპრომთან" გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალებზე მუშაობა მიმდინარეობს და ეს პროცესი უახლოეს დღეებში დასრულდება.

მინისტრის მოადგილის თქმით, ქართული მხარის პოზიცია ცალსახაა, რომელიც არ შეიცვლება.

– დეტალებზე მუშაობა მიმდინარეობს. ვფიქრობ, ეს პროცესი უახლოეს დღეებში დასრულდება. ჩვენი პოზიციები ცალსახაა და ვფიქრობ, ცვლილებები არ იქნება, – აღნიშნა მარიამ ვალიშვილმა.

რაც შეეხება რუსული „ინტერ რაოს" საქართველოში აქტივების გაყიდვას, ვალიშვილი ადასტურებს, რომ აქტივების ყიდვით ქართული კომპანიაა დაინტერესებული.

მისი განმარტებით, მოლაპარაკებები დასასრულს უახლოვდება. (pia.ge)

## „არ ვარ ის კაცი, ვისზეც ადვილად მოქმედებს ზეწოლა"



ვლადიმერ პაპავას განცხადებით, თსუ-ს რექტორის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება, ზეწოლის გარეშე მიიღო.

პაპავას განმარტებით, ის ხელმძღვანელობს მხოლოდ ერთი – უნივერსიტეტის ინტერესით.

– როცა გადავწყვიტე, რომ უნივერსიტეტის რექტორად მეყარა კენჭი, ეს არავისთან არ შემითანხმებია, არავის ზეწოლა და არავის თხოვნა არ იყო; როდესაც მე მივიღე გადაწყვეტილება და დავტოვე თანამდებობა, ასევე, არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. მე არ ვარ ის კაცი, ვისზეც ადვილად მოქმედებს ზეწოლა. მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმაზე, რაც უნივერსიტეტში ხდება, – განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

თსუ-ს რექტორი ვლადიმერ პაპავა თანამდებობას პირველ მაისს დატოვებს.

როგორც თსუ-ში აცხადებენ, პირველ მაისამდე უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები ჩატარდება და სწორედ ამის შემდეგ დატოვებს თანამდებობას რექტორი. (pia.ge)

## „ივანიშვილის მავნებლობებს არ უნდა შეეწიროს ის, რასაც ხალხი იმსახურებს“ — ჟოზეფ დოლი „ენმ“-ს წევრებს შეხვდა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა და „ევროპის სახალხო პარტიის“ პრეზიდენტმა შეხვედრა გამართეს.

როგორც პარტიის წარმომადგენელმა გიორგი კანდელაკმა განაცხადა, „ევროპის სახალხო პარტია“ – ესაა გუნდი, რომელიც საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორია.

– დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი გზავნილი ევროპის სახალხო პარტიისა და ზოგადად ევროკავშირის ხელმძღვანელობის მიმართ, მარტივია – ივანიშვილის ხელისუფლების მავნებლობებს, მცდარ და საქართველოსთვის მავნებლურ ნაბიჯებს, არ უნდა შეეწიროს ის, რასაც ქართველი ხალხი იმსახურებს. ესაა ევროპაში უვიზო მიმოსვლა. თუ ივანიშვილის ხელისუფლება არ ჩაიდენს რაიმე მავნებლობას, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სწორედ არჩევნებამდე მიიღებს საქართველო უვიზო მიმოსვლას. ჩვენ ვისაუბრეთ საარჩევნო კამპანიაზე, როგორ აპირებს „ენმ“ ამომრჩეველს შესთავაზოს კრიზისიდან გამოყვანის კონკრეტული გეგმა და დაამარცხოს ქართული ოცნება, – განაცხადა კანდელაკმა. (ნიუპოსტი)

## „ჯოზეფ დოლი ხაზგასმით „ნაციონალური მოძრაობის“ მეგობარი და მხარდამჭერია“

**EPP**-ს პრეზიდენტის მოსაზრებაზე, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხი ოქტომბრის არჩევნებზე იქნება დამოკიდებული, კომენტარს აკეთებს ლევან ბერძენიშვილი და აცხადებს, რომ ჯოზეფ დოლი „ნაციონალური მოძრაობის“ მეგობარი და მხარდამჭერია, თუმცა იანვართებერვალში „სახალხო პარტიამ“ მხარი დაუჭირია საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას.

– ჯოზეფ დოლი ხაზგასმით „ნაციონალური მოძრაობის“ მეგობარი და მხარდამჭერია. მიუხედავად მისი პოზიციისა, საკითხები, რომლებიც იხილება ევროპის პარლამენტში, არ არის დამოკიდებული „სახალხო პარტიის“ პრეზიდენტის პოზიციაზე.

დოლი გავლენიანი კაცია და მოახდენს გავლენას წევრებზე, მაგრამ პარტია ვერ წყვეტს საკითხებს ევროპის პარლამენტში. ის დიდი ძალაა, მაგრამ უმრავლესობაში არ არიან. თუკი ვინმე საქართველოში გულშემატკივრობს, რომ ივნისში არ მივიღოთ ვიზალიბერალიზაცია, ის ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს და თავისდაუნებურად, ზოგიერთ შემთხვევაში, განზრახ წყალს ასხამს რუსეთის ინტერესებზე, – განცხადა ლევან ბერძენიშვილმა. (პირველი რადიო)

**ანა დოლიძე**
592 112 109

**ჩვენს ცხოვრებაში ინტერნეტს რომ უდიდესი ადგილი უჭირავს, ამაზე აღარ ვკამათობთ. გვინდა თუ არა, კითხვის გაჩენისას ან ინფორმაციის მოპოვების მიზნით ინტერნეტში ვიწყებთ ამა თუ იმ საკითხის ძიებას. დღეს იმდენი საშუალება არსებობს მკურნალობის, რომ ფარმაცევტი კი არა, ლამის ექიმის კონსულტაციაზეც უარი თქვან ადამიანებმა.**

**ჰოდა, აფთიაქი ის ადგილია, სადაც ვფიქრობ, ფარმაცევტს შეცდომის დაშვების უფლება არ აქვს, რადგან ერთი გაუაზრებელი და უყურადღებო მოქმედებით, შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობას ზიანი მიადგეს.**

**„უკმაყოფილო მომხმარებელი“ ამჯერად „პეესპეს“ სააფთიაქო ქსელის „ფეისბუკის“ გვერდს ესტუმრა.**

# „პსპ-ს აფთიაქი! სირცხვილია, ხალხო, სირცხვილი!“

## რა პრეტენზიები აქვთ მომხმარებლებს „პეესპესთან“




**სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებელი ანი ჟიბუტი წერს:**

**„მივედი ბახტრიონის კუთხეში თქვენს აფთიაქში, სიცხიანი და გაციებული და ვეუბნები, რომ ყველაზე ეფექტური და სწრაფი, გაციების ან სიცხის დამწევი წამალი მოეცათ. მომყიდეს ყველაზე ძვირიანი აბები, მინიმუმ 3 თვე რომ უნდა გამოიყენო და ვითომ იმუნიტეტს ამაღლებს. სამწუხაროდ, ანოტაცია სახლში წავიკითხე და თავი აღარ მქონდა, რომ მივსულიყავი, თორემ ის კონსულტანტი ნამდვილად მიიღებდა, რასაც იმსახურებდა“.**

რა თქმა უნდა, ფარმაცევტებიც ადამიანები არიან და ჩვეულებრივ, როგორც ყველა, ისინიც დღის განმავლობაში იღლებიან, მაგრამ მათ ბევრად მეტი ყურადღება მოეთხოვებათ, ამაზეც, წესით და კანონით, ალბათ, ვთანხმდებით...

მე პირადად ერთხელ აფთიაქში ბავშვისთვის საკვებს ვყიდულობდი, რა თქმა უნდა, ასაკი დავუკონკრეტე და რამდენჯერმე გავუმეორე კიდეც, თუმცა ყიდვის შემდეგ გული მეთანაღრებოდა და იქვე გადავამოწმე შეფუთვის უკან მიკრული სტიკერი, სადაც უწვრილესი შრიფტით არის ანოტაცია დატანებული. აღმოჩნდა, რომ საკვები მაინც არასწორად მოუციათ.

შეცდომა მართლაც ბევრია და მომსახურების მხრივაც რომ ძალიან სერიოზული ხარვეზებია, უკმაყოფილო მომხმარებლები ამაზეც ხშირად საუბრობენ. აგერ, მაგალითები:

**იზა ბუცხრიკიძე:**

„ფარმაცევტს დაავიწყდა ერთ-ერთი წამლის ჩადება და იქით მოგვდო შარი...– თქვენ იტყუებითო, ბოდიშის მაგივრად. რომ არაფერი გამოგვივიდა ხელახლა გადავიხადეთ ფული და ვიყიდეთ“.

**სოფო მიქაბერიძე:**

„ერთხელ დოპროკინის ნაცვლად დეპაკინი ჩამიდეს, რომელიც ეპილეფსიის წამალი აღმოჩნდა. ავწიე ერთი ამბავი, მაგრამ რა ხეირი, გამომიცვალეს წამალი და დამთავრდა მათი ჩაგდებული ენებით ამბავი“.

**თინიკო ტურძილაძე:**

„**PSP Pharmacy** თქვენი ფილიალიდან წუნდებული ჰაგისის საბავშვო საფენები მოგვყიდეს, ეტყობა სალებავთან ერთად ან ახლად შეღებილ სათავსოში ინახებოდა!“...

მოგეხსენებათ, აფთიაქებში, წამლის გარდა, სხვა კიდევ ბევრი რამ იყიდება – ბავშვის მოვლის საშუალებები, სხვადასხვა სახეობის საკვები, პარფიუმერია, თავისა და ტანის მოვლის საშუალებები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ამ მრავალფეროვნების შესაბამისად, ხშირად, უსასრულო რიგებია ხოლმე, რადგან სასწრაფოდ საყიდელ წამალსაც და თავის მოვლის საშუალებასაც, ერთსა და იმავე ოპერატორთან ატარებ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ აფთიაქში გამოყოფილია დამხმარე კონსულტანტი თავის სალარო აპარატთან ერთად, ხშირად მომხმარებელს მაინც იმავე რიგში დგომა უწევს. მეც ბევრჯერ ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში – ბავშვისთვის იყიდი რამდენიმენაირ ფაფას, ხილის პიურეს, პამპერსს, სათამაშოს და სანამ ამ ყველაფერს გაატარებენ, შენს უკან მომხმარებელი დგას, რომელსაც, უბრალოდ, სიცხის დამწევი უნდა და ძალიან ეჩქარება, მაგრამ იძულებულია დაგელოდოს, რადგან სხვა გზა არ აქვს.

სწორედ ასეთი სიტუაციები მომხმარებლებს შორის უკმაყოფილო დიალოგსა და კომენტარებს იწვევს. ეს ერთი პრობლემაა და კიდევ ცალკე საკითხია, მოლარე-კონსულტანტი რომ უცებ ტოვებს თავის „პოსტს“ და შესვენებას აცხადებს!!!

**ნანუ ბერიკაშვილი:**

„დღეს ასეთი რამე შემემთხვა, გორში, „პსპ“-ს აფთიაქში წამლების საყიდლად შევედი, რიგში დავდექი. როგორც იქნა, მომიწია რიგმა და ოპერატორმა ცხვირწინ ამიკრა – გთხოვთ, სხვა ოპერატორს მიმართოთო. გვერდზე ოპერატორთან ჩემს შემდეგ მოსული ორი ახალგაზრდა ბიჭი იდგა. ვიფიქრე,

### უკმაყოფილო მომხმარებლები

იქნებ ჯერ მე მომემსახუროს ამდენი ხანი რომ ვდგავარ-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ეგრევე მომახალა ჯერ ჩემთან რიგში ვინც დგას, ისევ ისინი უნდა გავუშვაო, თქვენ ისევ მანდ დაელოდეთ, მოვა სხვა ოპერატორიო. მე ვიდექი, ვიდექი და საშველი რომ აღარ დაადგათ, წამოვედი.

ახლა რატომ ვწერ ამას, იცით? პსპ-ს ხელმძღვანელებს მივმართავ, იქნებ დაატრენინგოთ თქვენი ოპერატორები და ასწავლოთ, რომ კლიენტი თუ მყიდველი თქვენამდე რომ მოვა, მაშინ არ უნდა უთხრა მომსახურებაზე უარი. მანამდე უნდა გამოაცხადო შესვენებაა თუ გადაბარება. მე სულ სხვა სახეობის წამლების საყიდლად მივედი და დამამშვიდებლები დამჭირდა, იმდენად ცუდად მომექცნენ“.

**ირა შმიდტი:**

„მე ყველგან მესმის, რომ **PSP** ზრუნავს ხარისხზე და მართლაც ამ სფეროში მე ვთვლი, ბადალი არ გყავთ, მაგრამ ამ პერსონალის ხარისხზე თუ ზრუნავთ? დღეს საკმაოდ უსიამოვნო გამოცდილება მივიღე თქვენს პერსონალთან ურთიერთობაში – უხეში, უყურადღებო და უპატივცემულო დამოკიდებულება. თუ თქვენს კომპანიას პრეტენზია აქვს ევროსტანდარტებზე, მე ვთვლი, ასეთ საკითხებს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს! გამოკითხვის სახით, შეფასების ეკრანი იყო დიდის ამბით მოთავსებული სალაროსთან, როდესაც უარყოფით სახეს დავაჭირე, აქეთ აბუჩად ამიგდეს, მე მგონი, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩემს საჩივარს და თუ არ აქვს, რაზე ხარჯავთ თქვენს ბიუჯეტს ეკრანების დამონტაჟებაზე? იმედი მაქვს, რამე რეაგირება მოჰყვება ჩემს საჩივარს. მე პირადად დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს ქვეყანაში ეს საკითხი, კერძოდ კლიენტთან ურთიერთობა ოდესლაც გამოსწორდება, ცოტათი მაინც!

**დიდი პატივისცემით, რიგითი მოქალაქე!**

როგორც აღმოჩნდა, პრობლემებია ვადაგასულ მედიკამენტებთან დაკავშირებითაც.

**მაცაცო:**

„რუსთავში, „პსპ“-ს აფთიაქი! სირცხვილია, ხალხო, სირცხვილი! 21-ე საუკუნეში ვადაგასული წამლებით ვაჭრობდეს ამხელა ფირმა! სირცხვილია! აქ რაღაც პატარა აფთიაქზე ხომ არ არის ლაპარაკი?!




გარდა ამისა, უამრავი პრეტენზიაა „პეესპეს“ ქოლცენტრთან და ელექტრონულ აპლიკაციებთან, ასევე, დაგროვილ ქულებთან დაკავშირებით:

**ინგა ბოცვაძე:**

„ცხელ ხაზზე რატომ არ მპასუხობთ?“

**ანა გოლუბიანი:**

„ძალიან ისეთი აფთიაქია... ბანძი... ბარათზე იმდენი ქულა მაქვს და ვერაფერში გამომიყენებია. ამას ვერ იყიდით, იმას ვერ იყიდით, მეუბნებიან ყველგან. მიჩუქნია ეგ ქულები თქვენთვის“.

**ქეთი ოქიტაშვილი:**

„თქვენი საინფორმაციო საერთოდ არ არსებობს? 2 დღეა, ვრეკავ“.

**მაკა ღვინიაშვილი:**

„2 საათია გირეკავთ, შეგიძლიათ, ტელეფონზე პასუხი?“

**ნინო შავერდაშვილი:**

„2 დღეა, თქვენს ცხელ ხაზზე ვრეკავ და არავინ მპასუხობს. მარტო მესმის წინადადება „ყველა ოპერატორი დაკავებულია“. იქნებ სხვა ნომერი მაინც მომცეთ“.

PSP №1 ჩემი ოჯახის აფთიაქი
გაგიადვილებთ ჯანმრთელობაზე ზრუნვას

## „განთავისუფლების მოტივები იყო ძალიან ხელოვნური... ბაღების სააგენტო არ უნდა იყოს სადამსჯელო ორგანო“



ბაღების დირექტორების შემდეგ სამსახურიდან განთავისუფლებას მათი მოადგილეები აპროტესტებენ. ისინი თემურ თორდინავასთან შეხვედრას ითხოვდნენ, თუმცა შენობაში შესვლის უფლება დაცვის სამსახურმა არ მისცა. მოადგილეების განთავისუფლების ფაქტს გამოეხმაურა თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ წევრი დავით ზურაბიშვილი.

– მათი განთავისუფლების მოტივები რაც იყო, ვფიქრობ, ის იყო ძალიან ხელოვნური და თავისუფლად შეიძლებოდა არ განთავისუფლებულიყვნენ ეს ადამიანები, რადგან სისტემური ხარვეზი უფრო იყო ეს, ვიდრე ბრალი დირექტორების. ეს ჩვენ ვთქვით და საჯაროდაც განვაცხადეთ. საერთოდ, მიგვაჩნია, რომ ეს ბაღების სააგენტო უფრო კონსულტაციას უნდა უწევდეს, ეხმარებოდეს კარგად ფუნქციონირებაში და არ იყოს რაღაც სადამსჯელო ორგანო, – განაცხადა ზურაბიშვილმა. (პირველი რადიო)

## „ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას არ ვგეგმავ, ის პოლიტიკიდან წასულია“ — გუბაზ სანიკიძე



„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი გუბაზ სანიკიძე კოალიციიდან მისი გუნდის შესაძლო წასვლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს. სანიკიძე ჟურნალისტებთან საუბრობს, რომ მათი გადაწყვეტილების შესახებ ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი მაშინ გაიგებს, როცა „ფორუმის“ გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი.

უმრავლესობის დეპუტატი აცხადებს, რომ პოლიტიკიდან წასულ ივანიშვილთან შეხვედრას არ გეგმავს.

– ბიძინა ივანიშვილთან ჩვენ ცალკე შეხვედრა არ გვქონია, მან გამოაცხადა, რომ პოლიტიკიდან არის წასული და თუ კაცი პოლიტიკიდან წასულია, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ საკითხზე კონტაქტი არ გვქონია და არც ვგეგმავთ. ბატონი ბიძინა გაიგებს ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, – აღნიშნა გუბაზ სანიკიძემ. (ნიუპოსტი)

## „სხდომის ჩაშლა მეტყველებს იმაზე, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაშლილია“



საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ მმართველი გუნდი მნიშვნელოვან საკითხებზე გაერთიანებას ვერ ახერხებს.

– სხდომის ჩაშლა მეტყველებს იმაზე, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაშლილია, აღარ არსებობს ეს ხელისუფლება. მოდით, ასე ვთქვათ, იმიტომ, რომ ვერ უზრუნველყო შეკრება თავისი დეპუტატების, იმისთვის, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, სუს-ის ხელმძღვანელის ვახტანგ გომელაურის მოსმენა მომხდარიყო, – განაცხადა აბაშიძემ. (news.ge)

## ნადირაშვილის თქმით, უმრავლესობის წევრები „შატალოზე“ წავიდნენ



ოპოზიციონერი დეპუტატის, განცხადებით, უმრავლესობამ ბევრი იფიქრა, როგორ აეცილებინა თავიდან პარლამენტში სუს-ის ხელმძღვანელის ვახტანგ გომელაურის ანგარიშის მოსმენა და სხდომის ჩაშლა გადაწყვიტა.

როგორც ჟურნალისტებს ნადირაშვილმა განუცხადა, უმრავლესობის წევრები „შატალოზე“ წავიდნენ.

– ეს სპეციალურად დაგეგმილი და დადგმული სპექტაკლია. მათ სპეციალურად კვორუმისთვის საჭირო რაოდენობის დეპუტატები არ ჰყავდათ. ეს შეიძლება მხოლოდ საქართველოში მოხდეს. საპარლამენტო უმრავლესობამ თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მოუწევდათ, რომ გამოეყვანათ გომელაური, რომლის კომპეტენცია მხოლოდ ბატუტზე ხტომაა და რომლის დამსახურება ის არის, რომ ის იყო ივანიშვილის დაცვის უფროსი. სამწუხაროდ, დღეს ეს სიტუაცია მივიღეთ, – განაცხადა ნადირაშვილმა. (info9)



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

# ექსკლუზივი „ქართული ოცნების“ კონფერენციიდან, რაც არ გახმაურებულა

## რა ხდებოდა შეკრებაზე, რომელიც საიდუმლოდ დარჩა





**24-დან 29 მარტის ჩათვლით, თბილისში, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ოფისში, პარტიის საქალაქო ორგანიზაციების კონფერენცია ჩატარდა, სადაც თბილისის 10 საოლქო ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ბიუროს წევრები და პარტიის ყრილობის დელეგატები აირჩიეს. კონფერენციამდე პარტიის გენერალური მდივანი კახი კალაძე რიხით აცხადებდა: „დღეს და ხვალ გვექნება თბილისში პარტიული კონფერენციები, სადაც ავირჩევთ ყველა რაიონის პარტიის თავმჯდომარეს. კვირას ვამთავრებთ ამ პროცესს, რის შემდეგაც პარტია სრულ მზადყოფნაში იქნება, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადოს“.**

**არანაკლებ რიხიანი პარტიის აღმასრულებელი მდივანი, ირაკლი კობახიძე იყო, რომელმაც აღნიშნა, „პარტია განაგრძობს კონფერენციების ჩატარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამის შემდეგ ჩვენ გადავალთ ძალიან აქტიურ პარტიულ სამუშაო რეჟიმზე“-ო. პარტიის ყრილობა, სავარაუდოდ, აპრილში ჩატარდება და თანდათანობით გამოჩნდებიან ახალი სახეებიც, ვნახავთ, ამდენწნიანი საიდუმლო შერჩევის რეჟიმში, ივანიშვილის რჩეულები ვინ გახდნენ. მთაწმინდის რაიონულ კონფერენციას, სრულიად შემთხვევით, დაესწრო პარტიის ყოფილი აქტივისტი მალხაზ ჟვანია.**

**რა მოხდა კონფერენციაზე? რას ვერ პატიობს მმართველ პარტიას მისი ყოფილი მხარდამჭერი?**

**მალხაზ ჟვანია „ალიას“ დაუკავშირდა და კონფერენციის დეტალებზე ექსკლუზიურად მოუთხრო:**

– 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, ვერაზე, „ქართულ ოცნებას“ დავეხმარე. ერთ-ერთ უბანში ვიყავი მეთვალყურე. ამის შემდეგ ამ პარტიასთან საქმე აღარ მქონია. შემდეგ კი ისე გამაწევრიანეს პარტიაში, რომ წევრობის შესახებ არც სურვილი გამომითქვამს და არც განცხადება დამიწერია. არჩევნების ამბავი საერთოდ აღარ მახსოვდა. 22 მარტს დამირეკეს პარტიის ცენტრალური ოფისიდან და მეუბნებიან, – ბატონო მალხაზ, თქვენ „ქართული ოცნების“ მთაწმინდის რაიონული კონფერენციის დელეგატი ხართ და ძალიან გთხოვთ, 24 მარტს, 10 საათზე მობრძანდეთ პარტიის ცენტრალურ ოფისშიო. ძალიან ცნობისმოყვარე კაცი ვარ, ავდექი და 24 მარტს წავედი ამ კონფერენციაზე. ადგილზე გავარკვიე, რომ დელეგატები ვერ მოაგროვეს და სარეზერვო სიიდან ჩამსვეს დელეგატად. შემდეგ გაირკვა, რომ კონფერენციაზე 19 დელეგატი არ მოვიდა. წარმოიდგინეთ ახლა, ამხელა მთაწმინდის რაიონში 140 კაცს რომ ვერ მოაგროვებ და წინასწარ შერჩეული დელეგატებიდან 19 კაცი რომ გამოგაკლდება, ეს პარტიაა? სად არის პარტიული დისციპლინა? კარგი, 2-3 კაცი შეიძლება ავად გახდეს, რაღაც შეემთხვეს მოულოდნელად, მაგრამ 19, კაცო? ამ 19 კაცის ნაცვლად ათნი სარეზერვო სიიდან ვიყავით, დანარჩენები კი პარტიის სხვადასხვა ოფისების თანამშრომლები ჩასვეს სასწრაფოდ სიაში და ასე ჩაატარეს ეს კონფერენცია. ლოგიკურად, „ქართულ ოცნებას“ ძალიან ცუდად აქვს საქმე, რომ მთაწმინდის რაიონში კონფერენციისთვის 140 დელეგატი ვერ შეაგროვა, სარეზერვო სიებს გადასწვდა და მე გამიხსენეს, კაცი, რომელიც უკვე 3 წელიწადზე მეტია, არ გაჰკარებია მათ. უჭირთ, ეტყობა, ძალიან უჭირთ.

**— ის თუ გაარკვიეს, თქვენ ვინ და რატომ ჩაგსვათ სარეზერვო სიაში?**

– არა, ვერც ეგ გავარკვიე, ან სარეზერვო სიაში ვინ ჩამსვა, ან ვინ და რატომ წარმადგინა ამ სიიდან დელეგატად. არავინ არაფერი იცოდა, აზრზე მართლა არ იყვნენ, რა შუაში ვიყავი მე ამ კონფერენციასთან.

**— თავად კონფერენციაზე რა ხდებოდა?**

– აქ იყო საერთოდ სასწაული. მე არაფერს ვაზვიადებ. გამოგვიცხადეს, ამას და ამას მისცემთ ხმას, ეს და ეს უნდა აირჩიოთ ბიუროს წევრებად, ესენი – პარტიის ყრილობის დელეგატებად და ეს კაციც – მთაწმინდის საოლქო ორგანიზაციის ხელმძღვანელადო. ყველა ისე აირჩიეს, კითხვა არავისთვის დაუსვამთ, ერთხმად, ერთსულოვნად. მარტო მე ვიკავებდი ყველა კანდიდატზე ხმას, ვინ იყვნენ, არ ვიცოდი და ხმას რატომ მივცემდი? წინააღმდეგი კი არ წავედი, წინააღმდეგ რომ მისცე ხმა, რაღაც საფუძვლიანი არგუმენტი უნდა გქონდეს და ეს არგუმენტი უნდა დაასაბუთო. ამ კანდიდატების შერჩევისას თავს რომ ვიკავებდი, იცით, როგორ მიყურებდა მთელი დარბაზი? აი, ეს ჩვენიანი არ არის, ეს ოპოზიციონერიაო, – ეს აზრი ყველას სახეზე ეწერა. რაღაც აგრესია ჰქონდა ყველას ჩემ მიმართ. ზოგიერთები თავს ვერ იკავებდნენ, ჩემკენ ხელს იშვერდნენ – „ეს ოპოზიციონერია“. მოკლედ, ოპოზიციონერი სალანძღავი სიტყვაა მათთვის, პარტიის შიგნით განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანი – მიუღებელი. ეგეთი ერთსულოვნება კომპარტიის სხდომებზე არ მიმნახავს, კომუნისტები სპექტაკლებს მაინც დგამდნენ, რაღაც ფარსისმაგვარი იყო და გრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ არჩევნებში დემოკრატიის ელემენტები იყო. იქ კი ყველა ასარჩევი კანდიდატის ვინაობა ყველა დელეგატმა ან წინასწარ იცოდა, ან კონფერენციაზევე ეუბნებოდნენ დელეგატებს, ვისთვის უნდა მიეცათ ხმა და ისინიც, იმ დელეგატის სასარგებლოდ, უსიტყვოდ სწევდნენ ხელს. უამრავი ხალხი აირჩიეს და ჩემ გარდა, არც ერთ ადამიანს არც თავი შეუკავებია და არც წინააღმდეგი წასულა. რასაც ეუბნებოდნენ, იმას უპროტესტოდ აკეთებდნენ. როგორ, ამდენი ადამიანი აირჩიეს და ერთი კითხვა არავის გაუჩნდა?

**— სხვა დელეგატებმა არ გკითხეს, რატომ იკავებდით თავს ხმის მიცემისას?**

– კი, მკითხეს და მარტივად ვუპასუხე – 100%-იანი და 120%-იანი ერსულოვნება ჩემში ყოველთვის ბადეს ეჭვს-მეთქი. არა ვარ მართალი? როგორ, კონფერენციაა, ყრილობის დელეგატებს, ბიუროს ხელმძღვანელს და სხვებს ირჩევ და როგორ შეიძლება, ყველა კანდიდატი მისაღები იყოს? როგორ შეიძლება, სხვამ მიგითითოს, ვინ უნდა აირჩიო და არც ჰკითხო, რატომ უნდა აირჩიო ის? ზუსტად 45 წუთში დამთავრდა ყველაფერი, არც კამათი ყოფილა, არც შეკითხვები.

კიდევ ერთი რამ იყო საინტერესო, კახი კალაძე გამოვიდა სიტყვით, ილაპარაკა პარტიის შესახებ, კი, რაღაც შეცდომები გვქონდა, მაგრამ ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება, ამ საპარლამენტო არჩევნებს ჩვენ მოვიგებთო. კაცო, პარტიის გენერალური მდივანი გამოვიდა სიტყვით, იმ პარტიის, რომელმაც 3 წელიწადში ათასი შეცდომა დაუშვა, უამრავი წინასაარჩევნო დაპირება არ შეგისრულა და შენ, პარტიის წევრსა და კონფერენციის დელეგატს, ერთი კითხვა არ უნდა გაგიჩნდეს? რატომ მოგატყუა პარტიამ და სად წავიდა ის დაპირებები? პარტიის გენმდივანზე უკეთესს ვის უნდა ჰკითხო ეს? ერთი კითხვა არავის დაუსვამს კალაძისთვის, ჩაარაკრაკა თავისი წინასწარ დაწერილი ეს მოხსენება და დაჯდა. ეტყობა, ხალხიც გაფრთხილებული იყო, არც სიტყვა შეეწყვეტინებინათ მისთვის, არც მერე ეკითხათ რამე და ამ ხალხმაც პირნათლად შეასრულა დავალება. მოკლედ, ეს ეპიზოდიც შეშურდებოდათ კომუნისტებს, ისინი ფორმალურად, ყასიდად მაინც სვამდნენ კითხვებს და ზოგჯერ, სერიოზულ დებატებსაც მართავდნენ. არა, „ქართულმა ოცნებამ“ პარტიული მორჩილებითა და დიქტატით კომპარტიასაც გადააჭარბა ნამდვილად.

**„კაცო, პარტიის გენერალური მდივანი გამოვიდა სიტყვით, იმ პარტიის, რომელმაც 3 წელიწადში ათასი შეცდომა დაუშვა, უამრავი წინასაარჩევნო დაპირება არ შეგისრულა და შენ, პარტიის წევრსა და კონფერენციის დელეგატს, ერთი კითხვა არ უნდა გაგიჩნდეს? რატომ მოგატყუა პარტიამ და სად წავიდა ის დაპირებები? პარტიის გენმდივანზე უკეთესს ვის უნდა ჰკითხო ეს? ერთი კითხვა არავის დაუსვამს კალაძისთვის, ჩაარაკრაკა თავისი წინასწარ დაწერილი ეს მოხსენება და დაჯდა“**

**— ამ კონფერენციაზე რაც ნახეთ, იმ შთაბეჭდილებით, რა პერსპექტივა აქვს „ქართულ ოცნებას“?**

– არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია, პარტიაში, სადაც არ არის აზრთა ჭიდილი, კონკრეტულ საკითხებზე დისკუსია, სხვადასხვა დონის პარტიულ თანამდებობებზე დასანიშნი ხალხის დროს ჯანსაღი კონკურენცია, ის პარტია აღარ არის, მას განვითარება არ უწერია. „ქართულმა ოცნებამ“ როგორ უნდა ამიშენოს ქვეყანაში დემოკრატია, როცა თავად პარტიაში დიქტატურაა გამეფებული? ეჭვი არ მეპარება, რომ რაც მთაწმინდის ოფისში ხდება, პარტიის მაღალ ეშელონებშიც იგივე მორჩილებაა. რაიონის ყველა დელეგატზე ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ აშკარაა, ამ პარტიაში ინტელექტის სერიოზული ნაკლებობაა. ინტელექტუალური ადამიანი მარტო მცოდნე ადამიანს არ ნიშნავს, ინტელექტუალი მოაზროვნეა და მოაზროვნე ადამიანები ისეთი მორჩილები არ არიან, როგორებიც მე ვნახე ამ კონფერენციაზე.

ბატონ მალხაზ ჟვანიას მონათხრობის მიხედვით, ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება. „ქართულმა ოცნებამ“ უკვე მიიღო იმის საფასური, რაც ქვეყანას ამ 3-წლიანი უნიათო მმართველობით დამართა. ბიძინა ივანიშვილის პარტიამ და მისმა ლიდერებმა, ხალხი, მათი ინტერესები, თავიანთი წინასაარჩევნო დაპირებები ფეხებზე დაიკიდეს, ხალხი მოატყუეს და „გადააგდეს“. შესაბამისად, არათუ მხარდამჭერებიც აღარ ჰყავთ, რაიონული კონფერენციებისთვის ხალხსაც კი ვეღარ აგროვებენ, თავად პარტიის წევრებმაც კი მიატოვეს პარტია და წელიწადში ერთხელ, კონფერენციაზეც კი არ მიდიან. მთაწმინდაზე, ვერასა და სოლოლაკში დელეგატებს რომ ვერ მოაგროვებ კონფერენციის ჩასატარებლად და 19 კაცი დაგაკლდება, საგანგაშოდ არის საქმე, აბა, რა ჯანდაბაა? ეს, უბრალოდ, სირცხვილია იმ პარტიისთვის, რომელმაც 3 წლის წინათ საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლებაში მყოფი „ნაცმოძრაობა“ დაამარცხა. ხალხი გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ივანიშვილმა და მისმა პარტიამ მოატყუეს, თავად აისრულეს დაპირებული „ქართული ოცნება“, ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებმა ხალხის ხარჯზე, მათ მიერ გადახდილი გადასახადით შევსებული ბიუჯეტის ხარჯზე ცხოვრება მოიწყვეს, არაფერს იკლებენ და გაზულუქებულნი, კიდევ უნამუსოდ ითხოვენ არჩევნებში ხალხის მხარდაჭერას, ისევ ხელისუფლებაში ყოფნა და ამ განცხრომის შენარჩუნება უნდათ. საბედნიეროდ, როგორც ჩანს, ხალხი მათ ანკესსა და ტყუილ წინასაარჩევნო დაპირებებზე აღარ წამოეგება და არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ ღირსეულ პასუხს გასცემს. „ქართული ოცნება“, ლოგიკურად, უმრავლესობით ვეღარ მოვა ხელისუფლებაში და მის ლიდერებს კისერიც უტეხიათ – რაც დათესეს, იმას მოიმკიან.

## სანიკიძე: 3 აპრილს გადავწყვეტთ, ვრჩებით თუ არა „ქართული ოცნების“ საარჩევნო ბლოკში



გუბაზ სანიკიძის თქმით, „ეროვნული ფორუმი“ არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს თუ ბლოკთან ერთად, ამას პარტიის ყრილობაზე 3 აპრილს გადაწყვეტენ.

– 3 აპრილს არის ჩვენი პარტიის, „ეროვნული ფორუმის“ ყრილობა, სადაც პარტიის წევრებმა უნდა გადაწყვიტონ პარტიის სამოქმედო გეგმა 2016 წლის არჩევნებისთვის. გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, არის გარკვეული განწყობები, არიან საარჩევნო ბლოკიდან გასვლის მომხრეები, არიან დარჩენის მომხრეები. „ფორუმი“ მკაცრად იერარქირებული პარტიაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარტიის წევრებს ჭკუა არ დავეკითხოთ. პარტიაში უნდა იყოს საბრძოლო განწყობა და პარტიის წევრებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, – ამბობს სანიკიძე.

გუბაზ სანიკიძის თქმით, პირადად გადაწყვეტილება მიღებული აქვს, თუმცა არ ახმოვანებს, რადგან მისივე თქმით, პარტიის წევრებზე ზეგავლენის მოხდენა არ სურს.

სანიკიძის განმარტებით, კოალიციები კონკრეტული მიზნით იქმნება:

– ჩვენ „ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოვაშორეთ ხელისუფლებას და ახლა მთავარი საკითხი ის არის, რისთვის უნდა იყოს კოალიცია. ქვეყანაში არის ძალიან სერიოზული გამოწვევები, ძალიან მწვავედ დგება იდეოლოგიური საკითხებიც. „ეროვნული ფორუმისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ფუნქცია რეგიონში. უსაფრთხოების საკითხები, რაც ხდება ჩვენგან ჩრდილოეთით და სამხრეთით. ეს საკითხები ძალიან გვაწუხებს და ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ ამაზე.

იდეოლოგიურ სხვაობაზე საუბრისას სანიკიძე „რესპუბლიკურ პარტიაზე“ აკეთებს აქცენტს:

– იგივე რესპუბლიკელები, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გვაქვს ურთიერთობა მათთან, მეგობრებიც ვართ, მაგრამ იდეოლოგიური სხვაობები გვაქვს. „ქართულ ოცნებასთან“, ალბათ, ნაკლებად, მაგრამ „ოცნება“ მემარცხენე მიმდინარეობის პარტიაა, ჩვენ კი მკაცრად გამოკვეთილი მემარჯვენე პარტია, – ამბობს სანიკიძე.

გუბაზ სანიკიძე ვარაუდობს, რომ წინასაარჩევნო პროცესში ფარული ჩანაწერები გამოქვეყნდება:

– ამას ვლაპარაკობ ვეტერანი მსხვერპლი, ჩემზე ასეთი შემოტევა იყო 4 წლის წინათ. ოპტიმისტი ვერ ვიქნები, როგორც ჩანს, საარჩევნო პროგრამები ნაკლებად იქნება საინტერესო, უფრო საინტერესო იქნება ფარული ჩანაწერები. როგორც ჩანს, ეს იქნება ძალიან ბინძური საარჩევნო კამპანიები. სამწუხაროა ეს ჩემთვის, მაგრამ ეს ჩვენი რეალობაა, – აცხადებს გუბაზ სანიკიძე. (ნეტგაზეთი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## როგორ უნდა ვსვათ წყალი, რომ გავხდეთ?



ეს დიეტა 2 კვირაში 8-12 კილოგრამის დაკლების საშუალებას იძლევა. ერთადერთი პირობაა – ყოველი კვების წინ მიიღეთ 2 ჭიქა წყალი და არ მიიღოთ ის კვების შემდეგ 2 საათის განმავლობაში.

დიეტის არსი ძალიან მარტივია – კვების წინ 2 ჭიქა წყალი, ზუსტად 2 და არავითარ შემთხვევაში ნაკლები, 15-20 წუთის შემდეგ კი შეგიძლიათ, წყნარად მიირთვათ სასურველი საკვები.

დაიცავით ეს წესი: ჭამის დროს და ჭამის შემდეგ 2 საათის განმავლობაში აკრძალული გაქვთ წყლისა და ნებისმიერი სითხის მიღება. 2 საათის გასვლის შემდეგ თამამად შეგიძლიათ, დალიოთ თქვენი საყვარელი ჩაი ან ყავა, ოღონდ ნამცხვრისა და სხვა ტკბილეულის გარეშე.

როგორი უნდა იყოს ყოველდღიური მენიუ:

საუზმე – 2 ჭიქა წყალი. 15-20 წუთის შემდეგ საუზმობთ იმით, რაც თქვენს გულს გაუხარდება. სითხეს არ ვაყოლებთ. 2 საათის განმავლობაში არ ვიღებთ არც წყალს და არც სხვა სითხეს.

სადილი – 2 ჭიქა წყალი, 15-20 წუთის შემდეგ ვჭამთ ყველაფერს, რაც გვსურს და 2 საათის განმავლობაში არ ვსვამთ წყალს.

ვახშამი – 1 ჭიქა წყალი. 15-20 წუთის შემდეგ მიირთვით რაც გსურთ, არ დააყოლოთ წყალი და არ დალიოთ ჭამიდან 2 საათის განმავლობაში სითხე.

გისურვებთ წარმატებებს!

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## პელე კომპანია „სამსუნგისგან“ 30 მილიონ აშშ დოლარს ითხოვს




ბრაზილიელმა ფეხბურთელმა „სამსუნგ ელექტრონიქსის“ წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღძრა.

ლეგენდარული სპორტსმენი კომპანიისგან 30 მილიონ აშშ დოლარს ითხოვს და ამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელმა უკანონოდ გამოიყენა მისი ორეულის ფოტო. ორეულს კი იმიტომ უწოდებს, რომ არსად მისი სახელი ნახსენები არ არის.

სააგენტო ირწმუნება, რომ რეკლამა გამოცემა „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ფეხბურთელის ნებართვის გარეშე გამოქვეყნდა. საუბარია „სამსუნგის“ მაღალი გარჩევადობის ტელევიზორებზე, სადაც სპორტსმენის გამოსახულება მისგან დაუკითხავად გამოიყენეს.

– მიუხედავად იმისა, რომ რეკლამაში არ ჩნდება თავად პელეს სახელი, მასში გამოყენებულია მამაკაცის გამოსახულება, რომელიც ვიზუალურად ძალიან ჰგავს ფეხბურთელს. იქვე დატანებულია ფოტო, სადაც აღნიშნული მამაკაცი ცნობილ „მაკრატელას“ ასრულებს, რასაც ხშირად იყენებდა პელე, – ნათქვამია სარჩელში.

„სამსუნგ ელექტრონიქსის“ წარმომადგენლებს აღნიშნულ ბრალდებაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

*fortunaplus.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## გაზირებული სასმელის ბოთლი მომხმარებელს დიაბეტით „შეაშინებს“



ყველამ კარგად იცის, რომ სიგარეტის კოლოფებზე გამაფრთხილებელი წარწერებია დატანილი: „მოწევა კლავს“, „მოწევა იწვევს ფილტვის კიბოს“, „მამაშენმა არ გაგიგოს, თორემ ვაი, შენს დღეს!“

ნუ, ეს უკანასკნელი ჩვენ დავამატეთ, მაგრამ მთავარი ეს სულაც არ არის. საქმე ისაა, რომ, როგორც კანადელი მეცნიერები ამბობენ, სიგარეტის მსგავსად, უნდა მოხდეს გაფრთხილების დატანა გაზირებულ სასმელებზეც.

კანადის სამედიცინო ასოციაციის სპეციალისტებმა უკვე შეიმუშავეს რამდენიმე მაკეტი. კერძოდ, შაქრის შემცველ ბოთლებზე სურთ, რომ დატანილი იყოს გაფრთხილება დიაბეტის რისკის შესახებ. ასევე, იდეა ითვალისწინებს პიცის კოლოფზე დაავადებული ღვიძლის ფოტოს დამატებას, კარტოფილი ფრი კი მომხმარებელს მოსალოდნელ გასუქებაზე „შეაშინებს“.

მოგეხსენებათ, სიგარეტის კოლოფებზე არსებული გაფრთხილება დიდ შედეგს არ იძლევა და ვფიქრობთ, კანადელების ეს მცდელობაც ვერ გაამართლებს, თუმცა რა ვიცით, იქნებ, ჩვენ ვცდებოდეთ და არა ისინი...

*medkarta.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ალკოჰოლი შეცდომის შეცნობას ხელს სულაც არ უშლის



ბევრისგან გექნებათ მოსმენილი: „მთვრალი ვიყავი და ეს რა შარში გავყავი თავიო“... ადამიანს ხომ თავის მართლება ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია და როცა ისეთი „საპატიო მიზეზი“ არსებობს, როგორიც სიმთვრალეა, აბა, უარს რატომ იტყვის?

ბრიტანელი მეცნიერები შეეცადნენ დაედგინათ, რა ხდება ალკოჰოლის მიღების დროს ადამიანის ტვინში და რა უბიძგებს მას უცნაური ნაბიჯების გადადგმისკენ.

კვლევაში 21-დან 35 წლის ასაკის რამდენიმე ათეული ადამიანი ჩართეს და მათ გარკვეული დავალებები შეასრულებინეს. ამასთანავე, ზოგიერთ მოხალისეს ალკოჰოლი მიალებინეს, ზოგს წყალი, ზოგს კი პლაცებო.

აღმოჩნდა, რომ სამივე შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რამდენად იმოქმედა ალკოჰოლმა ადამიანის ტვინზე, დაშვებულ შეცდომას ყველა ერთნაირად ხვდებოდა და მის გამოსწორებას ცდილობდა.

აქედან გამომდინარე, ბრიტანელი სწავლულები ასკვნიან, რომ სიმთვრალეში ადამიანს შეცდომის შეცნობაში ხელს არაფერი არ უშლის.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დეზოდორანტის ნაცვლად... კამფეტები



ბოლო მომენტამდე დეზოდორანტი პირადი ჰიგიენის განუყოფელი ნაწილი გახლდათ, თუმცა ეს წარსულს ჩაბარდა.

რატომ და იმიტომ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ამერიკულმა კომპანია „დეო პარფუმ ქენდიმ“ გამოუშვა კამფეტები, რომელიც ადამიანის სხეულის „განიავებას“ ახერხებს.

სიახლის ავტორების განმარტებით, კამფეტს გამაგრილებელი არომატი აქვს, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე ნარჩუნდება.

და რაშია ასეთი ეფექტის საიდუმლო? საქმე ისაა, რომ ახალი ნუგბარის შემადგენლობაში სპეციალური ინგრედიენტი შედის ვარდის არომატით, რომელიც კამფეტის შეჭმის შემდეგ კანის ფორებიდან ნელ-ნელა გამოდის.

მწარმოებლები ამტკიცებენ, რომ სულ რამდენიმე კამფეტის შეჭმა, ადამიანს ოფლის უსიამოვნო სუნისგან მინიმუმ 6 საათის მანძილზე დაიცავს.

რამდენად უსაფრთხოა ახალი სახეობის კამფეტი ჯანმრთელობასთან მიმართებაში, სამწუხაროდ, ამის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

*golosscience.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მაღალკალორიული პროდუქტი ძვლებს ანადგურებს



მოგეხსენებათ, კალორიული საკვები ძალიან სახიფათოა ფიგურისთვის და რაც ყველაზე ცუდია, გულისთვის, თუმცა უსიამოვნებების ჩამონათვალი ამით როდი სრულდება.

აღმოჩნდა, რომ მაღალკალორიულ საკვებს ძვლების დაზიანებაც შეუძლია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ძვალი მტვრევადი ხდება.

სპეციალისტების განმარტებით, გარდა იმისა, რომ კალორიებით მდიდარი საკვები ძვალს აზიანებს, ქოლესტერინი ახალი ქსოვილების გაჩენასაც უშლის ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღდგენას ძვალი ვეღარ შეძლებს. ყოველ შემთხვევაში, ამისთვის საჭიროზე ბევრად მეტი დრო დასჭირდება.

რა უნდა გავაკეთოთ და როგორ მოვიქცეთ, ასეთი უსიამოვნება რომ თავიდან ავიცილოთ? პასუხი ძალიან მარტივია – სწორი კვება!

ამასთანავე, სპეციალისტები კიდევ ერთხელ გვახსენებენ, რომ უმჯობესია, საჭმელი სახლში მოამზადოთ, რათა ზუსტად იცოდეთ, რა რაოდენობის ცხიმს შეიცავს იგი.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დეპრესია შესაძლოა... სასარგებლო იყოს



დაუჯერებელია, მაგრამ დეპრესია და მოწყენილობა სულაც არ ყოფილა ისეთი საშინელი, როგორც ეს ყველას გვგონია. თურმე ჩვენი ორგანიზმი ასეთი მდგომარეობიდან ბევრ სარგებელსაც იღებს.

ნიუ-იორკის სამედიცინო ცენტრის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ დეპრესია ადამიანის ორგანიზმს სტრესის უსიამოვნო შედეგებისგან იცავს, რაც, მათი აზრით, ზოგიერთი ალერგენის ეფექტის მსგავსია. დეპრესიის გამოვლენა მადის დაკარგვის, დაღლილობის სახით, სულაც არ არის საგანგაშო, რადგან პერსპექტივაში შეგვიძლია, თავი ავარიდოთ უფრო სერიოზულ უსიამოვნებას – სტრესს.

აღნიშნულ მოსაზრებას ემხრობიან სპეციალისტები არიზონის უნივერსიტეტიდანაც. ისინი მიიჩნევენ, რომ დეპრესია – ეს არის ორგანიზმის რეაქცია სხვადასხვა დაავადებაზე. ამასთანავე, დეპრესია იმის საშუალებასაც იძლევა, რომ ადამიანი სხვადასხვა ინფექციურ დაავადებას უფრო სწრაფად დაუძვრეს ხელიდან, მაგალითად, გრიპს.

*golosscience.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დევიდ ბექჰემმა ვიქტორია მიატოვა



დევიდ და ვიქტორია ბექჰემებმა ბიზნესის რეორგანიზაცია გადაწყვიტეს, ამიტომ დევიდმა მეუღლის მიერ დაარსებული მოდური ბრენდის დირექტორის პოსტის დატოვება გადაწყვიტა. ყოფილმა ფეხბურთელმა ამ პოსტზე 6 წელი გაატარა.

ამ ფაქტმა გამოიწვია ლოგიკური ეჭვი, რომ წყვილს შორის განხეთქილება მოხდა. ბოლო დროს ტაბლოიდები მუდმივად წერენ, რომ ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებაა, მაგრამ ჯერჯერობით, არც ვიკი და არც დევიდი ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

*okmagazine.ge*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1.მხ/ფ „მიდიოდა ...“
1ა. ყაიმი
2. ნიადაგის ჩამოშლა
3.ტემპერატურის საზომი ერთეული აშშ-ში
4.ბიბლიური ბრძენი მეფე
5.მხ/ფ „... და კლაიდი“
6.გიტარისტი ... ჰენდრიქსი
7. ... მტრობას დაუნგრევია
8. კორიდორი
9. პატარა სკივრი
10.მისასალმებელი სიტყვა
11. მსახიობი ... ნოვაკი
12. ნიჭი
13. ... გატყდა, ხმა გავარდა
14. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
15. გეოლოგიური პერიოდი
16. მხატვარი კლოდ ...
17. ქალაქი ქვემო ქართლში
18.დასრულებული აზრი, რომლის ბოლოს დაისმის წერტილი
19.პიანისტი ... ბოლქვაძე
20. ... ამართლებს საშუალებებს
21.რეჟისორი ... კუსტურიცა
22. საიუველირო ქვა
23. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
24. გეომეტრიული ფიგურა
25. „თქმულება რამაზე“
26. რძის პროდუქტი
27. ქალაქი ინგლისში
28.შოკოლადის ხის ნაყოფი
29. ჯეიმს კამერონის ფილმი
30. დაბა ადიგენის რაიონში, სადაც ფუნქციონირებს ობსერვატორია
31. სიტყვა, წარმოადგენს რამდენიმე სიტყვის შემოკლებას
32.ნახ. კუნძული შავ ზღვაში
33. ქედის ჩაზნექილი ადგილი
34. გიტარის მავთული
35. ამოთხრილი ადგილი
36.მომღერალი ... ჯაბუა
37.ციხესიმაგრე დუშეთის რაიონში
38.ხორცოვანი ამონაზარდი
39. სოფელი სიღნაღის რაიონში
40.პიანისტი ... გილელსი
41. მწერალი ედგარ ალან ...
42. მეცნიერება მიწისძვრების შესახებ
43.ლეო ქიაჩელი. „... ბიგვა“
44. კათოლიკე მღვდელი
45. კომეტა, ჩაუვლის დედამიწას 76 წლის პერიოდულობით
46.მისი დედაქალაქია დუშანბე
47. ყვავილი
48. მსახიობი ... ჰაიეკი
49. მსახიობი ... როკი
50.ისტორიიდან: მურვან ...
51. ალღო
52. ლითონი
53. მდინარე აფრიკაში
54.მომღერალი ლედი ...
55. ადგილი ვაგონში
56. ლათინო ამერიკ. ცეკვა
57.მხ/ფ „მისის ...“
58. იაპონური თაიგული
59. უშნო, შეუხედავი
60. მსახიობი ... ნიკულინი
61. გემის საჭყობი
62. პოეტი ლუი ...
63. მსახიობი ... რივზი
64.მუცლის ღრუს რომელიმე ორგანოს კანქვეშ გამოსვლა
65. ტროას ბერძნ. სახელწ.
66.ნახ. კუნძული აზერბაიჯანში
67. ნარდის სათამაშო კუბები
68. მწერალი რომენ ...
69. თბილისის უბანი
70.გვერდები: ჰიპოტენუზა და ...
71. რუს მეფეთა დინასტია
72. უფრთო ფრინველი
73. სასამართლოს გადაწყვეტილება
74. ზუსტი მეცნიერება
75. ზღვა კუბასთან
76.თეატრალ. ქუჩა ნიუიორკში
77.გოგებაშვილი. „თხა და ...“
78. ვაზის ჯიში
79. პატარა სასაცილო ამბავი
80. მზის სისტემის პლანეტა
81. მსახიობი ხავიერ ...
82. აზრი
83. „ლვინის ქურდები“ კავსაძე
84. სელის, კანაფის ქერქი
85. ტროპიკული ნაყოფი
86. თოვლის კრისტალი
88. სოფელი თბილისში მთაწმინდ. რაიონში
89.მხ/ფ „... მწვანე ველი“
90.ნორვეგიის დედაქალაქი
91. მხატვარი კამილ ...
92. გემის დიდი ბადე
93. იანის საპირისპირო
94. გზის საფარი მასა
95.ავტომრბოლელი ... ლაუდა
96.მხ/ფ „დიკ ...“
97. ... ცეცხლს შუა
98. ვერდის ოპერა
99. მცენარე. ხდიან ტეკილას
100. ნაჭრის გასაშლელი ოთახი
101. საზღვარო სათამაშო
102. 100 კაპიკი
103. გაზაფხულის თვე
104. სარწმუნოება ზოგადად
105.მოჭადრაკე ... კრამნიკი
106. პირველი კოსმონავტი
107. სოფელი ხარაგაულის რაიონში
108. პოეტი აკაკი ...
109. მინდვრის ყვავილი
110. გამჭოლი ქარი
111. დენის მარეგულ. ხელსაწყო
112. ნიშნავს ცხოველურს
113. მხარე საქართველოში
114. მსახიობი ... ჰათაუეი
115.ნორვეგიის სანაპირო ყურე
116. მეტროს მოძრავი კიბე
117. მსახიობი მარინა ...
118. თოვლის კაცი
119. ტყის მასივი ციმბირში
120.რეჟისორი ალფონსო ...
121.ტარზე მიბმული დაწნული თასმა ბოლოში ტყავის ნაჭრით
122. მდინარე გერმანიაში
123. შტირლიცი საქმიანობით
124. ცხენების მეშვეობით ტრანსპორტი
125. მსახიობი ... პიტი
126. მსახიობი ... მერფი
127. პატარა ტანის ძაღლი
128. ყვავილი
129. სახელმწიფო აზიაში
130. ზურიკელას ძაღლი
131. ძროხის ნაშიერი
132. მფრინავი, ანუ ...
133. გოია. „შიშველი ...“
134. ლიტვის ფულის ერთეული
135. ბედი
136. მსახიობი სემ ...
137. ტაბლეტი
138. მსახიობი ... კახიანი
139. მსახიობი ... სმიტი

პასუხები: 1. მატარებელი; 1ა. ფრე; 2. ეროზია; 3. ფარენჰაიტი; 4. სოლომონი; 5. ბონი; 6. ჯიმი; 7. რაც; 8. დერეფანი; 9. ზარდახშა; 10. ადრესი; 11. კიმ; 12. ტალანტი; 13. ტაშტი; 14. ამერიგო; 15. იურა; 16. მონე; 17. მარნეული; 18. წინადადება; 19. ელისო; 20. მიზანი; 21. ემირ; 22. მარგალიტი; 23. ნიკარაგუა; 24. რომბი; 25. „რამაიანა“; 26. დო; 27. ლივერპული; 28. კაკაო; 29. „ავატარი“; 30. აბასთუმანი; 31. აბრევიატურა; 32. ყირიმი; 33. უღელტეხილი; 34. სიმი; 35. ორმო; 36. მაია; 37. ანანური; 38. ხორცმეტი; 39. ტიბაანი; 40. ემილ; 41. პო; 42. სეისმოლოგია; 43. გვადი; 44. აბატი; 45. ჰალეი; 46. ტაჯიკეთი; 47. ია; 48. სალმა; 49. კრის; 50. ყრუ; 51. ინტუიცია; 52. ნიკელი; 53. ნილოსი; 54. გაგა; 55. კუპე; 56. ლამბადა; 57. დაუტფაიერი; 58. იკებანა; 59. მახინჯი; 60. იური; 61. ტრიუმი; 62. არაგონი; 63. კიანუ; 64. თიაქარი; 65. ილიონი; 66. აფშერონი; 67. კამათელი; 68. როლანი; 69. კუკია; 70. კათეტი; 71. რომანოვი; 72. კივი; 73. ვერდიქტი; 74. მათემატიკა; 75. კარიბი; 76. ბროდვეი; 77. გიგო; 78. თითა; 79. ანეკდოტი; 80. მარსი; 81. ბარდემი; 82. იდეა; 83. ელიბო; 84. კერკეტი; 85. მანგო; 86. ფიფქი; 87. ქერელი; 88. კიკეთი; 89. დიდი; 90. ოსლო; 91. კორო; 92. ტრალი; 93. ინი; 94. ასფალტი; 95. ნიკი; 96. ტრეისი; 97. ორ; 98. „რიგოლეტო“; 99. აგავა; 100. კარავი; 101. ფრანი; 102. მანეთი; 103. მარტი; 104. რელიგია; 105. პია; 106. გაგარინი; 107. წიფა; 108. წერეთელი; 109. ზიზილა; 110. ორპირი; 111. რეოსტატი; 112. ზოო; 113. სვანეთი; 114. ენ; 115. ფიორდი; 116. ესკალატორი; 117. ვლადი; 118. იეტი; 119. ტაიგა; 120. არაუ; 121. მათრახი; 122. რაინი; 123. მზვერავი; 124. ეტლი; 125. ბრედ; 126. ედი; 127. ფინია; 128. ტიტა; 129. ლაოსი; 130. მურადა; 131. ხბო; 132. პილოტი; 133. მახა; 134. ლიტი; 135. სვე; 136. ნილი; 137. აბი; 138. იმედა; 139. უილ. იკითხება: რომი შნაიდერი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ქალების ამ 4 პროფესიას მკერდის კიბოს პროვოცირება შეუძლია



სამუშაო კაზინოებსა და ბარებში, ფაბრიკებსა და მინდვრებში, სარძევე ჯირკვლის კიბოს გაჩენის ალბათობას რამდენიმე საფეხურით ზრდის. აღნიშნული დასკვნის ავტორები კანადელი მეცნიერები არიან, რომლებმაც ამ საშინელი დიაგნოზის მქონე ათასი ქალის ანკეტა შეისწავლეს. გარდა ამისა, მოხდა ამდენივე სრულიად ჯანმრთელი ქალის მდგომარეობის გაანალიზებაც.

კანადელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგმა მის ავტორებს მისცა საბაბი, ეთქვათ, რომ რესტორნებსა და კაფე-ბარებში, ასევე, ფერმებსა თუ მინდვრებზე მუშაობა მკერდის კიბოს რისკს 5-ჯერ ზრდის.

ამ ძალიან დიდი უსიამოვნების მიზეზი საკმაოდ ბანალურია: ბარების, რესტორნებისა და კაზინოების თანამშრომელთა ავადმყოფობა პასიური მოწევის შედეგია. გარდა ამისა, ერთ-ერთი სერიოზულ მიზეზად სახელდება ღამის ცვლაში მუშაობა და მორიგეობა.

რაც შეეხებათ ქალებს, რომლებიც მსხვილ საწარმოებში არიან დაკავებულნი, რისკი მატულობს ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებების გამო, სოფლის მეურნეობაში კი – გადამუშავებული პესტიციდები და მსგავსი საშუალებები.

სპეციალისტების თქმით, რაც უფრო ხანგრძლივია ჩამოთვლილ ადგილებში ქალის მუშაობის სტაჟი, საშინელი დაავადების გაჩენის რისკიც, შესაბამისად, მატულობს. კერძოდ, მინიმუმ 42 პროცენტით.

***myjane.ru***

## ავიაკატასტროფაში გადარჩენის შანსი 95 პროცენტია?



ერთი მხრივ, კარგად ცნობილი ფაქტია, რომ თვითმფრინავი ბევრად უსაფრთხო სახეობის ტრანსპორტია, ვიდრე, მაგალითად, იგივე ავტომობილი. სპეციალისტების გათვლებით, ავიაკატასტროფის ალბათობა 1/1200000 გახლავთ. მეორე მხრივ, ცაში ყოფნა მაინც იმდენად უჩვეულოა ადამიანისთვის, რომ სწორედ საჰაერო ტრანსპორტის ეშინია ყველა მეტად.

ნებისმიერი შეხედულებისა თუ ლეგენდის მიუხედავად, როგორც „დისქავერის“ სპეციალისტები განმარტავენ, სტატისტიკური შანსი იმისა, რომ ადამიანი ავიაკატასტროფაში გადარჩება, მთელი 95 პროცენტია.

მოსაზრების ავტორების თქმით, ჩვეულებრივ, თვითმფრინავი კატასტროფას ჰაერში ძალიან იშვიათად განიცდის და სირთულეების უმეტესობა აფრენის ან დაშვების მომენტში ჩნდება, როცა ხომალდი მიწასთან ახლოსაა. იმისთვის, რათა უფრო უკეთ მომზადებული შეხვდეთ მოულოდნელობებს, ყურადღებით მოისმინეთ ინფორმაცია, რომელსაც სტიუარდესები მოგცემენ: სად არის სათადარიგო გასასვლელები, როგორ უნდა გამოიყენოთ ჟანგბადის ნიღბები და ასე შემდეგ, რადგან, როგორც ამბობენ, წესების ზედმიწევნით დაცვას მართლაც შეუძლია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა.

***100pydova.ru***

## მამაკაცის მოსახიბლად საკმარისია სხეულის 40 პროცენტით მოშიშვლება



მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია, რომ მამაკაცებს თვალებით უყვართ. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ, თუკი ქალს მამაკაცის ყურადღების მიქცევა სურს, ტანთ უნდა ეცვას სამოსი, რომელიც მისი სხეულის 40 პროცენტს აჩენს.

უმთავრესი პირობაა, მშვენიერი სქესის წარმომადგენელმა ტანსაცმელი სწორად შეარჩიოს, რათა ან ძალიან კონსერვატიული არ გამოჩნდეს, ან პირიქით, ძალიან ვულგარული. სპეციალისტების რჩევაა, მაგალითად, საზეიმო ღონისძიებისთვის ქალმა დეკოლტეს ხაზი და ფეხები ერთდროულად არ უნდა გამოაჩინოს.

სპეციალისტები ერთ ღამის კლუბში არსებულ სიტუაციას აკვირდებოდნენ, რა ეცვათ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს. ჰოდა, დაასკვნეს, რომ მათი სამოსი პირდაპირ კავშირში იყო დაინტერესებული მამაკაცების რაოდენობაზე.

როგორც აღმოჩნდა, ქალებმა, რომლებსაც სხეულის დაახლოებით 40 პროცენტი ჰქონდათ გამოჩენილი, მინიმუმ 2-ჯერ მეტი მამაკაცი მიიზიდეს, ვიდრე ზედმეტად „დამალულებმა“ ან გაშიშვლებულებმა.

***factroom.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**31 მარტი:** იმდენად ადვილად შეეგუებით ნებისმიერ სიტუაციას, ზოგი იფიქრებს, რომ ინდივიდუალიზმის პრობლემა გაქვთ. არ იდარდოთ, პრობლემები თქვენ კი არა, მათ აქვთ.

**კურო 22.04-21.05**
**31 მარტი:** ყოველმხრივ დაძაბული დღეა მოსალოდნელი. ამისთვის წინასწარ შეემზადეთ ფსიქოლოგიურად, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს დათრგუნულად იგრძნობთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**31 მარტი:** ცრურწმენა წარუმატებლობების გასამართლებლად კარგი რამ არის. თუმცა, მცირეოდენი ძალისხმევით თქვენს პრობლემებს იოლად დაძლევდით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**31 მარტი:** თუ მოინდომებთ, პრაქტიკულად, ნებისმიერი ფინანსური პრობლემის მოგვარებას შეძლებთ. მთავარია, დაუდევრად არ მოიქცეთ და ახალი პრობლემები არ გაიჩინოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**31 მარტი:** სხვების პრობლემები სამომავლოდ გადადეთ და საკუთარს მიხედეთ. ჯერ მთავარი საქმეები მოაგვარეთ, ყველაფერს ერთად ვერ მოასწრებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**31 მარტი:** შეეცადეთ, თქვენთვის ახლობელ ადამიანებს ნაკლებად ეკონტაქტოთ. როგორც არასოდეს, დღეს ემოციებს არ უნდა აჰყვეთ, ცივი გონება დაგჭირდებათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**31 მარტი:** შესაძლოა, იმდენად რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდეთ, რომ დეპრესიაში ჩავარდეთ. ამიტომ, გადაწყვეტილების მიღებამდე რჩევები იკითხეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**31 მარტი:** როგორც ჩანს, საკუთარი საქმეების გადადება და საზოგადოებრივ საკითხებში ჩართვა მოგიწევთ. შეგიძლიათ, თავი აარიდოთ, მაგრამ ვერ გაგიგებენ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**31 მარტი:** ძალიან მოუთმენელი იქნებით. მოვლენა, რომლის მოხდენასაც ელოდებით, შესაძლოა, შეყოვნდეს. რამე საქმით დაკავდით და გული მოიოხეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**31 მარტი:** ერთ ადგილას გაჩერება გაგიჭირდებათ. ყველა წვრილმან საქმეს ნუ წაეპოტინებით. შეარჩიეთ რამე მნიშვნელოვანი და მისი კეთება დაიწყეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**31 მარტი:** დღეს შესაძლოა, ვიღაცის ყურადღებით მოსმენა და საჭირო მომენტში მისი დამშვიდება მოგიწიოთ. შეეცადეთ, ყველაფერი გულთან არ მიიტანოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**31 მარტი:** დღეს სასურველი მიზნის მიღწევა რომც ვერ მოახერხოთ, ამისგან ტრაგედიას ნუ შექმნით. გამოცდილება, რომელსაც ამისგან მიიღებთ, ფასდაუდებელი იქნება.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი **თამაზ ბესტავაშვილი**

**(15 საათიდან)**

## მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული მობილურის ნომერი



სპეციალური შეთავაზება: მობილური ტელეფონის ლამაზი ნომერი „სულ რაღაც“... 19 ათას აშშ დოლარად.

დიახ, ზუსტად 19 ათას დოლარს აფასებს მობილური ტელეფონის ნომერს ბაჰრეინის მოქალაქე აბდულა ალ-ჰამადი.

როგორც ირკვევა, მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული მობილურის ნომერია: 9111119.

ნომრის ამჟამინდელი მფლობელი დარწმუნებით ამბობს, რომ კლიენტს აუცილებლად იპოვის.

***vkontakte.ru***

## მედიკოსები: თმები სხეულზე ადამიანს კიბოსგან იცავს



რა გაუმართლათ იმ მამაკაცებს, ვისაც ხშირად ადარებენ ხოლმე რაჭულ დათვს? სამაგიეროდ, ქალები ყოფილან არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში.

– ონკოლოგიური დაავადებების გაჩენის რისკის შემცირება სხეულზე არსებულ თმებს შეუძლია, – ასეთია ავსტრალიელი სპეციალისტების მოსაზრება, რომლებმაც დასკვნა საკმაოდ ხანგრძლივი კვლევის შედეგად გამოიტანეს.

10 წლის მანძილზე სამხრეთ კლივლენდის უნივერსიტეტის ექსპერტებმა 20 ათასზე მეტი ადამიანის მონაცემები შეისწავლეს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ცხოვრობენ. მიღებული შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ თმის საფარს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კანის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

***fitneslite.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



თვითმფრინავი კატასტროფას განიცდის, შტურმანი სტიუარდესას მიმართავს:

– ვვარდებით! მიდი მგზავრებში პანიკა რომ არ ატყდეს, რაიმე უთხარი და დააწყნარე.

– ძვირფასო მგზავრებო, ჩვენი თვითმფრინავი დაეშვება ზღვაში, ჩაყვინთავს, შემდეგ ამოყვინთავს და ფრენას განვაგრძობთ...

გაისმა აფეთქების ხმა. თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა მისი ნამსხვრევები წყალში ტივტივებს, მხოლოდ ორი კახელი გადარჩა:

– ჯოოო, ვერ გამიგია, ესენი რა უჩვენოდ გაფრინდნენ თუ როგორ არის საქმე?

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**გაზეთი „ალია“**

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე**
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.48